№ 22 | შემოდგომა-ზამთარი 2023/24 | 8₾

NARGIS

GEORGIA

FW trends 2023

თიკა ფაცაცია

EXCLUSIVE

დევიდ კომა

WHISPERS OF WINTER

MANGO

KARL LAGERFELD
KARL LAGERFELD
NOW OPEN
KARL LAGERFELD STORE
CITY MALL

BESPOKE
Tbilisi
14 Daniel Chonkadze street, Tbilisi, Georgia

BLOOMS
Tbilisi
14 Daniel Chonkadze street, Tbilisi, Georgia
www.bloomstbilisi.com

NARGIS

მთავარი რედაქტორი თაკო ჩხეიძე | **Editor-in-Chief** TAKO CHKHEIDZE

აღმასრულებელი დირექტორი ნინო დიასამიძე | **Executive Director** NINO DIASAMIDZE

მოდის რედაქტორი დათა ალექსეევი | **Fashion Editor** DATA ALEKSEEV

ჟურნალისტი ხატია ვარდოსანიძე | **Journalist** KHATIA VARDOSANIDZE

ნომერზე მუშაობდნენ

ირინა ბელანი / IRINA BELAN / ულვია მაჰმუდი / ULVIYYA MAHMUD / სოფია მამადოვა / SOFIYA MAMMADOVA / საკინა მეჰრალიევა / SAKINA MEHRALIYEVA / ნიგარ მაჰარამოვა /NIGAR MAHARRAMOVA /ანასტასია ვინოკუროვა / ANASTASIA VINOKUROVA / ლალი ბინიატოვა / LALI BINYATOVA / საკინა მეჰრალიევა / SAKINA MEHRALIEVA / აისელ აშუროვა / AYSEL ASHUROVA / ტაისია კუზნეცოვა / TAISIYA KUZNETSOVA

თარგმანი ინგლისურიდან კობა ჯანიაშვილი | **Translation from English** KOBA JANIASHVILI

სტილი ნინო ლურსმანაშვილი | **Style** NINO LURSMANASHVILI

გუნდი

დიზაინი

ნინო ჭინჭარაული | NINO CHINCHARAULI

ფოტო

შოთა გოთოშია /SHOTA GOTOSHIA /
სალი დუნდუა /SALI DUNDUA /
გიორგი პაპიძე /GIORGI PAPIDZE /
ფარვიზ გასიმზადე /PARVIZ GASIMZADE

ავტორები

Starring: TIKA PATSATSIA
Photo: SHOTA GOTOSHIA
Style: DATA ALEKSEEV, LEVAN SHAVDIA
Apparel: MANGO
MUA: TEKO SHENKEN
Hair: BY NATA
Stylist Assistant: NINA SHEKILADZE
Speacial Thanks CHÂTEAU MUKHRANI
Photostudio GEODAYLIGHT

მარეკანი

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს NARGIS-ის საკუთრებას.
ჟურნალში დაბეჭდილი ნებისმიერი მასალის გამოყენება რედაქციის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.

გამოცემის სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ჟურნალი NARGIS-ი არ იღებს პასუხისმგებლობას სარეკლამო ტექსტების შინაარსზე.

რეკლამა ჟურნალში: 577 22 25 00

facebook.com/NargisGeorgia instagram.com/nargis_georgia

წარმატების მიღწევის ძალა თქვენშია

მჯერა, რომ საქმე, რომელსაც სიყვარულით აკეთებ, აუცილებლად მოგიტანს წარმატებას

photo GIORGI PAPIDZE
apparel BLOOMS

ჩვენი სამყარო გამოწვევებითაა სავსე. რა თქმა უნდა, ყველა ეპოქას ახლდა უამრავი გამოწვევა, თუმცა მე მაინც მგონია, რომ დრო, რომელშიც ვცხოვრობთ, კიდევ უფრო მეტ გამოცდას გვიწყობს. ხანდახან ვფიქრობ, როგორ შეიძლება ადამიანმა ფეხი აუწყოს მიმდინარე მოვლენებს, გონებაში გადაამუშაოს გარშემო მომხდარი ამბები, იყოს მუდმივად სტრესულ სიტუაციაში და ასეთ ვითარებაში მოახერხოს, გადარჩეს, იპოვოს სულიერი სიმშვიდე; უფრო მეტიც, მყარად იდგეს ფეხზე, იყოს წარმატებული, გაუმკლავდეს აბსოლუტურად ყველაფერს.

სწორედ ამიტომ „ნარგისის“ ეს ნომერი მინდა მივუძღვნა ჩვენს მკითხველს და მე, თაკო ჩხეიძემ, როგორც ამ ჟურნალის რედაქტორმა და როგორც, უბრალოდ, რიგითმა თქვენგანმა, გითხრათ, რომ ჩვენში ყველაში ცხოვრობს გმირი: შენ, რომელიც ხარ დედა, გმირი ხარ; შენ, რომელიც ხარ მეუღლე, გმირი ხარ; რომელიც შრომობ თავდაუზოგავად, რომელიც ამ რთულ ვითარებაში ახერხებ საკუთარი ადგილის პოვნას ან იქნებ ჯერ ვერ ახერხებ, მაგრამ იბრძვი, არ ნებდები – გმირი ხარ!

მჯერა, რომ თუ მოვინდომებთ, ყველაფერი შეგვიძლია, ყველაფერი გამოგვივა!

მინდოდა ეს ნომერი შთამაგონებელი ყოფილიყო, ამიტომ გადავწყვიტე, უფრო ახლოს მეჩვენებინა ის ადამიანები, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობენ წარმატებისთვის, ახლობლებისთვის, მეგობრებისთვის და, უბრალოდ, იმისთვის, რომ სამყარო უკეთესი გახდეს.

მჯერა, რომ საქმე, რომელსაც სიყვარულით აკეთებ, აუცილებლად მოგიტანს წარმატებას და, საერთოდ, სიყვარული, შრომისმოყვარეობა, დადებითი ენერგიის გაცემა მგონია, რომ მთებს გადაგვალახვინებს და ყველა პრობლემას დაგვაძლევინებს.

მჯერა, რომ თუნდაც ერთი ადამიანის მიერ გაცემული პოზიტიური ენერგია შეიძლება იმდენად გადამდები იყოს, მთელ ქვეყანას მოედოს.

გილოცავთ ახალ წელს, სიყვარულს, ბედნიერებას, წარმატებას, სიმშვიდეს გისურვებთ!

მინდა გჯეროდეთ, რომ წარმატების მიღწევის ძალა თქვენშია!

თაკო ჩხეიძე
მთავარი რედაქტორი

MultiPerformerAgency
MultiPerformerAgency

Multi
Performer
Agency

[Hospitality Service Provider]

Multi Performer Agency (MPA) is a group of people
who can host, manage and execute.
A hospitality service provider,
as well as the TOP Artists Booking Platform,
that operates across different kinds of business
sectors and suggests world class hosting
experience in the Region.

CONTACT US

PHONE
+ 995 599 40 63 63

ADDRESS
Polikarpe Kakabadze St 7A,
Tbilisi, Georgia

EMAIL
Info@mpa-agency.com

6 გვ.
რედაქტორისგან

10 გვ.
რედაქტორის არჩევანი

14 - 16 გვ.
SHOP THE LOOK

18 გვ.
TRENDS

28 გვ.
Noir Symphony

36 გვ.
გურამ კაპანაძე და მისი თვალით დანახული ქუჩის მოდა – ფოტოებით გადმოცემული სტილის უნიკალურობა

46 გვ.

SIMPLY ICONIC

52 გვ.
მინიმალისტური ესთეტიკა, ელეგანტურობა და მოდა, რომელსაც საზღვრები არ აქვს – კლერ როუზის სტილი

54 გვ.
თიკა ფაცაციას წარმატების გზა

60 გვ.

WHISPERS OF WINTER

ლაღი, ნამდვილი, ფრომისმოყვარე და ხანდახან გულუბრყვილო

70 გვ.
ქალი მოდის სამყაროს მიღმა

76 გვ.

მიზნად ვისახავ მდიდრული სამოსის შექმნას, რომელიც მარადიულია

დევიდ კომას ესთეტიკა

84 გვ.
სარა ბარტონის სამყარო, სადაც ყველა ქალი გმირია

88 გვ.
URBAN rouge

98 გვ.
BEAUTY TRENDS

100 გვ.
მანიკა ასათიანის თავის მოვლის რუტინა და სილამაზის მთავარი შტრიხი

104 გვ.
უარი თქვი წესებზე!

110 გვ.
გავრცელებული მითები კანის მოვლის შესახებ და მთავარი წესები, როგორ მოვუაროთ მას ზამთარში

122 გვ.

Boom VOYAGE

128 გვ.

ბარბი
ჰოლივუდიდან

მხატვრული დიზაინის მეშვეობით გარემოს უფრო მოძრავლულად და ესთეტიკურად მიმზიდველად ვაქცევთ

136 გვ.

LUST FOR XAVIER

142 გვ.



Dua Lipa

დუა ლიპა და მისი წესებისგან თავისუფალი სული

150 გვ.
გზა ჰარმონიისკენ

156 გვ.
BUSINESS SOCAR

162 გვ.
რა ძალა აქვს ფიქრებს,

166 გვ.
ჰოროსკოპი

168 გვ.
მე რომ შემეძლოს...

იმოქმედე, იშრომე, იყავი მოხალისე, უმრალოდ, გააკეთე რამე!

FESTIVE SEASON ESSENTIALS

სადღესასწაულო სეზონი, წვეულება და ბედნიერი წუთები - სამოსს და აქსესუარებს ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს. კლასიკური, ელეგანტური სამოსი განწყობას კიდევ უფრო ამაღლებს.

1.
SAINT LAURENT

5.
CELINE

2.
KARL LAGERFELD

KARL LAGERFELD-ის ეს ჩანთა ჩემთვის სიახლეა და დარწმუნებული ვარ არა მხოლოდ ახლა, არამედ ყველა სეზონზე გამომადგება

4.
TOM FORD

ნითელი ფერი დღესასწაულთან ასოცირდება, ამიტომ ახალი წლის დღეებისთვის ნითელ კაბას ვირჩევ

6.
BLOOMS

ამ სეზონზე Bloom-ის ეს კაბა-პალტო ჩემი ფავორიტია. არის კლასიკა, საუკეთესო, ხარისხიანი ქსოვილით შექმნილი და განსაკუთრებული ადგილს დაიკავებს ჩემს გარდერობში

3.
SAINT LAURENT

9.
MAGDA BUTRYM

8.
L'OCCITANE

L'Occitane-ის უკვდავას ღამის შრატი მეხმარება, რომ როცა ძალიან დაცვირთული და დაკავებული დღეები მაქვს, მაშინაც ბრწყინვალედ გამოვიყურებოდე, არ მეტყობოდეს დაღლილობა და კანი მიბზინავდეს

10.
VICTORIA BECKHAM



12.
DIOR BY JOHN GALLIANO

მოგზაურობის დროს ყოველთვის ვედილობ, შევიძინო ნიგნები მოდისა და დიზაინის შესახებ. კლასიკა კი, რა თქმა უნდა, უკვდავია. Dior-ის ეს ნიგნი ჩემი ბიბლიოთეკის განუყოფელი ნანილი გახდება

7.
BOTTEGA VENETA

11.
LOEWE

სანთლები ძალიან მიყვარს და სურნელოვანი სანთელი საახალნლო დეკორაციების განუყოფელი ნანილია

13.
WESTMAN ATELIER

GEOMODELS

s t u d i o

https://www.facebook.com/GeomodelsAgency

SHOP THE LOOK

Tom Ford

რაც მოდის სახლი TOM FORD „ესტე ლაუდერმა“ გადაიბარა, მისი კრეატიული დირექტორი PETER HAWKINGS-ი გახდა. მილანის მოდის კვირეულზე კი მისი ტრიუმფალური დებიუტიც შედგა. TOM FORD-ის ახალ კოლექციაში კლასიკური სილუეტის სამოსი და მეტალის ფერები დომინირებდა. აღნიშნული ლუქი ვინტაჟური სამკაულით საღამოს წვეულებებს განსაკუთრებით უხდება.

TOM FORD SPRING 2024

Season's MUST-HAVE

MIU MIU

Buckle-embellished slingback

ბორდოსფერი აქტუალურია როგორც სამოსში, ისე აქსესუარებში. Miu Miu-ს ფეხსაცმელი buckle-embellished slingback წლის ყველაზე მოთხოვნადი ტრენდია.

The Row

მინიმალისტური გარდერობის მთავარი ხიბლი მის უნივერსალურ ხასიათში იმალება, რომელიც ექსპერიმენტებისკენ გვიბიძგებს. THE ROW ერთ-ერთი ყველაზე სახასიათო ბრენდია, რომელიც სადა, მინიმალისტურ და ელეგანტურ კოლექციებს გვთავაზობს.

THE ROW SPRING 2024

Season's MUST-HAVE

SAINT LAURENT

Saint Laurent–ის ჩანთა Le 5 à 7, მისი დახვეწილი ფორმიდან და პრაქტიკულობიდან გამომდინარე, წლის კლასიკად ქცეული ტრენდია.

DENIM DREAMS

რამდენიმე ათწლეულია, რაც ჯინსის შარვალი სტილის განუყოფელი ნაწილია. კლასიკად ქცეული ეს სამოსი თითქმის ყველა ადამიანის გარდერობშია და ამას მარტივი მიზეზი აქვს - ჯინსი საკმაოდ კომფორტული, ადვილად მოსახდენი და ნაკლებად პრეტენზიულია. თუმცა ამ სეზონზე მის სხვადასხვა სტილიზებულ ვერსიებს ვხვდებით, როგორიცაა: ჯინსის სრული ჩაცმულობა, ჯინსის ფეხსაცმელი და აქსესუარები.

LEATHER MOOD

ჭერ კიდევ 1950-იანი წლებიდან, როცა მარლონ ბრანდო და ჯეიმს დინი დიდ ეკრანებზე ბრწყინავდნენ, ტყავის ლაბადები გემოვნებიან სტილს უსვამდა ხაზს. წელს კი სხვადასხვა ფორმისა და სტილის ტყავის სამოსი განსაკუთრებით მოდურია.

BURGUNDY PASSION

ბორდოსფერი - სეზონის მთავარი ფერია. ბრენდების მიერ წარმოდგენილ კოლექციებში ბორდოსფერი ძალზე აქტუალურია როგორც სამოსში, ისე აქსესუარებში, მათ შორის, სათვალეებში; აგრეთვე, ფეხსაცმელებში, ტყავსა თუ სხვა ქსოვილებში.

1.
BOTTEGA VENETA

2.
SAINT LAURENT

3.
BALMAIN

TIMELESS TREASURES

ნებისმიერ სტილს დასრულებულ, თვითმყოფად და განსაკუთრებულ ეფექტს სწორად შერჩეული აქსესუარი აძლევს. ამჯერად თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ სამკაულზე, რომელიც 80-იანი წლების მთავარი ტენდენცია იყო, დღეს კი მათ მოდერნიზებულ ვარიანტებს ვხედავთ.

4.
SAINT LAURENT

6.
SAINT LAURENT

5.
SAINT LAURENT

7.
OSCAR DE LA RENTA



8.
GUCCI

9.
ALEXANDER MCQUEEN

14.
BALENCIAGA

10.
ALEXANDER MCQUEEN

11.
ZIMMERMANN

15.
CHLOÉ

12.
AREA

13.
ALAÏA

16.
BALENCIAGA

JENNIFER BEHR

GUCCI

BOTTEGA VENETA

ALEXANDER MCQUEEN

MAGDA BUTRYM

Chic Countdown

როდესაც დღეებს ვითვლით ახალი წლის დადგომამდე და ჩვენს ირგვლივ სასიამოვნოდ მღელვარე ატმოსფეროა, როცა უკვე მზად ვართ წლის გრანდიოზული ფინალისთვის, მომხიბლავი მომენტების ერთად შეკრებისთვის და ცხადია, ამ ყველაფრის საყვარელი ადამიანებისთვის გასაზიარებლად.

DOLCE&GABBANA

THE ATTICO

ALAÏA

MUGLER

FERRAGAMO

მნიშვნელოვანია, ახალ წელს განსაკუთრებულად შევხვდეთ. დარწმუნდით, რომ ხართ ელეგანტური და უბრალოდ, ბრწყინავთ. როგორც კი საათი 12-ს ჩამოკრავს და სურვილს ჩაიფიქრებთ, ის აუცილებლად ასრულდება!

ROTATE BIRGER CHRISTENSEN

REBECCA VALLANCE

MAGDA BUTRYM

SELF-PORTRAIT

DAVID KOMA

AMINA MUADDI

JIMMY CHOO

Noir Symphony

FURLA
SINCE 1927 ITALY

STARRING: LIKA EVGENIDZE
PHOTO: SHOTA GOTOSHIA **STYLE:** DATA ALEKSEEV

FURLA

FURLA

FURLA

Make Up TEKO SHENKEN
MUA Assistant TAMTA TOTLADZE
Hair BESARIONNI

ჩემთვის საინტერესო ინდივიდუალური სტილის დოკუმენტაციაა და არა მხოლოდ კონკრეტული ბრენდის ტანსაცმელი

ინტერვიუ დათა ალექსეევი

გურამ კაპანაძე

და მისი თვალით დანახული ქუჩის მოდა – ფოტოებით გადმოცემული სტილის უნიკალურობა

სტილი ინდივიდუალიზმის სარკეა, ამ სარკეში ჩახედვისას კი უმნიშვნელოვანესი ქვეტექსტების ამოკითხვაა შესაძლებელი. პირველი შთაბეჭდილებით რამ შეიძლება გვითხრას იმაზე მეტი ქუჩაში შემხვედრ უცნობ ადამიანზე, თუ არა სამოსმა? ქუჩის სტილი მოდის კვირეულის განმავლობაში საუკეთესო საშუალებაა, გააცნო საზოგადოებას შენი შინაგანი სამყარო ვიზუალური კუთხით და იმიჯის საშუალებით.

გურამ კაპანაძე ქუჩის სტილის ფოტოგრაფიით ბილ კანინგემის და სკოტ შუმანის ფოტოების ნახვის შემდეგ დაინტერესდა. თავიდან თბილისის ქუჩებში შემთხვევით შემხვედრ ადამიანებს სთავაზობდა გადაღებას, ინტერესის გაღრმავების ფონზე კი თბილისის მოდის კვირეულის სტუმრების ჩაცმულობა გადაიღო 2012 წელს. მას შემდეგ გურამი ბევრი ადამიანისთვის გახდა ცნობილი როგორც ქართული მოდის ინდუსტრიაში, ისე სოციალურ ქსელებშიც, სადაც ფოტოგრაფის კადრჭერა და ქუჩის სტილის მომენტები ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა. ადგილობრივიდან საერთაშორისო წარმატებამდე სულ რამდენიმე წელი დასჭირდა. პირველად 2016 წელს დაესწრო მილანის მოდის კვირეულს, ამას მოჰყვა საფრანგეთი 2017 წელს და მოდის დედაქალაქი – პარიზი ფოტოგრაფის ყველაზე სტაბილურ და წარმატებულ მიმართულებად იქცა.
გურამის ობიექტივში ისეთ ვარსკვლავებსა და მოდის ინდუსტრიაში მოღვაწე ადამიანებს შეხვდებით, როგორებიც არიან: შარლოტა რემპლინგი, კაია გერბერი, კარინ როიტფელდი და სხვები.

„აჩქარებული რიტმი სტიმულს მაძლევს, სწრაფად და ზუსტად ვიმუშაო, ვიყო იქ, სადაც საინტერესო და სხვებისგან განსხვავებულ ფოტოს გადავიღებ"





„გარდა ამისა, „ქემფეინებსა" და „ედიტორიალებსაც" ვიღებ და ვფიქრობ, მოდის სხვადასხვა სახლითან აქ მიმართულებით თანამშრომლობა უფრო საინტერესო იქნება"

ჯურამ, როგორ აღწერდით თქვენს პერსონალურ ფოტოგრაფიულ სტილს?
მარტივი, ცოტა მინიმალისტური სტილი მაინტერესებს და სწორედ ამიტომ ჩემი ფოტოები ზოგჯერ რეპორტაჟს ჰგავს კონკრეტული ადამიანის კონკრეტულ ჩაცმულობაზე. ვცდილობ, ინდივიდუალური დამოკიდებულებაც გამოჩნდეს – მომწონს, როცა ადამიანთან პირდაპირი კონტაქტი ჩანს და ხშირად ასეთ ფოტოსაც ვიღებ, თუმცა ჩემს ფოტოგრაფიულ სტილში დინამიკურობაც დიდ ადგილს იკავებს. სწორედ ამან მიბიძგა ქუჩის სტილის ვიდეოს გადაღებისკენ.

რა მიგაჩნიათ ყველაზე მომხიბვლელ მომენტად მოდის კუთხით ყოველდღიურ ცხოვრებაში?
მოდის კვირეულების გარდა ქუჩაში მოსეირნე ადამიანების ფოტოებსაც ვიღებ და თითქოს აქ უფრო მკაფიოდ ჩანს ადამიანის ინდივიდუალური სტილი, ზედმეტად აქცენტირებული ბრენდების გარეშე. აქ ფერის, ფორმისა და ფაქტურების ისეთი კომბინაციაა საინტერესო, რომელიც კონკრეტული ადამიანის ხასიათს გამოხატავს – სწორედ ეს გამოარჩევს ქუჩის სტილის ფოტოგრაფიას.



სისტემატურად ესწრებით მსოფლიო მოდის კვირეულებს, თქვენს ფოტოობიექტივში არაერთი ცნობილი ვარსკვლავი თუ გავლენიანი ფიგურა მომხვდარა. ვინ მოახდინა თქვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება?
ქუჩის სტილის გადაღებისას რაიმე ერთ, კონკრეტული სტილის ჩაცმულობას არ ვეძებ და, შესაბამისად, ჩემს ფოტოებში განსხვავებული, სპორტული და კლასიკური, მინიმალისტური და დეტალებზე აქცენტირებული ტანსაცმელი შეგხვდებათ. ასეთივე მრავალფეროვანი შეიძლება იყოს იმ ადამიანთა ჩამონათვალი, რომელთა სტილიც ჩემთვის საინტერესო და შთამბეჭდავია.

ხშირად სტუმრობთ პარიზის მოდის კვირეულებს. მოგვიყევით, როგორია სტანდარტული სამუშაო დღე მოდის დედაქალაქში?
დილით ადრე გავდივარ სახლიდან, ჩვენებები 10 საათიდან იწყება და ზოგჯერ მზის ჩასვლამდე ვუღებ ფოტოებს მოსულ სტუმრებს. ჩვენებები ქალაქის სხვადასხვა ნაწილშია და ხშირად გადაღებებს შორის მხოლოდ ყავის დალევას ვასწრებ ხოლმე. ასე აჩქარებული რიტმი სტიმულს მაძლევს, სწრაფად და ზუსტად ვიმუშაო, ვიყო იქ, სადაც საინტერესო და სხვებისგან განსხვავებულ ფოტოს გადავიღებ.

პარიზში მოდის კვირეულის დროს მთელი ქალაქი მოდის ჩვენებას ჰგავს, თითქოს ცხოვრების რიტმიც აჩქარებულია. ქუჩები და კაფეები სავსეა საინტერესოდ ჩაცმული ხალხით და ხშირად შეხვდებით ჩვენთვის საყვარელ ცნობილ ადამიანებს – დიზაინერებს, მოდელებს, ფოტოგრაფებს, რეჟისორებსა და კინოვარსკვლავებს, ამიტომ სულ მზად უნდა იყო ფოტოს გადასაღებად.

არის თუ არა რაიმე განვითარებადი ტრენდი ქუჩის მოდაში, რომლის გადაღებაც თქვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ან რთულია?
ჩემთვის საინტერესო ინდივიდუალური სტილის დოკუმენტაციაა და არა მხოლოდ კონკრეტული ბრენდის ტანსაცმელი. სტუმრების უმეტესობას იმ კონკრეტული ბრენდის ტანსაცმელი აცვია, რომლის ჩვენებასაც ესწრებიან, რაც ხშირად მოსაწყენია, თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც ინდივიდუალური სტილის წარმოჩენას კარგად ახერხებენ. სწორედ ასეთი ადამიანების გადაღებაა ჩემთვის საინტერესო.



„მოდის კვირეულის მთავარი გამოწვევაა ის, რომ მუდმივად მზად უნდა იყო ქუჩაში გადასაღებად"

რა გამოწვევებს აწყდებით ქუჩის სტილის ფოტოგრაფიაში მსოფლიო მოდის კვირეულებზე და როგორ უმკლავდებით მათ?
მოდის კვირეულის მთავარი გამოწვევაა ის, რომ მუდმივად მზად უნდა იყო ქუჩაში გადასაღებად. მოდის კვირეულზე ქუჩის სტილს ძალიან ბევრი ფოტოგრაფი იღებს, ამასთან ერთად, ცნობილი ადამიანების სანახავად ბევრი ხალხი დადის ჩვენებებზე და ტელეფონით ფოტოს ან ვიდეოს უღებს მოსულ სტუმრებს. ამ ქაოსში, უამრავ ადამიანში უნდა შეძლო და მოკლე დროში გადაიღო კარგი ფოტო. ეს საკმაოდ რთული, მაგრამ, ამავდროულად, აზარტულიცაა.

გიფიქრიათ საოცნებო პროექტზე, კოლაბორაციაზე ან, უბრალოდ, ისეთ ადგილზე, სადაც საკუთარ თავს განსხვავებული კუთხით აღმოაჩენდით?
ქუჩის სტილის მიმართულებით რამდენიმე საერთაშორისო გამოცემასთან მითანამშრომლია, გარდა ამისა, „ქემფეინებსა" და „ედიტორიალებსაც" ვიღებ და ვფიქრობ, მოდის სხვადასხვა სახლთან ამ მიმართულებით თანამშრომლობა უფრო საინტერესო იქნება. პარიზი კი სწორედ ის ადგილია, რომელიც ამის საშუალებას იძლევა.



SIMPLY ICONIC

BRUNELLO CUCINELLI

ლეგენდარული საკულტო ნივთები არასდროს ძველდება, მით უფრო, თუ საქმე მოდას ეხება. წარმოგიდგენთ მოდის ხელოვნებაში ლეგენდად ქცეული ნამუშევრების ილუსტრაციებს, რომლებიც საკულტო სისადავეს გვიჩვენებენ.

ილუსტრაცია ანასტასია ვინოკუროვა
@VINOKUROVA_ILL

miu miu

RALPH LAUREN
FW'23

მინიმალისტური ესთეტიკა, ელეგანტურობა და მოდა, რომელსაც საზღვრები არ აქვს – კლერ როუზის სტილი

ისეთ სამყაროში, სადაც მოდის ტენდენციები მუდმივად იცვლება, აქტუალობის დიდხანს შენარჩუნება ძალიან ძნელია

ყველაფერი მოდის სიყვარულით დაიწყო. ჯერ სულ პატარა იყო, როცა თავის შემოქმედებით ბუნებას სამოსის შერჩევაში აქსოვდა, როცა მოდა თვითგამოხატვისა და სამყაროსთან ურთიერთობის საშუალებად აქცია. დღეს კი მოდის ინდუსტრიის განუყოფელი ნაწილია - ინფლუენსერი, რომელსაც მილიონზე მეტი გამომწერი ჰყავს ინსტაგრამზე, თანამშრომლობს ცნობილ ბრენდებთან და ასიათასობით ქალს შთაგონებით ავსებს.
ეს კლერ როუზის ამბავია, ქალისა, რომელმაც მუდმივად ცვალებად და წარმოუდგენლად კონკურენტულ მოდის სამყაროში თავისი ადგილი იპოვა და დაიმკვიდრა.

კლერი ლონდონში ცხოვრობს, ინფლუენსერობის გარდა, არის მოდელი და ანტრეპრენერი, რაც მთავარია, პერსონა, რომელიც თანამედროვე მოდაზე გავლენას ახდენს და აუდიტორიის ყურადღებას იპყრობს გლობალური მასშტაბით.
კლერის მოგზაურობა მოდის სამყაროში არ არის მხოლოდ ვნება და სიყვარული ამ სფეროს მიმართ, ეს მისთვის თვითგამოხატვის საშუალებაა. ადრეული ასაკიდან სმენასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა, რამაც უბიძგა, რომ სამყაროსთან კომუნიკაციისთვის სხვა გზები ეპოვა და ეს შემოქმედების მეშვეობით გაეკეთებინა.
მოდა თავიდანვე იტაცებდა, ტანსაცმელი კლერისთვის ვიზუალური ხელოვნება იყო.



> კლერ როუზის ყოველი ახალი სტილი არის მტკიცებულება, რომ მოდას, უბრალოდ, საზღვრები არ აქვს

მისი სტილის ერთ–ერთი ყველაზე გამორჩეული ასპექტებია მინიმალიზმი და ელეგანტურობა. ისეთ სამყაროში, სადაც მოდის ტენდენციები მუდმივად იცვლება, აქტუალობის დიდხანს შენარჩუნება ძალიან ძნელია. კლერი კი ქმნის სტილს, რომელიც დროს უძლებს.
მისი გარდერობი ნეიტრალური ტონებისგან შედგება. აქვს განსაკუთრებული ნიჭი, მუდმივად ცვალებად მოდის ლანდშაფტს მოერგოს და თან მინიმალისტური ესთეტიკის ერთგული დარჩეს; ტენდენციებს ითვალისწინებს და, ამავე დროს, მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმით გამოირჩევა.
იგი იყო ისეთი ბრენდების კამპანიების სახე, როგორიცაა: Burberry, Bvlgari, Dior, Marc Jacobs, Yves Saint Laurent, Calvin Klein, Nike, Michael Kors, Vestiaire Collective, Veuve-Clicquot, Vogue, Net-A-Porter, La Perla და Guerlain.
კლერ როუზის ყოველი ახალი სტილი არის მტკიცებულება, რომ მოდას, უბრალოდ, საზღვრები არ აქვს.

ლაღი, ნამდვილი, შრომისმოყვარე
და ხანდახან გულუბრყვილო

თიკა ფაცაციას
წარმატების გზა

მისი სახელი უშრეტ ენერგიასთან, შთაგონებასთან, წარმატებასთან არის დაკავშირებული. თუკი ვისაუბრებთ მრავალმხრივ ნიჭიერ ადამიანებზე, რომლებიც თავიანთი ყველა ტალანტის რეალიზებას ახერხებენ, მათგან ერთ-ერთი აუცილებლად თიკა ფაცაცია იქნება. ამბობს, რომ გულწრფელი და ნამდვილია. ამას გრძნობს საზოგადოება, გრძნობს და უფასებს, ადამიანები დიდი სიყვარულით პასუხობენ იმ პოზიტიური ენერგიის სანაცვლოდ, რომელსაც თიკა უხვად გასცემს. აბედნიერებს, როცა ხედავს, რომ სხვათა განწყობის შეცვლა, სხვებისთვის დადებითი მუხტის გადაცემა შეუძლია.
ჩვენი ნომრის მთავარი გმირის, თიკა ფაცაციას ცხოვრება – ეს ჭკვიანი, შრომისმოყვარე, ენერგიული, თავდაჯერებული, ძლიერი და წარმატებული ქალის ამბავია.

ინტერვიუ ხატია ვარდოსანიძე

> უკვალოდ არაფერი ჩაივლის, ყველაფერი ტოვებს თავის კვალს – კარგიც და ცუდიც. მთავარია საკუთარი საქმის, პროფესიის სიყვარული და ერთგულება

ბავშვობა, როგორც წარმატების საფუძველი
ბავშვობა მთავარი საძირკველია ადამიანის ხედვის ჩამოსაყალიბებლად, საქმიანობის სფეროს ასარჩევად. ბავშვობაში ჩაეყარა საფუძველი ჩემს შრომისმოყვარეობას, პასუხისმგებლობის გრძნობას, ნიჭის და ყველა რესურსის ათვისების, საკუთარი თავის რეალიზების სურვილს.
ჩემმა მშობლებმა ბავშვობაში ჩამინერგეს, რომ მნიშვნელოვანია ყოველი დღის შენთვის სასარგებლოდ გამოყენება. ეს თვისება დღემდე მომყვება.
დავდიოდი ცეკვაზე, სიმღერაზე, გიტარაზე და ა.შ. რასაც ადრეულ ასაკში ვისწავლით, უკვალოდ არაფერი ქრება, ეს ზუსტად შემიძლია ვთქვა, რადგან ბავშვობაში თუ რამეზე მივლია, იმ პერიოდში თუ რამე მისწავლია, დღეს ყველაფერი მადგება.
ბავშვობის პერიოდში ადამიანი ღრუბელივით ისრუტავს ყველა სიკეთეს, რომელიც შეიძლება მოზარდმა მიიღოს. ახლა ამ ყველაფერს მშობლის თვალით ვუყურებ და ვფიქრობ, რომ ბავშვმაც უნდა შეგიწყოს ხელი.
ძალიან დამჯერი ვიყავი და მივყვებოდი გზას, რომელიც მშობლებმა ჩემი ნიჭიდან გამომდინარე ამირჩიეს. ჩემს შვილებს ასე ვერ ვაიძულებ, ვერ ვატარებ იქ, სადაც მინდა. ახლა სხვანაირი ბავშვები არიან, ან შეიძლება მე ვიყავი მაშინ სხვანაირი.
ჩემი წარმატება ბავშვობაში ჩადებული რესურსის და შრომის შედეგია.

სტილის შესახებ
რადგან მოდელი ვიყავი, ჩემს ჩაცმულობაში მოდის ტენდენციებს ადრეული პერიოდიდანვე ვითვალისწინებდი. მოდას და სტილს ჩემთვის არ აქვს ვიწრო გაგება.
მიყვარს კლასიკური სტილი და მგონია, რომ მკაცრი სამოსი მიხდება კიდეც, თუმცა სიმართლე რომ ვთქვა, ბევრ განსხვავებულ სტილს ვიხდენ. ტანსაცმელი, რომელსაც ვირჩევ, შემდეგ თითქოს ჩემი ინდივიდუალიზმის ნაწილი ხდება.
ალბათ, მოდელობა სწორედ ამას გულისხმობს – რასაც ჩაგაცმევენ, ისე მოირგო, რომ შენს სტილად აქციო. მოდელის გამოცდილებიდან გამომდინარე, შემიძლია სხვადასხვა სტილის სამოსი ისე მოვირგო, რომ ჩემად ვაქციო.
ჩემი პირადი სტილი მაინც კლასიკურია – ცოტა მკაცრი, ზოგჯერ მამაკაცურიც. ამავდროულად, ქალური სილუეტის და ხაზების გამოკვეთაც მხიბლავს. ძალიან მომწონს, როცა ლუქში არის რაიმე ისეთი დეტალი, რომელიც ყურადღებას იქცევს, „ყვირის“.
ფერებს რაც შეეხება, ასაკის მატებასთან ერთად შემეცვალა წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა ფერი მიხდება. რადგან შავგვრემანი ვარ, ვთვლიდი, რომ პასტელის ფერები ნაკლებად მიხდებოდა, ვფიქრობდი, რომ არ უნდა ამერჩია ვარდისფერი, ცისფერი… თუმცა ახლა არ არსებობს ფერი, რომელსაც ვერ მოვიხდენ. რომელ ლუქზეც უფრო მეტ კომპლიმენტს ვიღებ, ჩემთვის ავტომატურად იმის მანიშნებელია, რომ სწორედ ის კონკრეტული სტილი მიხდება ყველაზე მეტად.

„შრომა სხვანაირად აკეთილშობილებს ყველაფერს და სხვა ფასს ადებს წარმატებას, ბევრად უფრო ღირებული ხდება“

„სეთი“ – ფერადი შუქი ჩამქრალ 90–იანებში
„სეთი“ ძალიან მიყვარს, ის ჩემი ტკბილი ბავშვობის გამოძახილია, ბავშვობისა, რომელიც იყო ძალიან საინტერესო. იმ ერთგვარად ჩამქრალ სამყაროში დიდი შუქები ენთო ხოლმე ჩვენთვის, იმართებოდა ჩვენებები, კონცერტები და ცხოვრებას მიბედნიერებდა, ამასთანავე, კარგი შემოსავლის წყაროც იყო, ყოველ შემთხვევაში, იმ პერიოდისა და იმ ასაკისთვის.
ძალიან მიყვარს ის დრო. ჩემთვის „სეთის“ გახსენება ბედნიერ ემოციებს უკავშირდება. „თქვი, რას აპირებ“ და „არ გაჩერდე“ ის სიმღერებია, რომლებმაც შემდეგ ჩემი სოლო კარიერა განაპირობეს. „არ გაჩერდე“ თითქოს ჩემი ცხოვრების ლაიტმოტივი გახდა. მუდმივად, მუდმივად მოქმედებაში უნდა იყო! ყველა ადამიანს აქვს ცხოვრებაში წარუმატებლობის, დაცემის მომენტი და არდანებება, არგაჩერება მთავარია, რაც უნდა შევძლოთ! ამას ამბობს ეს სიმღერაც.

„ადამიანებს ვიღებ ისეთებად, როგორებიც არიან“
მაყურებლის სიყვარულს, მათგან წამოსულ დადებით ემოციას ყოველთვის ვგრძნობ.
ამ სიყვარულს საფუძველი აქვს, რომელიც, ალბათ, საიდუმლოს არ წარმოადგენს – ასეთი პერსონა ვარ, ღია, ლაღი, მიმღები, ზოგჯერ ძალიან გულუბრყვილოც, რაც ჩემი დიდი პლუსი მგონია; არ მიყვარს ადამიანების გაკრიტიკება და სხვებიც ხედავენ ჩემს ამ თვისებებს.
მიყვარს ხალხის განწყობაზე დადებითად ზემოქმედება, ესეც ხომ თვალსაჩინოა?! ამასაც გრძნობს მაყურებელი. ნამდვილი ვარ მათ წინაშე, არ ვმალავ ემოციებს, თუ მეტირება, ვტირი, როცა ემოცია მაწვება, გამოვხატავ, თუ მეცინება, გულიანად ვიცინი. ჩემს თავში კიდევ ერთი კარგი თვისება აღმოვაჩინე – ადამიანში, საქმეში კარგს ვეძებ და ვეჭიდები. ალბათ, ესეც იგრძნობა.
რასაც ვაკეთებ, ყველაფერი ბუნებრივია. დადგმული, ხელოვნური არაფერია. ვფიქრობ, ეს დიდ როლს თამაშობს, რომ ისეთად აღმიქვან, როგორიც ვარ სინამდვილეში.
მიყვარს ადამიანები და სითბოს გამოვხატავ მათ მიმართ, შემიძლია გამოვიცნო, ვინ როგორ ტალღაზეა და ისეთი რამ შევთავაზო, რაც იმ მომენტში გაახარებს, ასიამოვნებს, გულს გაუთბობს. ასევე, ადამიანებს ვიღებ ისეთებად, როგორებიც არიან. ეს, ალბათ, წლების მატებასთან ერთად მოვიდა.

„ჩემი მთავარი მამოძრავებელი ჩემი საქმეა“
როცა რთულ სიტუაციაში ვარ, ჩემთვის სანდო, მნიშვნელოვანი და ჭკვიანი ადამიანების რჩევას ვითვალისწინებ.
ვიზიარებ იმ ხალხის რეკომენდაციებს, რომლებშიც გონიერებას, პრაქტიკულობას და სწორი რჩევების მოცემის უნარს ვხედავ. მათ მივანდობ ხოლმე ჩემი პრობლემის დანახვას.
რაც შეეხება იმას, როგორ ვიქცევი რთული სიტუაციების დროს: თუ ვხედავ, რომ კონკრეტულ ეტაპზე სასარგებლო იქნება რაღაცის მოთმენა, მირჩევნია ხოლმე, რომ მოვითმინო, დაველოდო და შემდეგ გადავდგა ნაბიჯები.
უნდა გინდოდეს, რომ გამოსავალი იპოვო. თუ გინდა, რაღაცები შეცვალო, გაგიჩნდება კიდეც იდეა ამ ცვლილებებისთვის. ჩემი ამოსავალი, ზოგადად ყველაფერში, არის ბალანსი. ზოდიაქოს ნიშნით სასწორი ვარ და ბალანსი, ჰარმონია ჩემთვის მთავარია.
ცხოვრებაში როცა რთული პერიოდი მაქვს, ზუსტად ვიცი, რომ აუცილებლად დავძლევ ყველაფერს და აუცილებლად დადგება კარგი ეტაპი. ძნელია რთულ სიტუაციაში ყოფნა, მაგრამ მას აუცილებლად მოსდევს ხოლმე

„უნდა გინდოდეს, რომ გამოსავალი იპოვო. თუ გინდა, რაღაცები შეცვალო, გაგიჩნდება კიდეც იდეა ამ ცვლილებებისთვის“

„ბავშვობის პერიოდში ადამიანი ღრუბელივით ისრუტავს ყველა სიკეთეს, რომელიც შეიძლება მოზარდმა მიიღოს“

კარგი ამბები. ცუდი და კარგი ამბები ყოველთვის მონაცვლეობენ.
ჩემთვის მთავარი მამოძრავებელი ჩემი საქმეა. რაც უფრო მეტს ვშრომობ, მით უფრო მეტი ენერგია მაქვს. ენერგიის ხარჯვა ემოციურად მავსებს. ენერგიას მაძლევს საყვარელ ხალხთან, ნამდვილ ადამიანებთან ურთიერთობა, მათთან ერთად შინაარსიანად და სასიამოვნოდ გატარებული დრო.

ოჯახი – ყველაზე დიდი ძალა და ყველაზე დიდი სისუსტე
როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ადამიანის ძალაც და სისუსტეც, ალბათ, ოჯახია. ვინც ყველაზე უფრო ეძვირფასება, უყვარს, მასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის პრობლემა ყველაზე მეტად ანგრევს ადამიანს და თანაც ბევრად უფრო მასშტაბურად, ვიდრე კარიერაში არსებული პრობლემები.
მქონია ეტაპები, როდესაც ჩემი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ძალადაკარგული ვყოფილვარ. ჩემი სისუსტე ჩემი საყვარელი ადამიანები არიან.

„რომ არა ეს პროფესიები, შესაძლოა, ფსიქოლოგი ვყოფილიყავი“
რეალურად, მე ვარ ადამიანი, რომლის საქმიანობაც გათვლილია სხვის სიამოვნებაზე. როდესაც ვხედავ, რომ ჩემი საქმიანობა სხვას სიხარულს ანიჭებს, მხოლოდ მაშინ მეუფლება კმაყოფილება. მიყვარს, როდესაც ბედნიერ ადამიანებს ვხედავ. აქედან გამომდინარე, ყველაფერი მანიჭებს სიამოვნებას, რაც ხალხთან ურთიერთობაში მოიაზრება.

ადამიანები, მათთან ურთიერთობა, მათი დადებითი ენერგია, რომელსაც სულ ვგრძნობ, მავსებს და, ალბათ, სხვა საქმიანობას თუ ავირჩევდი, რამე ისეთი იქნებოდა, რაც სხვებისთვის ბედნიერების მოტანას დაუკავშირდებოდა. შეიძლება ყოფილიყო რაიმე ესთეტიკასთან, კრეატივთან კავშირში, შეიძლება ყოფილიყო, მაგალითად, მაკიაჟის ხელოვნება. როგორც გითხარით, პატარაობიდან დავდიოდი ცეკვაზე, სიმღერაზე და მივეჩვიე ბევრი ადამიანის ერთად ცქერას. ჩემი შინაგანი ხმა ამას მთხოვს... მაგრამ თუ მაინცდამაინც სხვა პროფესიაზე მიდგებოდა არჩევანი, შეიძლება ფსიქოლოგიაც ამერჩია.

როცა კამერები გამორთულია...
თუ ავად ვარ და ასეთ დროს კამერა ჩაირთო, რა თქმა უნდა, იმ წუთიდან მავიწყდება ავად ყოფნა. მერე შეიძლება ვთქვა, უი, სიცხე მქონია, მაგრამ როცა კამერა ჩართულია, ასეთი რაღაცები აღარ მახსოვს.
კამერების გათიშვის შემდეგ კი ჩვეულებრივი ვარ, დიდი ტრანსფორმაცია არ ხდება. ერთადერთი, შეიძლება ყოფითმა საქმეებმა მაიძულოს, რომ სადღაც გავიქცე, დავრეკო, მოვაგვარო ოჯახთან დაკავშირებული საკითხი. ძალიან ჩვეულებრივი ვხდები, საქმიანი, როგორც ყველა მშობელი, მეუღლე და ქალი.

„თუ ვხედავ, რომ კონკრეტულ ეტაპზე სასარგებლო იქნება რაღაცის მოთმენა, მირჩევნია ხოლმე, რომ მოვითმინო"

„ზოგჯერ დრო უნდა გავიდეს, ბევრმა წყალმა ჩაიაროს, თუმცა რასაც იმსახურებ, ის აუცილებლად მოვა"
წარმატება მოაქვს ყველაფერს, რასაც წარმატებისთვის გააკეთებ. ზოგჯერ მართლაც ხდება ისეთი რაღაცები, რასაც შეგვიძლია სამყაროს საჩუქარი ვუწოდოთ – შესაძლებლობები ჩნდება, ღია კარი გხვდება, სადაც უბრალოდ უნდა შეიხედო, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ ყველაფერს შრომის გარეშე ფასი არ აქვს.
შრომა სხვანაირად აკეთილშობილებს ყველაფერს და სხვა ფასს ადებს წარმატებას, ბევრად უფრო ღირებული ხდება.
წარმატება ბევრი ფაქტორის კომბინაციაა: შრომასთან ერთად, ნიჭი და იღბალიც გჭირდება, ზოგჯერ თმენაც – საჭიროა, რომ შენს მომენტს დაელოდო. ეს არის პროცესი, უნდა განეწყოთ და არ შეწყვიტოთ შრომა. წარმატების გზაზე რა გაკვეთილებიც მიმიღია, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, ისაა, რომ უკვალოდ არაფერი ჩაივლის, ყველაფერი ტოვებს თავის კვალს – კარგიც და ცუდიც. მთავარია საკუთარი საქმის, პროფესიის სიყვარული და ერთგულება. პროფესიონალიზმი სწორედ ეს არის – როცა ერთგული ხარ შენი საქმის, ძალიან გიყვარს, აფასებ, ხარ პუნქტუალური, საქმიანი... მე არ შემიძლია ურთიერთობა ისეთ ადამიანებთან, ვისთვისაც დრო მნიშვნელოვანი არ არის, ვინც არ უფრთხილდება არც საკუთარს და არც სხვის დროს. ის, რაც გეკუთვნის, აუცილებლად მოვა, უბრალოდ, ზოგჯერ დრო უნდა გავიდეს და ბევრმა წყალმა ჩაიაროს, თუმცა რასაც იმსახურებ, იმას აუცილებლად მიიღებ.

„არ შემიძლია ურთიერთობა ისეთ ადამიანებთან, ვისთვისაც დრო მნიშვნელოვანი არ არის, ვინც არ უფრთხილდება არც საკუთარს და არც სხვის დროს"

„პატარა თიკას ვეტყოდი: „შენ ყველაფერს შეძლებ!"
10 წლის თიკა საკმაოდ გაუბედავი, მორცხვი, ძალიან დამჯერი, ამავდროულად, დაკვირვებული და ყოჩაღი გოგო იყო. მას ვეტყოდი, რომ ყველაფერი კარგად იქნება, იმიტომ რომ, ალბათ, ადამიანებს ყველაზე მეტად სწორედ ამის მოსმენა სურთ ხოლმე. ასე მომმართავდნენ ჩემი მშობლებიც და გვერდით მედგნენ. იმიტომაც ვწერთ ახლა ამ ინტერვიუს და იმიტომ დაინტერესდით ჩემი ცხოვრებით. ასე რომ, მადლობა ჩემს მშობლებს და მადლობა ასიათასობით ადამიანს, რომელიც დიდ სიმპათიებს, სიყვარულს გამოხატავს და კეთილ სურვილებს მიგზავნის. გადამეხადოს ყველასთვის ისეთივე ბედნიერების მინიჭებით, როგორიც მე მეუფლება ხოლმე მათი კომენტარების კითხვისას.

WHISPERS OF WINTER

MANGO

STARRING: TIKA PATSATSIA
PHOTO: SHOTA GOTOSHIA
STYLE: DATA ALEKSEEV



Starring TIKA PATSATSIA
Photo SHOTA GOTOSHIA
Style DATA ALEKSEEV, LEVAN SHAVDIA
Apparel MANGO
MUA TEKO SHENKEN
Hair BY NATA
Styling assistant NINA SHEKILADZE
Speacial Thanks CHÂTEAU MUKHRANI
Photostudio GEODAYLIGHT

ქალი მოდის სამყაროს მილმა

დაიან ფონ ფურშტენბერგი

როცა დაიან ფონ ფურშტენბერგზე ვფიქრობთ, მაშინვე კონკიას ზღაპარი გვახსენდება. ის გერმანელ პრინცს ეგონ ფონ ფურშტენბერგს გაჰყვა ცოლად, ამერიკა „დაიპყრო“ და უზარმაზარ წარმატებას მიაღწია თავისი მოდის სახლის წყალობით. წლების განმავლობაში მისი ბრენდის თაყვანისმცემელი ბევრი ცნობილი ადამიანი გახდა, მათ შორის, მიშელ ობამა, ჰესიკა ალბა, ჰენიფერ ლოპესი, უიტნი ჰიუსტონი და მადონა. მოდის მწვერვალზე იგი უდიდესი ძალისხმევის შედეგად ავიდა, როდესაც საკულტო შემოსაცმელი კაბის სტილი (ღილებისა და ელვა შესაკრავის გარეშე) გამოიგონა. ამ სამოსმა მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმის მუდმივ კოლექციაში დაიმკვიდრა ადგილი.

2008 წელს მოდის დიდების ხეივნის მეშვიდე ავენიუზე დაიან ფონ ფურშტენბერგის ვარსკვლავი გაიხსნა, ხოლო 2014 წელს ჟურნალმა FORBES-მა მსოფლიოს ყველაზე გავლენიან ქალთა შორის დაასახელა. მომდევნო წელს ჟურნალმა TIME-მა იგი მოდის ლეგენდარულ სიმბოლოდ აღიარა. უფრო მეტიც, მისმა მშობლიურმა ქალაქმა ბრიუსელმა ცოტა ხნის წინ უმასპინძლა გამოფენას, სახელწოდებით „დაიან ფონ ფურშტენბერგი. ქალი მოდის მიღმა“.

ინტერვიუ ირინა ბელანი **ფოტო** პრესმასალა

რა გრძნობას იწვევს ბავშვობის ქალაქში დაბრუნება?
ჩემთვის აქ ყოფნა ძალიან ემოციურია, რადგან ბრიუსელში დავიბადე და აქვე, შორიახლოს ვცხოვრობდი, მოდისა და მაქმანის მუზეუმთან. აქ დავდიოდი სკოლაში, საიდანაც დედაჩემი წამომიყვანდა და ანტიკვარულ მაღაზიებს მომატარებდა ხოლმე, რადგან იმ დროს ჩვენი ბინის მორთვით იყო დაკავებული. მე ეს მძულდა. არ მიყვარდა ერთი ადგილიდან მეორეზე სიარული, თუმცა მიყვარს ბელგია. აქ ყოველთვის წვიმს და ჩემი თმა ყოველთვის ხუჭუჭა იყო, რაც თავს უხერხულად მაგრძნობინებდა, რადგან ბელგიელების უმეტესობას სწორი ქერა თმა აქვს. ახლა ეს უკვე აღარ მანაღვლებს. მომწონს ჩემი ხვეული თმა. ხშირად ხდება ხოლმე, რომ ადამიანი, მისი ნიჭი სხვა ადგილას უნდა აღმოაჩინონ. მე მხოლოდ ახლახან დამაფასეს ბელგიაში. ისინი ჩემით ამაყობენ. ეს ძალიან ემოციური და სასიამოვნოა, მით უფრო, რომ მომავალ წელს შემოსაცმელ კაბას ორმოცდაათი წელი უსრულდება.

ნიუ-იორკში მე, ახალგაზრდა ევროპელი პრინცესა ლამაზი ფეხებით და ხშირი თმით, კაბებს ვკერავდი ხელმისაწვდომ ფასად. ვიცოდი, როგორ გამეყიდა ისინი

თავს ბელგიელად თვლით თუ ამერიკელად?
როდესაც 25 წელი შემისრულდა, ამერიკული ოცნებით დავიწყე ცხოვრება. ერთი წლის შემდეგ ამერიკის მოქალაქე გავხდი, მაგრამ ჯერ ისევ მქონდა ბელგიის პასპორტი. ძალიან ევროპელი ვარ, რადგან სწორედ აქ დავიბადე და განათლებაც აქ მივიღე. საერთო ჯამში კი ვთვლი, რომ მსოფლიოს მოქალაქე ვარ.

როგორ დაიწყო მოდაში თქვენი კარიერა?
იტალიაში ერთ საწარმოში დავიწყე მუშაობა, სადაც აბრეშუმის შარფებს ამზადებდნენ. იქ ვისწავლე ყველაფერი ფერების, ფერთა გამის, ბეჭდვის და იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოუყარო ერთად თავი ილუსტრაციებს. მოგვიანებით მფლობელმა სხვა საწარმო იყიდა, რომელიც წინდებს ამზადებდა. იქ იმდენი სპეციალური დანადგარი იყო, მაგრამ ვინაიდან ქალები წინდებს აღარ იცვამენ, მეპატრონემ სხვა დანადგარები შემოიტანა და ტრიკოტაჟის ქსოვილის წარმოება დავიწყეთ. მე შევქმენი პრინტიანი მაისურები, კაბა–მაისურები, კაბა–შარვლები, შემოსაცმელი ზედა სამოსი, ცეკვით და ბალერინებით შთაგონებული, რომლებიც მოგვიანებით კაბებად იქცა. შემდეგ დავქორწინდი და ამერიკაში გადავედი ჩემი ჩემოდნით, რომელიც სავსე იყო პატარა კაბებით.

როგორ ფიქრობთ, ისეთივე წარმატებას მიაღწევდით, კარიერას ახლა რომ იწყებდეთ?
ახლა რომ ვიწყებდე და იმავე პროდუქტს ვქმნიდე – დიახ, ასე იქნებოდა. ნიუ–იორკში მე, ახალგაზრდა ევროპელი პრინცესა ლამაზი ფეხებით და ხშირი თმით, კაბებს ვკერავდი ხელმისაწვდომ ფასად. ვიცოდი, როგორ გამეყიდა ისინი. როდესაც ქალს ვხვდებოდი, გასასინჯ ოთახში მიმყავდა და ჩემს შეკერილ კაბაში თავს კარგად, თავდაჯერებულად, სექსუალურად ვაგრძნობინებდი. მთელი საქმე საკუთარი თავის რწმენაშია. ყოველთვის ვიცოდი, როგორ დავხმარებოდი ქალს, თავდაჯერებული ყოფილიყო არა მხოლოდ იმ ტანსაცმლით, რომელიც ეცვა, არამედ იმით, რასაც მე ვეუბნებოდი, რადგან ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი საკუთარ თავთან ურთიერთობაა.

საკუთარ ბრენდზე საუბრისას რა შეგიძლიათ თქვათ?
უპირველესად, ქალებზე ვზრუნავ. ჩემი საქმე როდესაც დავიწყე, არ ვიცოდი, რისი გაკეთება მინდოდა, მაგრამ ვიცოდი, როგორი ქალი მსურდა ვყოფილიყავი – ხელმძღვანელი ქალი... და გავხდი კიდეც ხელმძღვანელი ქალი. პატარა, მოკლე კაბა დამეხმარა სხვა ქალებთან ურთიერთობების ჩამოყალიბებაში და ის იქცა მათთვის თავისუფლების მოპოვების სიმბოლოდ. მოდის სფეროში საუკეთესო იდეები ყოველთვის მაშინ მომდის, როცა საკუთარ სამოსს ვალაგებ. ვირჩევ, რა ჩავიცვა დღისით და ღამით და როგორი კომბინაცია მოვირგო. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემი პრინტების შთაგონება ბუნებაა, ხოლო თავისუფლება ჩემი ყველაზე დიდი შთაგონებაა.

„დედამ მასწავლა, რომ არასოდეს ვიყო მსხვერპლი. თუნდაც ცხოვრებაში აღმოჩნდე, შენ მაინც თავისუფალი ხარ"

ყოველთვის ვიცოდი, თუ როგორ დავხმარებოდი ქალს, თავდაჯერებული ყოფილიყო არა მხოლოდ იმ ტანსაცმლით, რომელიც ეცვა, არამედ იმით, რასაც მე ვეუბნებოდი, **რადგან ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი საკუთარ თავთან ურთიერთობაა**

საბჭოთა კავშირში დავიბადე. მახსოვს, ერთხელ მოდის ჟურნალში თქვენი შემოსაცმელი კაბა ვნახე და დედაჩემის მეგობარს ვთხოვე, რაიმე მსგავსი შეეკერა ჩემთვის. მხოლოდ ახლახან მივხვდი, რომ ახალი კაბის ჩაცმა კი არ მინდოდა, არამედ თავისუფლება მწყუროდა. საბჭოთა გოგონასთვის ეს ბუნებრივი სურვილია, მაგრამ თქვენ რამ გაგიჩინათ თავისუფლების ნაკლებობის შეგრძნება?
დედაჩემი ფემინისტი იყო. ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმის ასახსნელად, თუ რატომ არის თავისუფლება ასე მნიშვნელოვანი ჩემთვის. ჩემს დაბადებამდე 18 თვით ადრე დედაჩემი პოლიტიკური პატიმარი იყო საკონცენტრაციო ბანაკში, აუსშვიცში. ომის დამთავრებისას 29 კილოგრამს იწონიდა. წესით, მას არ, ვერ უნდა ეცოცხლა, მაგრამ სიცოცხლე გააგრძელა. მაშინ 21 წლის იყო. ბელგიაში როდესაც დაბრუნდა, დედამისს არც კი სჯეროდა, რომ დაბრუნდა. ექვსი თვის შემდეგ თავს თითქმის კარგად გრძნობდა. შვეიცარიიდან მისი საქმრო ჩამოვიდა და დაქორწინდნენ. ექიმებმა უთხრეს, რომ, სულ ცოტა, სამი წელი უნდა მოეცადა, სანამ შვილს გააჩენდა, რადგან სხვა შემთხვევაში ნორმალური ბავშვი არ ეყოლებოდა.
მე ცხრა თვის შემდეგ დავიბადე.
ვფიქრობ, რომ ამან ჩემი დაბადება ერთგვარ გამოცდად აქცია. ასე რომ, თავისუფლებისკენ ლტოლვა ჩემს გენებშია.

რა მთავარი გაკვეთილები ისწავლეთ დედისგან?
დედამ ორი უმთავრესი რამ მასწავლა: პირველი, რომ ვყოფილიყავი უშიშარი. თუ სიბნელის მეშინოდა, კარადაში ჩამკეტავდა ხოლმე. ჩვენს დროში ამ საქციელისთვის მას, ალბათ, ციხეში ჩასვამდნენ, მაგრამ ამის დახმარებით მივხვდი, რომ არ უნდა მშინებოდა. როცა ბნელ კარადაში ხარ, საკუთარ თავს უსვამ კითხვას, თუ რატომ გეშინია სიბნელის. მეორე გაკვეთილი, რაც დედამ მასწავლა, არის ის, რომ მე არასოდეს ვარ მსხვერპლი. თუნდაც ციხეში იყო, შენ მაინც თავისუფალი ხარ. მან მითხრა, რომ ის ღმერთმა იხსნა, რათა ჩემთვის სიცოცხლე მოეცა. ჩემთვის სიცოცხლის მოცემით მან სიცოცხლე დაიბრუნა. მისთვის თავისუფლების უფასურად ვიქეცი.

მოდის ინდუსტრიაში უკვე დიდი ხანია მუშაობთ, ჯერ კიდევ მოგწონთ ეს საქმე?
დიახ, მომწონს. 13 წლის განმავლობაში ამერიკის მოდის დიზაინერთა საბჭოს ვხელმძღვანელობდი. მსურს, რომ ჩემი მემკვიდრეობა ჩემს შვილიშვილ გოგონას გადავცე, რომელიც, მჯერა, კარგ საქმეს გააკეთებს. ახლა მინდა, რომ მე თვითონ მეტი დრო ქველმოქმედებას და ქალების დახმარებას დავუთმო.

დევიდ კომას ესთეტიკა

წარმოგიდგენთ ჩვენს ახალ ვარსკვლავს, დევიდ კომას, ქართული ფესვების მქონე, ლონდონში მოღვაწე დიზაინერს. იგი სხეულის კონტურული სილუეტების სინონიმად იქცა, რომელიც ქალის ფორმებით შთაგონებულ სკულპტურულ კაბებს ქმნის. კოქტეილის კაბებთან ერთად, რომლებმაც დიზაინერი საერთაშორისო ასპარეზზე გაიყვანა, სამოდელო სახლ KOMA-ს მიერ შემოთავაზებული ასორტიმენტი გაფართოვდა და სხვადასხვა ხაზს მოიცავს – ყოველდღიური სამოსიდან დაწყებული, წითელ ხალიჩაზე გამოსასვლელი ულამაზესი კაბებით დამთავრებული.

თბილისში, საქართველოში დაბადებული დევიდ კომა 8 წლის იყო, როდესაც აღმოაჩინა, რომ ტანსაცმლის დიზაინით იყო გატაცებული. იგი სახვით ხელოვნებას სანქტ-პეტერბურგში სწავლობდა. დევიდმა თავისი პირველი კოლექციის ჩვენება 15 წლის ასაკში გამართა. 2003 წელს იგი ლონდონში გადავიდა, რათა სწავლა დაეწყო პრესტიჟულ ENTRAL Saint MARTINS-ის კოლეჯში, რომელიც 2009 წლის აპრილში მოდის მაგისტრის დიპლომით დაამთავრა. მისი ხელმძღვანელი პროფესორი ლუიზ უილსონი იყო.
სკოლის დამთავრების შემდეგ დევიდ კომამ თავისი სახელობითი ბრენდი შექმნა და მას შემდეგ აქტიურად მონაწილეობს ლონდონის მოდის კვირეულებში.

მოდით, გავარკვიოთ, თუ რატომ არის მისი კაბები ასეთი აქტუალური და რამდენიმე მნიშვნელოვანი მოდის გაკვეთილი ვისწავლოთ.

ინტერვიუ ულვია მაჰმუდი, სოფია მამადოვა **ფოტო** პარვიზ გასიმზადე

„გჯეროდეთ საკუთარი თავის. საქმეებს ნუ გადადებთ. არასდროს შეწყვიტოთ სწავლა, ენდეთ თქვენს გულს, ისწავლეთ კრიტიკის მიღება"

DAVID KOMA

„მიზნად ვისახავ მდიდრული სამოსის შექმნას, რომელიც მარადიულია"

თქვენი სახელობითი ბრენდის სამოსი ჰოლივუდის იმ თითქმის ყველა ცნობილ ადამიანს სცმია, ვინც კი შეიძლება გაგვახსენდეს. რა არის თქვენი წარმატების საიდუმლო?

მადლობას გიხდით. თავს ბედნიერად ვგრძნობ, რომ ასეთ საოცარ, მრავალმხრივად ნიჭიერ ქალბატონებს ჩემი ნამუშევრები აცვიათ. ჩემთვის ბიზნესში წარმატების გასაღებს წარმოადგენს ის, რომ მომხმარებელს უნდა ვიცნობდე. ვცდილობ, ვიყო აქტუალური და უზრუნველვყო, რომ ჩემი კოლექციები თანამედროვე ქალებს და მათ საჭიროებებს ასახავდეს. ამავე დროს, მიზნად ვისახავ მდიდრული სამოსის შექმნას, რომელიც მარადიულია. ყოველთვის ვცდილობ, გავზარდო ქალების შესაძლებლობები ჩემი ტანსაცმლის გამოყენებით.

ვინ არის დევიდ კომას ქალი?

ტანსაცმლის შექმნისას ერთი რომელიმე კონკრეტული მუზა არ მყავს. უბრალოდ, მაქვს წარმოდგენა რამდენიმე პერსონაჟზე. შედარება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბრენდის ესთეტიკაში. ვფიქრობ, რომ „კომას" ბრენდს საფუძველში ასევე უდევს მრავალფეროვანი კონტრასტები. კომას ქალი არის მკაცრი, მაგრამ მგრძნობიარე, თავისუფალი, მაგრამ, ამავე დროს, თავშეკავებული, ახალგაზრდა და თან ზრდასრული – ეს კომპლექსური ხასიათი ასახავს თანამედროვე ქალს. მე მას წარმოვიდგენ 21-ე საუკუნის საბედისწერო ქალად – ის არის ძლიერი და თავდაჯერებული, დახვეწილი, სექსუალური მიმზიდველობით.

ქართულ სტილს კარგად ვიცნობ, რადგანაც მეც ქართული ფესვები მაქვს და ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი ადგილობრივი დიზაინერებით. ვფიქრობ, მოდის სფეროში მათ უნიკალური შინაგანი შეგრძნება და გემოვნება აქვთ. თქვენი აზრით, რაში მდგომარეობს ამ უნიკალურობის საიდუმლო?

საქართველო მშვენიერი ადგილია, სადაც ადამიანი შეიძლება გაიზარდოს მდიდარი ისტორიით, ბუნებით და უგემრიელესი კერძებით! მგონია, რომ საიდუმლო სამშობლოს მიმართ ქართველების სიყვარულშია, რომელიც მუდმივი შთაგონების წყაროა. ჩემთვის სწორედ იმ გარემოში დაიწყო ჩემი შემოქმედებითი მოგზაურობა, იმ ადგილას, სადაც აღმოვაჩინე, რომ ხატვა მიყვარდა. ხშირად ვიხსენებ საქართველოს, მათ შორის, FW17 კოლექციას, რომელიც ჩემს სამშობლოს მივუძღვენი.

რა ან ვინ არის თქვენთვის მოტივაციის მთავარი წყარო და ვინ გიდგათ მხარში?

ჩემი მოტივაცია ჩემი შინაგანი სამყაროდან მოდის. რაც თავი მახსოვს, სულ მინდოდა, წარმატებული დიზაინერი ვყოფილიყავი. მხარდამჭერი ჩემი ოჯახი და ჩემი გუნდია. ძალიან გამიმართლა, რომ მხარდამჭერთა დიდი გუნდით ვარ გარშემორტყმული, რომლის თითოეული წევრი გულმოდგინედ შრომობს იმისთვის, რომ დამეხმაროს ჩემი იდეების რეალობად ქცევაში.

მოდის რომელი პერიოდი გხიბლავთ ყველაზე მეტად და რატომ?

60-იანი წლები არის ის ეპოქა, რომელსაც ხშირად მივმართავ შთაგონებისთვის. იმ დროს მოხდა რადიკალური ცვლილება ტანსაცმლის სტილში და ჩაცმის მიმართ მიდგომებში, სუბკულტურების აღზევება და განხორციელდა ექსპერიმენტები ახალი და საინტერესო მასალებით. მუსიკამ და მხატვრულმა სცენამ ასევე განიცადა კულტურული რევოლუცია – ეს იყო თავისუფლებისა და მხიარულების ეპოქა!

როგორია თქვენი შემოქმედებითი პროცესი კოლექციის გაშვებამდე?

ყველაფერი იწყება შთაგონებით, იმ კომპონენტთა კოლაჟებით, რომელთა გამოყენებითაც ახალი კოლექცია დაიბადება, თუმცა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი ტანსაცმლის მოზომება–მორგების პროცესია – ამას ყველაზე დიდი დრო მიაქვს. ამ პროცესში ტანსაცმელს ქალის სხეულს ვარგებთ და სამოსში შესწორებები შეგვაქვს იქამდე, სანამ ყველა დეტალით და ყველა ნაკეცით სრულყოფილი არ გახდება. ვამაყობ იმით, რომ ვქმნი ისეთ სამოსს, რომელიც იდეალურად არის მორგებული. ერთი და იგივე კაბა შემიძლია მრავალჯერ შევქმნა და გადავაკეთო იქამდე, სანამ ბოლომდე კმაყოფილი არ დავრჩები. კასტინგი რომ დასრულდება, შერჩეულ მოდელს ორი დღის განმავლობაში ვარგებთ ახლად შექმნილ კაბას და მხოლოდ ამის შემდეგ არის იგი მზად პოდიუმზე გასასვლელად.

ახლა, როცა კარიერის პიკს მიაღწიეთ, რას ეტყოდით რვა წლის დევიდ კომას თავის ოცნებებზე?

მიჰყევი შენს ოცნებებს და ცხადად აქციე! ყველაფერი, რაზეც კი ფიქრობ, შეგიძლია რეალობად აქციო.

მიჰყევი ოცნებებს. რაზეც კი ფიქრობ, შეგიძლია რეალობად აქციო

2009 წელს, Central Saint Martins–ის კოლეჯის დამთავრების შემდეგ, თქვენი ბრენდი დააარსეთ და მალევე ბიონსემ ჩაიცვა „კომას“ ერთ–ერთი კაბა MTV–ს მუსიკალური სატელევიზიო დაჯილდოების ცერემონიაზე. ეს, ალბათ, მნიშვნელოვანი მიღწევა უნდა ყოფილიყო, რომლითაც ამაყობთ. გაგვიზიარეთ მაშინდელი ემოციები...

ძალიან გამიმართლა, ბიონსესთან მუშაობა კარიერის დასაწყისშივე რომ მომიწია. განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო ჩემ მიერ შექმნილი კაბის ნახვა წარმატების მწვერვალზე მყოფ ასეთ ნიჭიერ ქალზე. იმის მიუხედავად, რომ უკვე მრავალი წელია ბიონსეს ჩემს სამოსში გამოწყობილს ვხედავ, ყოველ ჯერზე მისი დანახვა კვლავ ძველებურად მაღელვებს – ეს ბიონსეს სამოსს ჰგავს გასული წლის „ოსკარის“ ცერემონიაზე, სადაც მან გამაოგნებელი სანახაობა მოაწყო. მისი ძალიან მადლიერი ვარ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში გამოჩენილი მხარდაჭერისთვის. მიყვარს მასთან და მის გუნდთან მუშაობა.

როდის მიხვდით, რომ ქალის შემოსვა თქვენი გატაცება იყო?

ყოველთვის შთაგონებული ვიყავი ქალებით, თუმცა არა მხოლოდ მათი ფიზიკური ფორმებით. ქალები სამყაროში ყველაზე უნიკალური და ძლიერი ქმნილებები არიან. განსაცვიფრებელია მათი უნარი – გააჩინონ ბავშვი, უყვარდეთ უპირობოდ და „ააშენონ სახლი“. ისინი ნამდვილად არაჩვეულებრივები არიან.

თქვენგან გვჭირდება რჩევა მოდის სფეროში დამწყებებისა და მეოცნებეებისთვის, გვითხარით, თავად რისი ცოდნა გსურდათ მაშინ, როცა კარიერას იწყებდით?

ძალიან გამიმართლა, რომ „სენტრალ სენტ–მარტინსის“ კოლეჯში ვსწავლობდი პროფესორ ლუიზ უილსონის ხელმძღვანელობით. გეტყვით მანტრას, რომელსაც იგი გვასწავლიდა, ახსნა–განმარტებების გარეშე. „გჯეროდეთ საკუთარი თავის. იცოდეთ, როდის უნდა ილაპარაკოთ. ითანამშრომლეთ. საქმეებს ნუ გადადებთ. განაგრძეთ სწავლა. იპოვეთ შთაგონება ყველგან. ენდეთ თქვენს გულს. ითხოვეთ დახმარება. ისწავლეთ კრიტიკის მიღება. იფიქრეთ ყველა შესაძლებლობაზე“.

რა გამოწვევების წინაშე აღმოჩნდით, როდესაც თქვენი ბრენდის შექმნას იწყებდით?

მხოლოდ ნიჭი საკმარისი არ არის. ძალიან გამიმართლა, რომ ბევრი მხარდამჭერი მყავდა და ბიზნესთან დაკავშირებით რჩევებს მაძლევდნენ. გაგვიმართლა, რომ გვყავს ბრიტანეთის მოდის საბჭო და გვაქვს მათი სხვადასხვა პროგრამა, მათ შორის, „ნიუგენი“ (NEWGEN) და „ვოგის“ მოდის ფონდი (Vogue Fashion Fund), რომლებიც გარდა რჩევებისა, ფინანსურ მხარდაჭერასაც უზრუნველყოფენ.

მოგვიყევით გამოცდილებაზე, რომელიც Mugler-ის შემოქმედებით დირექტორად მუშაობის დროს მიიღეთ...

მანფრედ ტიერი მიუგლერი ბავშვობიდან ჩემი შთაგონების წყარო იყო. ვოცნებობდი, რომ მისი ხედვისა და მისი სამოდელო სახლის შემადგენელი ნაწილი გავმხდარიყავი. Mugler-ის სამოდელო სახლში მუშაობის დროს ჩემთვის ერთ–ერთი გამორჩეული მომენტი იყო ის, რომ მისი ნამუშევრების უზარმაზარ არქივზე მიმიწვდებოდა ხელი. ჩემი საყვარელი საქმე იყო მისი ჩვენებების ამსახველი კადრების ყურება საათების განმავლობაში.
მანფრედ ტიერის შემოქმედება პროვოკაციისა და ხელოვნების ფორმის სრულყოფილი ბალანსია. მისი ინოვაციური სკულპტურული დიზაინი, ტანსაცმლის უბადლო კონსტრუქცია და ინოვაციური მასალების გამოყენება სამუდამოდ შთამაგონებელია.

ქალები სამყაროში უნიკალური და ძლიერი ქმნილებები არიან. განსაცვიფრებელია მათი უნარი - გაარჩინონ ბავშვი, უყვარდეთ უპირობოდ და „ააშენონ სახლი“

რომელი დიზაინერები იყვნენ თქვენთვის შთაგონების წყარო ახალგაზრდობაში?
ტიერი მიუგლერის გარდა იყო ბევრი სხვა არაჩვეულებრივი დიზაინერი, რომლებმაც შთაგონება მომცეს. მათგან მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ: აზედინ ალაია, პიერ კარდენი, ჯეფრი ბინი და ჯანი ვერსაჩე.

SS23 კოლექცია იყო მომაჯადოებელი! ბუნება და ურბანული გარემო გაერთიანდა. კოლექციიდან რომელია თქვენი ფავორიტი?
ძალიან მიყვარს ბუმბულით დამშვენებული ნამუშევრები – ბუმბული ტანისამოსის ლამაზი ელემენტია, რომელიც ეფექტურ სილუეტებს ქმნის. ბუმბულის მოძრაობა შესანიშნავად ჰბაძავს წყალქვეშა სამყაროს, რომლითაც კოლექცია იყო შთაგონებული.

კრისტალიზებული ზღვის ვარსკვლავი, ხამანწკების ნიჟარები, რვაფეხას საცეცები... რა იდგა თქვენი SS23 კოლექციის შექმნის იდეის მიღმა?
გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – ეს იდეა დამებადა, როცა შორეიჩში, აღმოსავლეთ ლონდონში მდებარე ძალიან მაგარ ადგილზე მდებარე ჩემს სტუდიაში ფეხით მივდიოდი. დავინახე ტროტუარზე დაღვრილი ბენზინის ლაქა და მის მიერ შექმნილი მოლურჯო ფორმები, რამაც ფიქრებით წყალქვეშა სამყაროში გადამიყვანა. შესწავლის პროცესში შევხვდი დოქტორ სილვია ერლს და მის Tektite II გუნდს, პირველ მყვინთავებს, რომლებმაც 1970 წელს თოთხმეტი დღე გაატარეს წყალქვეშ. მან ზღვის ქმნილებების თვალისმომჭრელი სილამაზის შესახებ ისე ისაუბრა, რომ ამან შთაგონებით ამავსო.

თქვენს მომხიბლავ FW23 კოლექციაზე გვესაუბრეთ, რომელსაც მე პირადად თვალი ვერ მოვწყვიტე. სილუეტები ისეთი ძლიერი და მიმზიდველია! როგორც ვიცი, კოლექციის შთაგონება მარლენ დიტრიხია. როგორ დაიწყო ეს ყველაფერი და რა არის მასში, რამაც შთაგაგონათ?
დავიწყე ჩემი ერთ–ერთი მუდამ თანმდევი მუზით – მე–20 საუკუნის სიმბოლოთი, მარლენ დიტრიხით. იგი ანდროგენული ჩაცმის პიონერი იყო, ხშირად ატარებდა სმოკინგს. მისი ექსპერიმენტები ქალურობისა და მამაკაცურობის თემებით იმ დროს საკმაოდ რადიკალური ჩანდა. მისი შთაგონებით, კოლექცია მამაკაცის და ქალის ტრადიციული გარდერობის ელემენტების კვლევად იქცა. აქედან გამომდინარე, თქვენ ხედავთ შეკერილ ტანსაცმელს, მამაკაცის პერანგის მასალას და ჰალსტუხებს ტიულის ქვედაბოლოების და ყვავილებით ნაქარგი კაბების გვერდით.

თამბაქოს მოწევის მოტივები, „მარლბოროს“ თემა, პომადის კვალი, ძვირფასი თამბაქო და, რა თქმა უნდა, ჰოლივუდის წითელი ხალიჩის რეინტერპრეტაცია FW23 შოუზე პატივის მიგებას ჰგავს, მაგრამ რის მიმართ?
ეს ყველაფერი ეპოქის წარსულისთვის პატივის მიგებაა. წითელი პომადა და წითელი ხალიჩა ძველი სკოლის ჰოლივუდის გლამურზე მიუთითებს. სიგარეტები არის მინიშნება 1920-იანი წლების ბოლო პერიოდზე, როდესაც ქალი, რომელიც საზოგადოებრივ ადგილზე ეწეოდა, ვულგარულად ითვლებოდა და პოლიციისგან გაფრთხილების მიღების რისკის ქვეშ აყენებდა საკუთარ თავს. იმდროინდელი საარჩევნო უფლებების მოძრაობის წყალობით ბევრი გენდერული უთანასწორობა მოექცა ყურადღების ქვეშ – არა მხოლოდ ხმის მიცემის უფლება. მოწევა დაუმორჩილებლობის თვალსაჩინო სიმბოლოდ იქცა, რადგან სიგარეტებს „თავისუფლების ჩირაღდნები“ უწოდეს.

თუ შეძლებთ აღწეროთ თქვენი უახლესი კოლექცია, როგორც შეგრძნება, როგორი იქნებოდა ის?
ამბოხის შეგრძნება – ნორმების უგულებელყოფა, ჩარჩოებს გარეთ გასვლა, სიძლიერე და გაბედულება.

მოდით, თქვენდამი მიძღვნილ საოცარ ღონისძიებაზე ვისაუბროთ, რომელიც ემპორიუმში გაიმართა. ეს იყო არაჩვეულებრივი შესაძლებლობა თქვენი ბრენდის ყველა თაყვანისმცემლისთვის, რომ პირადად შეგხვედროდნენ. როგორია თქვენი შთაბეჭდილება?
ღონისძიებამ ემპორიუმში ძალიან კარგად ჩაიარა. არაჩვეულებრივი გამოცდილება იყო ბრენდის თაყვანისმცემლებთან შეხვედრა. ძალიან თბილად შემხვდნენ და საშუალება მომეცა, „კომას“ ამდენ გოგოსთან მესაუბრა. ჩვენი FW23 კოლექციის ჩვენების დიდ ეკრანზე გაშვებამ, კოლექციის ნიმუშებით სავსე გარემოში ყოფნამ შესანიშნავი ატმოსფერო შექმნა.

ფანტასტიკური დიჯეი გვყავდა. მისი ხალისიანი კომპოზიციები წვეულებას კიდევ უფრო ამხიარულებდა.
მინდა, მადლობა გადავუხადო ემპორიუმის გუნდს. მათ შესანიშნავი საღამო მოაწყვეს და ყველაზე სტუმართმოყვარე მასპინძლები იყვნენ!

როგორც ვიცით, პირველად ხართ ბაქოში. როგორი იყო თქვენი მოგზაურობა მთლიანობაში? გაგვიზიარეთ გამოცდილება...
შემიყვარდა თქვენი ლამაზი ქალაქი. ის სავსეა შესანიშნავი კონტრასტებით: უაღრესად თანამედროვე და ისტორიული ნაგებობები ერთმანეთის გვერდითაა თავმოყრილი. მომეწონა აგლაის ქვის გამოყენება ამდენ ფასადზე – ის ქალაქს სასიამოვნოდ ერთგვაროვანს ხდის. ხალხი ღია და ძალიან თბილია. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს წლებია ვიცნობ იმ ადამიანებს, რომლებსაც ახლახან შევხვდი.
ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი, როგორც ველოდი, იყო ჰეიდარ ალიევის ცენტრი, რომელიც ჩემი საყვარელი არქიტექტორის, ზაჰა ჰადიდის შექმნილია. იქ ვნახე ულამაზესი ხალიჩების კოლექცია, შუქისა და ფერის ინტერპრეტაცია ქსოვილში ნამდვილად ლამაზია. სხვა დასამახსოვრებელ მომენტებს შორის იყო ტრადიციული სამოვრიდან ჩაის დაგემოვნება ძველ ქალაქში, ქალწულის კოშკის მოპირდაპირე მხარეს, რესტორან „მანზარას“ პანორამული ხედებით ტკბობა მას შემდეგ, რაც იქ ფუნიკულიორით მივედით და სუპერინდუსტრიული Unbar კლუბი.

ბლიცი

ადგილი, რომელიც გაბედნიერებთ:
ლონდონი. ეს ის ქალაქია, რომელმაც ჩემი ოცნებები რეალობად აქცია. აქ მოდის შესასწავლად ჩამოვედი, დავაარსე საკუთარი ბრენდი. მისი მრავალფეროვანი ხასიათი ყოველდღე შთაგონებას მაძლევს.

საყვარელი კერძი?
ახლად გამომცხვარი პური. მიყვარს მისი ყველა ნაირსახეობა – ბაგეტიდან დაწყებული, ტანდირით დამთავრებული.

ბოლოს რომელი სიმღერა გადმოწერეთ?
BIA-ს „ლონდონი“.

რა სჭირდება ადამიანს ბედნიერებისთვის?
საკუთარი ოჯახი.

საყვარელი ცხოველი?
ჩემი ძაღლი რუბი, მინიატიურული პინჩერი.

ვფიქრობ, ძალიან გაგვიმართლა, რომ გვაქვს შემოქმედებითი გზა, რათა ჩვენი გრძნობები გამოვხატოთ

სარა ბარტონის სამყარო, *საღად ყველა ქალი გმირია*

უნიკალური შტრიხები, ელეგანტური ნიუანსები და მოდის ინდუსტრიაში სულ სხვა მუსიკა – „ნარგისი“ ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული დიზაინერის, სარა ბარტონის სამყაროში გამოგზაურებთ.
ეს უდიდესი შრომის, საქმის სიყვარულის, პატივისცემის, ერთგულებისა და, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ნიჭის ერთობლიობით დაწერილი შთამაგონებელი თავგადასავალია. ეს არის ამბავი ქალზე, რომელმაც ALEXANDER MCQUEEN-ის უდიდესი მემკვიდრეობა ჩაიბარა და მოდის ისტორიაში მნიშვნელოვანი თავი ჩაწერა. ათწლეულების განმავლობაში ALEXANDER MCQUEEN-ის მოდის სახლისა და სარა ბარტონის სახელები უერთმანეთოდ წარმოუდგენელი იყო, თუმცა ყველაფერს აქვს დასასრული და მათი თანამშრომლობაც უკვე ისტორიის ნაწილია.

სარა 1996 წელს Alexander McQueen-ში სტაჟიორად მივიდა, 2000 წლიდან ბრენდის ქალის ტანსაცმლის ხაზის კრეატიულ დირექტორად მუშაობდა, 2010 წელს, ლეგენდარული ალექსანდრ მაკქუინის გარდაცვალების შემდეგ, მოდის სახლმა მის მემკვიდრედ დაასახელა, თუმცა ეს ისტორიაც დასრულდა.
მიმდინარე წელს ცნობილი გახდა, რომ სარა ბარტონი დატოვებდა ადგილს, სადაც კარიერა დაიწყო და დიდების მწვერვალს მიაღწია. ყველაფერი კი ბრენდში მნიშვნელოვან ცვლილებებს, რესტრუქტურიზაციას უკავშირდება. 30 სექტემბერს, პარიზის მოდის კვირეულზე სარა ბარტონმა Alexander McQueen–ისთვის შექმნილი ბოლო კოლექცია წარადგინა.
„გვსურს, გამოვხატოთ ჩვენი უდიდესი მადლიერება სარას მიმართ McQueen–ის მოდის სახლის წარმატებაში შეტანილი წვლილისთვის, ჩვენს ისტორიაში ასეთი მნიშვნელოვანი თავის დაწერისთვის“, – თქვა McQueen-ის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯანფილიპო ტესტამ.
ჩვენი სტატიის თემა არ არის Alexander McQueen-ის მოდის სახლში მიმდინარე ცვლილებები, ჩვენი სტატიის გმირი სარა ბარტონია – ქალი, რომელიც ინდუსტრიის ერთ–ერთ ყველაზე გავლენიან ფიგურად იქცა.

მენტორის ასისტენტიდან მთავარ შემოქმედებით დირექტორობამდე გზა ნიჭსა და უდიდეს შრომაზე გადიოდა. Alexander McQueen-ის გარდაცვალების შემდეგ სარამ უდიდესი მემკვიდრეობა ჩაიბარა და ამ პასუხისმგებლობის აღება მარტივი არ ყოფილა.
სარა ბარტონმა მაკქუინისგან ისწავლა, რომ მისი სტილისგან უნდა გათავისუფლებულიყო, ამავდროულად კი, ლეგენდარული დიზაინერის ხელწერა შეენარჩუნებინა და თანაც ისე, რომ თავისი საკუთარი ინდივიდუალური ხედვა, განსხვავებული ესთეტიკა ყველაფერს დასტყობოდა. ხშირად ამბობს, რომ შიში იპყრობდა, შიში იმისა, რომ მენტორის გავლენას თავს ვერ დააღწევდა, ვერ იპოვიდა ინდივიდუალიზმით სავსე „სარას გზას“, თუმცა მისი შიში არ გამართლდა. მან რისკიანი გადაწყვეტილებები მიიღო, რამაც საბოლოოდ სასურველი შედეგი მოუტანა.
სარამ თავისი პირველი ინდივიდუალური ნამუშევრები Alexander McQueen-ისთვის 2011 წელს წარადგინა პარიზში. ეს იყო გაზაფხული–ზაფხულის კოლექცია.
დიზაინერის ვარსკვლავი კიდევ უფრო კაშკაშა გახდა უელსის პრინცესა ქეით მიდლტონთან თანამშრომლობის შემდეგ. სწორედ სარა ბარტონია ის დიზაინერი, რომელმაც ქეითის საქორწილო კაბაზე იმუშავა. ამ კაბას ათწლეულების საუკეთესო ნამუშევრად მიიჩნევენ, რომელსაც ისევ აქვს გავლენა ქორწილის სამოსზე და საქორწილო კაბები დღესაც მისი შთაგონებით იქმნება.

სარა ბარტონის სახელთანაა დაკავშირებული Alexsander McQueen-ის მოდის სახლის მოდერნიზება. როდესაც იგი მოდის სახლს სათავეში ჩაუდგა, ბევრი სკეპტიკურად უყურებდა, თუმცა ყველას დაუმტკიცა, რომ თაობის ერთ–ერთი ყველაზე ნიჭიერი დიზაინერია. სარა ბარტონი სეზონიდან სეზონამდე გვთავაზობდა შთამბეჭდავ კომბინაციებს, გვამოგზაურებდა მისეულ, უნიკალური ხედვით სავსე მოდის სამყაროში, პატივს მიაგებდა ალექსანდრ მაკქუინის მიერ დატოვებულ მემკვიდრეობას, აგრძელებდა მის ხაზს, მაგრამ ყველაფერს თავის უნიკალურ შტრიხებს სძენდა. სარას მოდის სამყარო სხვა ფერთა გამა იყო, სამოსს გვიჩვენებდა, როგორც ხელოვნებას. იგი ამბობს, რომ მისი ოცნება არ ყოფილა მთავარი დიზაინერის როლის მორგება, უბრალოდ, ეს გარემოებებმა, შრომამ და ნიჭმა თავისთავად მოიტანა.
თავდაჯერებული, რისკიანი, იუმორით სავსე, გულწრფელი, მებრძოლი და საოცრად კომუნიკაბელური – ასე ახასიათებენ სარა ბარტონს.

> ქეით მიდლტონთან თანამშრომლობა ჩემი ცხოვრების უდიდესი გამოცდილება იყო

„ეს ჩემი ცხოვრების უდიდესი გამოცდილება იყო“, – ამბობს იგი ქეით მიდლტონთან თანამშრომლობაზე საუბრისას. მისი და ქეითის თანამშრომლობა ამით არ დასრულებულა, სარა პრინცესას ფავორიტი დიზაინერი გახდა, რომელმაც ამის შემდეგ ქეითის არაერთ კაბაზე იმუშავა. მაგალითად, 2018 წელს, მეგან მარკლისა და პრინც ჰარის ქორწილისთვის უელსის პრინცესამ სარა ბარტონის ნამუშევარზე შეაჩერა არჩევანი, მისი დიზაინით შექმნილი კაბა ეცვა 2022 წელს დედოფალ ელიზაბეთ მეორის დაკრძალვაზეც.
2012 წელს დიზაინერს ბრიტანეთის იმპერიის ორდენი მიენიჭა ბრიტანული მოდის ინდუსტრიის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

ამ ყველაფერთან ერთად ის არის ქალი საოცარი იუმორით, რომელსაც შეუძლია ყველაზე სტრესულ სიტუაციაშიც კი გაგიღიმოთ და გიამბოთ თავის ცხოვრებისეულ ისტორიაზე, გამოცდილებაზე.

სარა ბარტონი მანჩესტერის გარეუბანში გაიზარდა. მამამისი ბუღალტერი იყო, დედა – მუსიკის მასწავლებელი. მას ოთხი და–ძმა ჰყავს. ბავშვობაზე საუბრისას ხშირად იხსენებს მამას და მისგან მიღებულ რჩევებს, განსაკუთრებით კი ერთი რჩევა უყვარს – „ცოდნა არის ის, რასაც ვერავინ წაგართმევს“. სარა ამბობს, რომ ზოგიერთი შემოქმედისთვის ტრაგიკული ცხოვრება ხდება შთამაგონებელი, ის, რაც უბიძგებთ,

> ჩემი საქმე გრძნობების გამოხატვის შესაძლებლობაა

ეს უდიდესი შრომის, საქმის სიყვარულის, პატივისცემის, ერთგულებისა და, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ნიჭის ერთობლიობით დახერილი შთამაგონებელი თავგადასავალია

რომ რაიმე ღირებული შექმნან, თუმცა დიზაინერი დასძენს, რომ მას არ ჰქონია მსგავსი დრამატული ცხოვრება, ლაღი და ბედნიერი ბავშვობა ჰქონდა. ბარტონის თქმით, მისთვის მამა გმირი იყო. „ის ძალიან ბევრს მუშაობს და არასდროს იტყუება. ოჯახის სჯერა. ყოველთვის სამართლიანი იყო და ოჯახში ყველა თანასწორად მიაჩნდა“, – ამბობს დიზაინერი „ნიუ–იორკ ტაიმსთან“ ინტერვიუში.
ბავშვობაში სარას საყვარელი საქმიანობა ხატვა იყო, თავიდან მცენარეებს ხატავდა, შემდეგ კი – სამოსს. „ხატვა იყო ჩემი პირველი სიყვარული“, – იხსენებს იგი. მოდის კრიტიკოსები ამბობენ, რომ მის კოლექციებში ყოველთვის იგრძნობა ინტელექტი.
დიზაინერისთვის შემოქმედება თავისი სათქმელის გამოხატვის ფორმაა:
„ვფიქრობ, ძალიან გაგვიმართლა, რომ გვაქვს შემოქმედებითი გზა, რათა ჩვენი გრძნობები გამოვხატოთ. ჩვენი სამუშაოს საშუალებით ვამბობთ, თუ რას ვგრძნობთ“, – ამბობს სარა ბარტონი.

მისი კოლექციისთვის შთაგონების წყარო ხშირად იყო ლონდონი, ვიქტორიანული ეპოქა. „ბარტონის სტილი“ – ასე უწოდებენ მის ნამუშევრებში ერთ, განსაკუთრებულ შტრიხს – ზღაპრულ ნაქარგებს.
მის ხელწერას მყისიერად ცნობენ. სარა ბარტონის მოდის მაგიაც ესაა, არ აგერევა და მიხვდები, რომ მისი შექმნილია. პროფესიიდან გამომდინარე, ცოტა უჩვეულოა, რომ სარა მორცხვი და მოკრძალებული ადამიანია, თუმცა, ამავდროულად, ძალიან მამაციც არის, აქვს უნარი, რომ გააკეთოს ერთი შეხედვით შეუძლებელი საქმე.
ბარტონისა და Alexander McQueen–ის თანამშრომლობა სიყვარულზე იყო დაფუძნებული. ეს იყო სიყვარულით შექმნილი კოლექციები, შთაგონებული ქალებით, იმ ძალით, რომელიც ქალებს აქვთ, ამიტომ დღეს ასე ამბობენ: „სარა ბარტონის მოდის სამყარო – ეს ის ადგილია, სადაც ყველა ქალი გმირია“.

URBAN rouge

STRADIVARIUS

STARRING: ANANO AKHMETELI
PHOTO: SHOTA GOTOSHIA



Styling NINA ALEKSEEV, NINA SHEKILADZE
Starring ANANO AKHMETELI
Apparel STRADIVARIUS
Mua TEKO SHENKEN

Click EVENTS

BEAUTY

83.

97

PAWEL-CZERWINSKI-9G-ABPAM29M-UNSPLASH.JPG

BURGUNDY CLASSIC

თითქმის ყველაფერი, რაც 90-იანი და 2000-იანი წლების მოდას უკავშირდება, დღეს ტრენდულია. ასეა მაკიაჟშიც. ბორდოსფერი ტუნისაცხი წლის ბიუთი-ტრენდია.

1. BOBBI BROWN, CHRISTIAN DIOR, TOM FORD
2. CHRISTIAN DIOR, MAC, SHISEIDO
3. ATELIER DES ORS, MAISON REBATCHI, VILHELM PARFUMERIE



1

2

FESTIVE MAKEUP

სადღესასწაულო განწყობის ასამაღლებლად ექსტრავაგანტური მაკიაჟი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. დეკემბერი თვითგამოხატვის საუკეთესო თვეა, რომელსაც არ უნდა შეუშინდეთ ბრჭყვიალა დეტალებსა და მრავალფეროვან პალიტრას მაკიაჟში.

3

SEASONAL SCENTS

სუნამოს დიდი ძალა აქვს. სურნელით შეიძლება ადამიანები, ცხოვრების ბედნიერი მომენტები გაგახსენდეთ. ზამთრის ყველაზე ტრენდული პარფიუმის ინგრედიენტთა ჩამონათვალი კი ასეთია: როზმარინი, სალბი, საკმეველი, ორქიდეა.

SHIMMERY MOOD

ბრაფერი უხდება ზამთრის სეზონს ისევ, როგორც მსუბუქად დატენიანებული სახე, კანის ტონის შესაფერისი CC კრემი და ბზინვარე ელფერი კანზე.



1

SKINCARE AS MAKEUP

კანის მოვლის ტენდენციურობამ მაკიაჟშიც გადაინაცვლა. მაკიაჟი დატენიანებული, მოვლილი კანის ელფერით სილამაზის ახალ ტრენდად გვევლინება.

2

1. BOBBI BROWN, CHANEL, KIKO MILANO, LA MER
2. KYLIE, MARIO BADESCU, RARE BEAUTY
3. BALMAIN, KERASTASE, OLAPEX

3

WARMED-UP HAIR

იმის გათვალისწინებით, რომ თმის ტექსტურა ყველას განსხვავებული აქვს, ნებისმიერი ტიპის თმას განსაკუთრებული მოვლის რუტინა სჭირდება. ბუნებრივი მოცულობა და ბუნებრივი ფერის თმა წელს განსაკუთრებით აქტუალურია.

მანიკა ასათიანის

თავის მოვლის რუტინა და სილამაზის მთავარი შტრიხი

ინტერვიუ დათა ალექსეევი **ფოტო** შოთა გოთოშია

„შოვუსმინოთ სხეულს, სახეს, კანს, ვიცოდეთ, თუ რა სჭირდება"

მოდელი და ტელეწამყვანი მანიკა ასათიანი მიიჩნევს, რომ ადამიანის სილამაზის მთავარი განმაპირობებელი შინაგანი სხივია. მისი აზრით, შინაგანი განწყობა, მდგომარეობა გარეგნობაზე ყოველთვის აისახება. მანიკა „ნარგისს" უზიარებს თავის მოვლის რუტინას, გვესაუბრება სილამაზის პრიორიტეტულ პროდუქტებზე და ჩვენს მკითხველს ერთ მნიშვნელოვან რჩევასაც აძლევს.

რ ოგორია თქვენი დღის დასაწყისი და სილამაზის რუტინა, რამდენი ეტაპისგან შედგება?

ჩემი დილა იწყება ერთი ჭიქა წყლის დალევით და გრძელდება თავის მოწესრიგებით. ეს გულისხმობს სახის დაბანას. ვიყენებ ტონერს, ფორების შემკვრელს, შემდეგ სახის საცხს, ზოგჯერ შრატსაც, მაგრამ ყოველდღიურად – არა. უფრო საღამოობით ვიტენიანებ კანს მსუყედ, რათა მთელი ღამის განმავლობაში მიიღოს საჭირო ნივთიერებები.

მხოლოდ ერთი პროდუქტის არჩევა რომ შეგეძლოთ, რომელს აირჩევდით?

მხოლოდ ერთი პროდუქტის არჩევა რომ შემეძლოს, ავირჩევდი ტუშს. ჩემთვის ტუში ყველანაირ მაკიაჟში უმნიშვნელოვანესი პროდუქტია.

რის მიხედვით ირჩევთ სილამაზის პროდუქტებს?

ვიღებ რეკომენდაციებს მეგობრებისგან, ვიზაჟისტებისგან. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ისედაც ხშირად მაქვს შეხება სხვადასხვა პროდუქტთან. ხშირად ვეცნობი სიახლეებსაც. ვირჩევ ჩემი სახის კანის ტიპის მიხედვით, ფერის მიხედვით. შეიძლება პროდუქტი, რომელიც ტრენდულია, მე საერთოდ არ მიხდებოდეს.
არ მიყვარს ბლაში სახეზე, სხვაზე მომწონს, თუმცა სხვა დანიშნულებით ვიყენებ – ტუჩზე, თვალზე, მაგრამ არა ყვრიმალებზე. პროდუქტები გადანაწილებული მაქვს – ზოგი სატელევიზიო მაკიაჟისთვისაა, ზოგიც ყოველდღიურობისთვის.
რა თქმა უნდა, ყველაზე დიდ ყურადღებას ხარისხს ვაქცევ. ბუნებრივია, როცა ყოველდღიურად მძიმე მაკიაჟის კეთება გვიწევს, მნიშვნელოვანია რამდენად ხარისხიან პროდუქციას ვირჩევთ კანისთვის. ხარისხიანი პროდუქტი ჩემთვის პრიორიტეტულია.
ნაკლებად რომ მივაყენო ზიანი კანს, ვუფრთხილდები და აუცილებლად ვიყენებ ბაზას, ეს ჩემი შეუცვლელი პროდუქტია – ბაზა ხელს უშლის ტონალურს და სხვა პროდუქტს, რომ კანში შეაღწიოს და ფორებში ჩაჯდეს.

რა მნიშვნელობას ანიჭებთ თმის მოვლას?

ბუნებრივია, ჩემი თმა ჩემს გარეგნობაში ერთ–ერთი ყველაზე დამახასიათებელი შტრიხია, შესაბამისად, ვცდილობ მოვუარო. განსაკუთრებულ მოვლას არ საჭიროებს, რადგან მაქვს ბუნებრივი ფერი. ისეთი სტრუქტურა აქვს, რომ ყოველდღიურად არ მიწევს საშრობის გამოყენება. პერიოდულად ვიტარებ სხვადასხვა პროცედურას, მაგალითად, ვიკეთებ თმის ფილერის პროცედურას, რომელიც გამომშრალ თმას ჯანსაღი იერის დაბრუნებაში ეხმარება. ვიყენებ ასევე „ფრამესის" ახალი ფორმულით გაჯერებულ თმის შამპუნს, კონდიციონერს და ზეთს. ზოგადად, ხვეული თმა გამოირჩევა სიმშრალისკენ მიდრეკილებით, მეც ასეთი თმა მაქვს. ამიტომ ჩემი თმის მოვლის საშუალებები შეიცავს ზეთს, რაც უფრო ატენიანებს მას.

კონკრეტულ რჩევას მისცემთ ჩვენს მკითხველს? გაქვთ თუ არა სილამაზის საიდუმლო?

ჩემთვის სილამაზე ბუნებრიობასთან, მოვლილ თმასთან და კანთან ასოცირდება. ჩემი აზრით, მოვლა არის ყველაზე მნიშვნელოვანი, თუმცა ისე უნდა მოვუაროთ თავს, ინდივიდუალური შტრიხები და ბუნებრიობა არ დავკარგოთ.
ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ინდივიდუალიზმი. სამწუხაროდ, თუ გადაჭარბებული რაოდენობით ვიტარებთ კონკრეტულ პროცედურებს, ცოტა იკარგება ხოლმე ეს ინდივიდუალიზმი და არ მომწონს.
ალბათ, ჩემი მთავარი რჩევა იქნება, რომ მოვუსმინოთ სხეულს, სახეს, კანს, ვიცოდეთ, თუ რა სჭირდება, შეიძლება ძალიან კარგი და ძვირადღირებული პროდუქტები გამოვიყენოთ, მაგრამ ჩვენი სახის კანზე არ აისახოს დადებითად. მთავარია ინგრედიენტები.
ტრენდულობაზე მეტად მნიშვნელოვანია, რომ ბოლომდე მოვუსმინოთ საკუთარ თავს და ამის მიხედვით ავირჩიოთ პროდუქტები, პლუს უნდა ვანათოთ შიგნიდან, ადამიანის შინაგანი მდგომარეობა, უძილობა, შფოთვა და ა. შ. ყოველთვის აისახება გარეგნობაზე. შიგნიდან თუ ასხივებ, კმაყოფილი ხარ და მოგწონს საკუთარი თავი, სხვანაირად თავდაჯერებული ხარ და, შესაბამისად, საკუთარი თავის გამოხატვა სხვაგვარად შეგიძლია.

DIOR
ESTÉE LAUDER
CLARINS
CLINIQUE
MAC COSMETICS

PHOTO SHOTA GOTOSHIA
STYLE DATA ALEKSEEV

APPAREL MANGO

უარი თქვი წესებზე!

"ABANDON THE RULE"

ტაისიამ გადაწყვიტა, ექსპერიმენტი ჩაეტარებინა სხვადასხვა სტილის და მეთოდის გამოყენებით, რათა ეს არარეალისტური ნამუშევრები შეექმნა. იგი ფიქრობს, რომ ხელოვნებას საზღვრები არ აქვს და ყოველთვის უნდა მოჰქონდეს რაიმე სათქმელი. ეს ილუსტრაციები იმის მშვენიერი დასტურია, რომ ხანდახან წესები უნდა დავარღვიოთ, რათა რაიმე მნიშვნელოვანი შევქმნათ.

ილუსტრაცია ტაისია კუზნეცოვა

გავრცელებული მითები კანის მოვლის შესახებ და მთავარი წესები, როგორ მოვუაროთ მას ზამთარში

მარიამ დარცმელიას რჩევები

ზამთარში, როცა ჰაერის ტემპერატურა იკლებს და ატმოსფერული ტენიანობა დაბალია, კანს კიდევ უფრო მეტი ზრუნვა სჭირდება იმისთვის, რომ არ გამოშრეს, შეინარჩუნოს ჯანსაღი იერი, იყოს გლუვი და პრიალა.

კანის მოვლის მრჩეველი, DARTSOCARES-ის ბლოგის ავტორი მარიამ დარცმელია, რომელიც სოციალურ ქსელებში გამომწერებს მუდმივად უზიარებს კანის მოვლის შესახებ საჭირო რჩევებს, მეცნიერულად დადასტურებულ და კვალიფიციურ ინფორმაციას, ჟურნალ „ნარგისს“ ესაუბრება.

მარიამი გვიზიარებს თავის ცოდნას, როგორ უნდა მოვუაროთ კანს ზამთარში და რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი წესები, რომლებიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ.

„ზამთარში ყველაზე მნიშვნელოვანია კანის ჰიდრატაცია“

ინტერვიუ ხატია ვარდოსანიძე **ფოტო** სალი დუნდუა

> თითოეული პროდუქტის გამოყენებისას უნდა დავაკვირდეთ კანის რეაქციას და შესაბამისად ვცვალოთ პროდუქტები

ბევრ ამინდში კანის მოსავლელად განსხვავებული რუტინა გვჭირდება. ზოგადად, რას ნიშნავს ზამთარში კანის სწორად მოვლა და რა ძირითადი წესების გათვალისწინებაა საჭირო წელიწადის ამ დროს, რომ კანი გლუვი იყოს, არ გამოშრეს და არ დაზიანდეს?

ზამთარში სიცივე, ქარი, ჰაერის ტენიანობის ნაკლებობა, ოთახში ჩართული გათბობა საგრძნობლად აშრობს ჩვენს კანს, ამიტომ მნიშვნელოვანია, გადავხედოთ არსებულ რუტინას და უხეში პროდუქტები უფრო ნაზი, დამატენიანებელი საშუალებებით ჩავანაცვლოთ. იმისათვის, რომ მაქსიმალური შედეგი მივიღოთ, საჭიროა აქცენტი გავაკეთოთ პროდუქტების შემადგენლობასა და ტექსტურაზე და დავრწმუნდეთ, რომ ისინი კანისთვის საჭირო კერამიდებს, ქოლესტერინს, ჰიალურონის მჟავას, თავისუფალ ცხიმოვან მჟავებს და სხვა დამატენიანებელ/დამამშვიდებელ ინგრედიენტებს შეიცავს. რაც შეეხება პროდუქტებს, აუცილებელია დასაბანის, დამატენიანებლის და მზისგან დამცავის ყოველდღიური გამოყენება, შრატები და ტონერები კი სურვილისამებრ შეგვიძლია დავამატოთ.

ამბობენ, რომ წელიწადის ამ დროს კანს კიდევ უფრო მეტი ზრუნვა სჭირდება. რას გვირჩევდით, რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ კანმა იკვებოს?

წელიწადის ამ დროს ყველაზე მნიშვნელოვანია კანის ჰიდრატაცია როგორც შიგნიდან, ისე გარედან და ტრანსეპიდერმული წყლის დაკარგვის მაქსიმალურად თავიდან აცილება. ამას დამატენიანებელი და მშრალი კანის შემთხვევაში ოკლუზიური ინგრედიენტების გამოყენებით მივაღწევთ. დამატენიანებელი ინგრედიენტებია: ჰიალურონის მჟავა, გლიცერინი, შარდოვანა, Sodium PCA, ალოე ვერა, კერამიდები. ხოლო ოკლუზიური ინგრედიენტებია პეტროლატუმი (ვაზელინი), ლანოლინი, დიმეთიკონი. მათ, ვისთვისაც მხოლოდ დამატენიანებელი საკმარისი არ არის, კარგი იქნება, რუტინაში დაამატონ ტონერი და შრატი, რომელიც ნამიან კანზე უნდა დაიტანონ.

ზამთრის პერიოდში რა ტიპის პროცედურების ჩატარებაა რეკომენდებული იმისთვის, რომ კანი არ გამოშრეს?

ზამთრის პერიოდში კანის დამატებით დასატენიანებლად და გასაბრწყინებლად ძალიან კარგია ბიორევიტალიზაცია, კომბინირებული, ცხიმიანი კანის შემთხვევაში კი – Hydrafacial–ი. კანის დატენიანების გარდა, ზამთარი იდეალური პერიოდია ისეთი პრობლემების სამკურნალოდ, როგორიცაა: პიგმენტური ლაქები, ნაწიბურები და ასაკობრივი ნაოჭები – რომელთა მოგვარებაშიც ქიმიური პილინგი ან ლაზერული პროცედურები (CO2, Fraxel, IPL) დაგვეხმარება.

> „სიცივე, ქარი, ჰაერის ტენიანობის ნაკლებობა, ოთახში ჩართული გათბობა საგრძნობლად აშრობს ჩვენს კანს, ამიტომ მნიშვნელოვანია, გადავხედოთ არსებულ რუტინას და უხეში პროდუქტები უფრო ნაზი, დამატენიანებელი საშუალებებით ჩავანაცვლოთ"

რა თქმა უნდა, კანის მოსავლელად, მასზე გარეგანი ზრუნვის გარდა, კიდევ ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი. რა არის საჭირო იმისთვის, რომ სასურველი შედეგი მივიღოთ და რა ახდენს უარყოფით გავლენას კანზე?

გეთანხმებით, კანის მოვლის რუტინა პატარა კომპონენტია იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც ჩვენი კანის ჯანმრთელობაზე ახდენენ ზეგავლენას. მზის სხივების მავნე მოქმედება, სტრესი, ჰორმონული ცვლილებები, უძილობა, დაუბალანსებელი კვება, მოწევა და ალკოჰოლის მიღება პირდაპირ აისახება ჩვენი კანის მდგომარეობაზე. ამიტომ, ჯანსაღ კვებასთან ერთად, საჭიროა ჯანსაღი ჩვევების გამომუშავებაც.

ერთ–ერთი მწვავე პრობლემა სიცივეში ტუჩების გამოშრობაა, როგორ ავიცილოთ ეს უსიამოვნება თავიდან?

ნამდვილად, ტუჩები სიცივეში კიდევ უფრო შრება, ამიტომ მუდმივი დატენიანებაა საჭირო. პროდუქტის შეძენისას უნდა დავაკვირდეთ, რომ ბალმი არ შეიცავდეს პარფიუმს და ეთერზეთებს, რადგან ეს ინგრედიენტები კიდევ უფრო აშრობს კანს. კარგი იქნება, ტუჩის დამცავი ბალზამის შემადგენლობაში იყოს გლიცერინი, ჩიის კარაქი, კაკაოს კარაქი, პეტროლატუმი, ჟოჟობის,

ხშირად ნატურალური ინგრედიენტები უფრო
კონცენტრირებულია და მეტ პარფიუმირებულ კომპონენტს
შეიცავს, ვიდრე სინთეტიკური ინგრედიენტი

> ყველაზე გავრცელებული მითი არის ფორების გახსნა-დახურვის შესახებ. ფორები არ იხსნება და არ იკეტება. უბრალოდ, ვიზუალურად შეიძლება მცირე ხნით შევიწროვდეს ან გაფართოვდეს

არგანის, ავოკადოს, მზესუმზირას ზეთები, E ვიტამინი და მზისგან დამცავი ფილტრები (რადგან აუცილებელია ტუჩის დაცვაც მზის მავნე სხივებისგან). ასევე, არ შეიძლება ტუჩის ენით დასველება ან დასკრაბვა, რადგან ასე უფრო გამოვაშრობთ მას.

კანის მოვლასთან დაკავშირებით არაერთი მითი არსებობს, რომელია, თქვენი შეფასებით, ყველაზე გავრცელებული მითები და რას ურჩევდით ქალებს – რა არ უნდა გააკეთონ არასდროს კანის მოვლისას?

ყველაზე გავრცელებული მითი არის ფორების გახსნა–დახურვის შესახებ. უმნიშვნელოვანესია ყველამ იცოდეს, რომ ფორები არ იხსნება და არ იკეტება, უბრალოდ, ვიზუალურად შეიძლება მცირე ხნით შევიწროვდეს ან გაფართოვდეს და არც მათი კანიდან მოშორებაა შესაძლებელი. მეორე ყველაზე გავრცელებული მითი არის ის, რომ ბუნებრივი პროდუქტები უკეთესი და უფრო უსაფრთხოა, ვიდრე ლაბორატორიაში შექმნილი. სამწუხაროდ, ინგრედიენტის წყარო არაფერს გვეუბნება მის უსაფრთხოებაზე, მეტიც, ხშირად ნატურალური ინგრედიენტები უფრო კონცენტრირებულია და მეტ პარფიუმირებულ კომპონენტს შეიცავს, ვიდრე სინთეტიკური ინგრედიენტი, ამიტომ მათი გამოყენებისას კანის გაღიზიანების, ალერგიის ან კონტაქტური დერმატიტის განვითარების უფრო დიდი რისკი არსებობს.

თუ შეგიძლიათ მოგვცეთ ტოპ 3 რჩევა ზამთარში კანის მოსავლელად „დარცოსგან“...

რჩევა №1:
რაც შეიძლება ყველას მივცე, არის მზისგან დამცავის ყოველდღიურად გამოყენება. კანის დაბერების, ნაადრევი ნაოჭების და პიგმენტური ლაქების გაჩენის მთავარი მიზეზი არის მზის UVA და UVB სხივები, ამიტომ აუცილებელია ყოველდღიურად, სეზონის მიუხედავად, ფართო სპექტრის მინიმუმ SPF30–ის მზისგან დამცავის გამოყენება.

რჩევა №2:
თუ დაბანის შემდეგ კანი დაჭიმულია, სავარაუდოა, რომ გამწმენდი, რომელსაც ვხმარობთ, კანისთვის ზედმეტად უხეშია და შესაძლოა მისი დამცავი ბარიერი დაარღვიოს, ამიტომ თითოეული პროდუქტის გამოყენებისას უნდა დავაკვირდეთ კანის რეაქციას და შესაბამისად ვცვალოთ პროდუქტები.

რჩევა №3:
უნდა მოვერიდოთ ცხელ წყალს და შხაპის ხანგრძლივად მიღებას, რადგან ცხელი წყალი კანს უფრო მეტად აშრობს.

1.

VILHELM PARFUMERIE

ამ ბრენდის სუნამოებზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის სურნელი, რომელიც საუბრობს. თითოეულ მათგანს აქვს ძალა, სულ სხვა - ზღაპრულ, ჯადოსნურ სამყაროში გვეამოგზაუროს და ყოველი მომენტი დაუვიწყარ თავგადასავლად აქციოს.

2.

JULIETTE HAS A GUN

სურნელი ქალის ყველაზე ძლიერი იარაღია, რაც JULIETTE HAS A GUN-ის დამფუძნებელს, რომანო რიჩის ქალიან აარგად ჰქონდა გააზრებული, ამიტომაც მისი ყველა სურნელი განსაკუთრებით ქალური და მაცდურია.

3.

ROJA PARFUMS

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული სუნამოს სახლის შედეგრია. აღსანიშნავია ფლაკონი, რომელშიც სუნამოა მოთავსებული. მას აქვს 24-კარატიანი ოქროთი მოოქრული თავსახური, სუნამო კი ოქროზე ძვირფასი ინგრედიენტებითაა შექმნილი. თუ შეიძლება, რომ სუნამომ სამყაროს ცენტრში გვაგრძნობინოს თავი, ეს სწორედ ასეთი შემთხვევაა.

4.

SA AL & CO

კომპანია ქმნის კანის მოვლის მდგრად საშუალებებს, რომლებშიც ალკური წყალია გამოყენებული. ამ პროდუქტებით სარგებლობისას სურნელის სასიამოვნო ნოტები დაუვიწყარ ემოციებს იწვევს.

5.

COMPAGNIE DE PROVENCE

უკვე 30 წელია მომხმარებელს სთავაზობს თხევად სურნელოვან საპნებს, რომლებიც გაჯერებულია ტრადიციული პროვანსული ელემენტებით, მცენარეული ზეთებით და სამკურნალო თვისებები აქვს. ისინი უფრო მეტია, ვიდრე სილამაზისა და თავის მოვლის საშუალებები. **COMPAGNIE DE PROVENCE** – ეს ცხოვრების სტილია ფრანგული სურნელით.

121

LIFE STYLE

DANY-FLY-0GGUI9EFGVW-UNSPLASH.JPG

Boom VOYAGE

რა მოხდებოდა, მოდის კვირეული ყველაზე ბრწყინვალე და ყველაზე საყვარელი ქალაქების ქუჩებში რომ ჩატარებულიყო?
ეისელი თითოეულ ბრენდს კონკრეტულ ქალაქს უკავშირებს, რათა ფერებისა და მოდის ბუმი გვაჩვენოს.
აირჩიეთ თქვენი ფავორიტი!

ეისელ აშუროვა @AYSASH_ART

Patou
IN PARIS

Alaïa
IN NEW YORK

Versace
IN ISTANBUL

PRINCESS OF PRUSSIA
TRUMAN HANBURY BUXTON & Co LD
BURTON BREWED PALE & OLD ALES
TRUMANS STOUT
MILD ALE
No 15
Eden
IN LONDON

Valentino
IN BAKU


Balmain
IN VENICE

ბარბი ჰოლივუდიდან

მარგო რობი ჰოლივუდში აღიარებულია. იცნობენ სამსახიობო უნარების ფართო სპექტრით – როგორც დრამატული ჟანრის კინოსურათებში, ისე კომედიებში შესრულებული როლებით. მან ითამაშა ისეთი ცნობილი კინორეჟისორების ფილმებში, როგორებიც არიან: მარტინ სკორსეზე, კვენტინ ტარანტინო და ჯეი როუჩი.

მარგომ თავისი მრავალრიცხოვანი ნომინაციითა და ჯილდოთი რეკორდები დაამყარა. იგი ორჯერ იყო ნომინირებული „ოსკარზე“, ხუთჯერ – „ბაფტაზე“, ოთხჯერ – „ოქროს გლობუსზე“; გარდა ამისა, იყო MTV-ს დაჯილდოების ნომინანტი ფილმ „უოლ-სტრიტის მგელში“ შესრულებული როლისთვის. გვქონდა სიამოვნება, მარგოსთან გვესაუბრა მისი როლებისა და ყოველდღიური ცხოვრების შესახებ.

ინტერვიუ ნიგარ მაჰარამოვა **ფოტო** პრესმასალა

როდის იგრძენით კინოს მიმართ სიყვარული და როდის გადაწყვიტეთ, რომ სამსახიობო კარიერას გაჰყოლოდით?
უცნაურია, მაგრამ არ მახსოვს ის დღე, როდესაც დედაჩემს ვუთხარი, რომ მსახიობობა მინდოდა, ის მომენტი კი კარგად მახსოვს. დაახლოებით 16 წლის ვიყავი. ჩემს მშობლებს სურდათ, რომ უნივერსიტეტში მესწავლა, მაგრამ მე ფილმები მიზიდავდა. ვერ გეტყვით, რომ იყო რომელიმე ერთი კონკრეტული ფილმი, რომელიც ვნახე და გავიფიქრე: „მორჩა, ჰოლივუდში მივდივარ!“

რამ გადაგაწყვეტინათ სხვა კონტინენტზე გადასვლა?
ლონდონში ცხოვრება მომწონდა. ეს ის ქალაქია, რომელიც ყოველთვის ჩემს გულშია და რომელსაც ხშირად ვსტუმრობ, მაგრამ ჩემი სამუშაოს დიდი ნაწილი აშშ–ს უკავშირდება. სასტუმროს ოთახებში, ჩემოდნებზე მიწევდა ცხოვრება, ამიტომ ლოს–ანჯელესში გადასვლას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს რთული გადაწყვეტილება იყო, მაგრამ სწორად მოვიქეცი.

ხედავთ რამე მსგავსებას თქვენს პიროვნებასა და თქვენ მიერ განსახიერებულ პერსონაჟებს შორის?
ჰარლი ქუინი მძაფრი შეგრძნებების მაძიებელია და ვფიქრობ, რომ ეს მე ვარ, თუმცა იგი აშკარად უფრო არაპროგნოზირებადია და, ალბათ, სწორედ ამიტომ მომეწონა მისი როლის შესრულება.

ბედნიერი შემთხვევების თუ გჯერათ?
მჯერა, რომ თუ ადამიანი რამეს გააკეთებს, იშრომებს, ბედნიერი შემთხვევებიც მოხდება. რა გზაც არ უნდა აირჩიო, იმოქმედე და იქიდან რამეს მიიღებ. იშრომე, იყავი მოხალისე, უბრალოდ, გააკეთე რამე!

თქვენ მიერ შესრულებულმა რომელმა როლმა გაგითქვათ სახელი?
„უოლ–სტრიტის მგელმა“ ყველაფერი შეცვალა. ერთ ღამეში მოხვეჭილი პოპულარობისა და პირადი ცხოვრების დაკარგვისთვის მზად არ ვიყავი. მაგრამ მადლობა ღმერთს, დედა იყო რთულ დროს ჩემი საყრდენი.

რომელია ის მთავარი გაკვეთილები, რომლებიც კარიერის დაწყების შემდეგ მიიღეთ?
არასოდეს შეწყვიტო მთელი ძალით მუშაობა და კარგი რამეები მოხდება. ხალხი მეკითხება: „როგორი იყო „უოლ–სტრიტის მგელის“ შემდეგ ერთ ღამეში მოსული წარმატება?“
თუმცა წარმატება ერთ ღამეში არ მოსულა – ის წლების განმავლობაში თავდაუზოგავი შრომის შედეგი იყო. შეიძლება ამ ფილმმა გამხადა ცნობილი, მაგრამ მას წინ თავდაუზოგავი მუშაობა უძღოდა.

ფიქრობთ, რომ ტონიას როლის თამაში თქვენი კარიერის საეტაპო მომენტი იყო?

იმოქმედე, იშრომე, იყავი მოხალისე, უბრალოდ, გააკეთე რამე!

„მინდა, ჩემი როლებით უფრო მეტად შევეხო იმ პრობლემებს, რომელთა წინაშეც ქალები აღმოჩნდებიან ხოლმე“

„ცნობილი მშობლები თავიანთი შვილებისთვის შეიძლება საშიშები იყვნენ, განსაკუთრებით, თუ შთამომავლების ხარჯზე ცდილობენ საკუთარი დაუცველობის შეგრძნებების კომპენსირებას“

ბევრი მხრივ ვფიქრობ, რომ ასეა. როდესაც მას პირველად ვუყურე, მივხვდი, რომ სერიოზული მსახიობი ვიყავი. ამან მომცა გამბედაობა, დავკავშირებოდი კვენტინ ტარანტინოს, რომელთან მუშაობაზეც ყოველთვის ვოცნებობდი.

„ჩემი ოჯნეგაა – კვლავ მივიღო ის როლები, რომლებიც სიამოვნებას მგვრიან. ჯერ კიდევ არსებობს ბევრი რეჟისორი, რომლებთანაც მსურს მუშაობა“

რომელი იყო „ბაბილონის“ გადაღების ყველაზე რთული ნაწილი? რა იგრძენით, როდესაც სცენარი პირველად წაიკითხეთ?
ზოგჯერ ფილმის გადაღება სტრესული იყო, მაგრამ, ასევე, თავისუფლების შეგრძნების მომტანიც. შესაძლებლობა მოგვეცა, კრეატიულები ყოფილიყავით და ეს მოგვეწონა.

ყველაზე მეტად რისი გეშინიათ?
როდესაც შენ, როგორც მსახიობი, კარიერის მწვერვალზე ადიხარ, გეწყება შიში, რომ აი, უკვე სიმაღლეზე ხარ და ხომ არ დაიწყება დაღმართი? ვთვლი, რომ ასე ფიქრი ბუნებრივია. საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ბევრი რამეა, რისი მიღწევაც მსურს.

ვინ და რა გაძლევთ შთაგონებას?
პროფესიის მხრივ, ბევრი ხალხია, რომლებიც შთაგონებას მაძლევენ. საბედნიეროდ, ბევრ მათგანთან ერთად თამაშის შესაძლებლობა უკვე მქონდა.

რომელია თქვენი საყვარელი ფილმი ან წიგნი?
True Romance არის ის ფილმი, რომელსაც ხშირად ვნახულობ ხოლმე. მასში ყველაფერი იდეალურია – ამბავი, მსახიობთა გუნდი,

„ვერასოდეს გავიგებ, რატომ სურთ ჩემთვის ფოტოს გადაღება, როცა ყავას ვყიდულობ ან საკვების საყიდლად მივდივარ“

მუსიკა... კვენტინ ტარანტინოს უდიდესი ფანი ვარ და კარგად მოგეხსენებათ, რომ ყველაფერი, რასაც იგი ხელს მოჰკიდებს, შედევრი გამოდის.

რა არის ვარსკვლავად ყოფნის უარყოფითი მხარე?
იმ ჩვეულებრივი რამეების კეთებისას, რასაც შეჩვეული იყავით, ახლა ფოტოებს გიღებენ. ვერასოდეს გავიგებ, რატომ სურთ ჩემთვის ფოტოს გადაღება, როცა ყავას ვყიდულობ ან საკვების საყიდლად მივდივარ. ასე რომ, ჩემი აზრით, ეს არის იმ პირადი ცხოვრების უფლების დაკარგვა, რომელიც ოდესღაც გქონდა. მასთან შეგუება გიწევს და სწავლობ, თუ როგორ გაართვა ამ ყველაფერს თავი... თუმცა ამისთვის დრო დამჭირდა.

კაცობრიობის რომელ რეალურ პრობლემებზე გსურთ საუბარი ფილმებით?
მინდა, ჩემი როლებით უფრო მეტად შევეხო იმ პრობლემებს, რომელთა წინაშეც ქალები აღმოჩნდებიან ხოლმე, რომ ამან ქალები ააღაპარაკოს და თქვან: „ეს ჩემთვის სავსებით გასაგებია“.

„არასდროს შეწყვიტო შრომა და კარგი რაღაცები მოხდება“

მიგაჩნიათ საკუთარი თავი სიმბოლოდ? რას ნიშნავს ეს თქვენთვის?
საკუთარ თავს ასე არასოდეს დავახასიათებდი. ბედნიერი ვარ, როცა სიმბოლოდ ქცეულ პიროვნებებს ვთამაშობ, იმის ნაცვლად, რომ თავად ვტკბებოდე სიმბოლოდ ყოფნით!

რას ნიშნავს – იყო ვარსკვლავი?
ასე ჩემს თავს არასოდეს ვუწოდებდი, თუმცა ვფიქრობ, რომ შეიძლება სხვა ადამიანებმა გიწოდონ, როდესაც პოპულარობის გარკვეულ ზღვარს აღწევ. მე მხოლოდ იმ პროექტებზე მუშაობის გაგრძელება მსურს, რომლებიც ჩემთვის სასიამოვნოა და რომლებიც მაყურებელს ახალისებენ.

ბოლო დღეებში რაზე ოცნებობთ?
ჩემი ოცნებაა – კვლავ მივიღო ის როლები, რომლებიც სიამოვნებას მგვრიან. ჯერ კიდევ არსებობს ბევრი რეჟისორი, რომლებთანაც მსურს მუშაობა.

LUST FOR XAVIER

დიზაინი, როგორც ხელოვნების სამყარო და ადამიანისთვის კომფორტის შექმნის შესაძლებლობა

ინტერვიუ ნირინა ბელანი **ფოტო** პრესამასალა

გზავიე ლუსტმა (Xavier Lust), ბრიუსელის სენ-ლუკის პრესტიჟული ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა, თავისი შემოქმედებითი გზა 1990-იანი წლებში დაიწყო ევროპელ კოლეგებთან ერთად.
მას დაჭინებული სწრაფვა დაეხმარა, რომ მოდის სამყაროს მაღალი მწვერვალებისკენ გაეკვალა გზა.
ლუსტმა, დაწყებული სამრეწველო შედევრების შექმნით ისეთი ცნობილი ბრენდებისთვის, როგორიცაა: „MDF იტალია“, „დრიადე“ (DRIADE), „ნოდუსი“ (NODUS), „ფიამი“ (FIAM), „დე პადოვა“ (DE PADOVA), „ექსტრემისი“ (EXTREMIS), დამთავრებული თავისი უნიკალური დიზაინერული ნამუშევრების ჩვენებებით პარიზში, მილანში, ნიუ-იორკში, მაიამიში, ლოს-ანჯელესში, დაამტკიცა, რომ მის ნიჭს საზღვარი არ აქვს.

PHOTO DIEGO FRANSENS

PHOTO ALEXANDRE VAN BATTEL

„მიყვარს, როდესაც მიმზიდველი და ინტელექტუალური, სტიმულის მომცემი ნივთებით ვარ გარემოცული“

როგორც დიზაინერმა, როდის გადადგით პირველი ნაბიჯები?
დაახლოებით 30 წლის წინათ. უნივერსიტეტი 1992 წელს დავამთავრე და მას შემდეგ მუდამ დიდი გატაცებით ვმუშაობ ამ სფეროში. ხანდახან საკუთარ თავს ვეკითხები: მაინც, რატომ მივყვები ისევ ამ გზას?

და როგორია თქვენი პასუხი?
მუშაობის პროცესში გატაცება არის ჩემი მამოძრავებელი ძალა. ეს ჩემთვის, უბრალოდ, საქმე კი არა, გამოწვევაა, რომელსაც მთელი არსებით ვიღებ. ის ბიზნესი, რომელშიც ვმუშაობ, მთელ მსოფლიოს მოიცავს, განსაკუთრებით – შეზღუდული ტირაჟით გამოშვებული და გალერეებში წარმოდგენილი ჩემი საკოლექციო მოდელები. ისინი კარგად გაიყიდა, ყველაზე უკეთ კი – ამერიკის შეერთებულ შტატებში. ყოველთვის ვცდილობ, იმ საზღვრებს მიღმა ვიფიქრო, ვიაზროვნო, რომლებიც მოდას და ხელოვნებას ერთმანეთისგან ყოფს. მუდამ ერთმანეთს ვუთავსებდი ხელოვნებას და მოდას.
ხელოვნების ნიმუშების მოდის სამყაროში შეტანა ბუნებრივად გამომდის. არტდიზაინის სფეროში სრულად ვაკონტროლებ სიტუაციას და ყველა გადაწყვეტილებას თავად ვიღებ. ასევე, ვმონაწილეობ წარმოების პროცესში, რომელიც შეიძლება საკმაოდ რთული იყოს. მიყვარს ექსპერიმენტების ჩატარება, განსაკუთრებით – როცა საქმე ლითონის მასალებს ეხება. გადავწყვიტე, გამეფართოებინა ჩემი საქმიანობის სფერო და გალერეის დიზაინის, სამრეწველო დიზაინის და არქიტექტურის მიმართულებითაც კი დავიწყე მუშაობა. ეს პროექტები მასშტაბური იქნება. მუშაობის პროცესში ენთუზიაზმის შენარჩუნება ნიშნავს ადაპტირების უნარს და მზაობას ტენდენციების ცვლილებების მიმართ. დიზაინერობა უსაზღვრო შესაძლებლობების კვლევისა და ნებისმიერი შეზღუდვის დაძლევის საშუალებას მაძლევს.

„მხატვრული დიზაინის მეშვეობით გარემოს უფრო მომხიბვლელად და ესთეტიკურად მიმზიდველად ვაქცევთ"

საკუთარი შემოქმედებითი ხედვის რეალობად ქცევის თავისუფლების გარდა კიდევ რა გიზიდავთ მხატვრული დიზაინის სფეროში?
მხატვრული დიზაინი მდგრადი განვითარების მიღწევის უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა. სწორედ მხატვრული დიზაინის მეშვეობით ვახერხებთ ჩვენი გარემოს გაუმჯობესებას, მას ვიზუალურად მომხიბვლელად და ესთეტიკურად მიმზიდველად ვაქცევთ. ამას გარდა, მხატვრული დიზაინი ხელს უწყობს ბუნებისა და ადამიანების მიმართ ღრმა პატივისცემის გრძნობის განვითარებას, ვინაიდან ლამაზი და ინტელექტუალური არტეფაქტების შექმნას მოიცავს. პირადად მე მიყვარს, როდესაც მიმზიდველი და ინტელექტუალური სტიმულის მომცემი ნივთებით ვარ გარემოცული.

ხელოვნება და დიზაინი ხშირად ცალკე დარგებად მიიჩნევა. როგორ გაჩნდა მხატვრული დიზაინის კონცეფცია?
მხატვრული დიზაინის კონცეფცია წარმოიშვა, როგორც დიზაინის ევოლუციური პროცესის შემადგენელი ნაწილი. დიზაინერული მოძრაობის პიონერი ფილიპ სტარკი გახდა გასული საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც ემოციურად შთამბეჭდავი, თანაც ფასის, ხარისხისა და ფუნქციური გამოყენების კრიტერიუმების შესაბამისი ნივთები შექმნა. იმ პერიოდში არ გაითვალისწინეს, რომ პლასტმასის გამოყენებით შექმნილი ნაკეთობების ექსპლუატაციის ვადა საშუალოდ 10 წელს შეადგენდა, თუმცა სწორედ 1990–იანი წლების ბოლოს მოხდა ევროპისა და ამერიკის ხელოვნების ბაზარზე მნიშვნელოვანი ზრდა. კოლექციონერები ავეჯის შეძენითაც დაინტერესდნენ, ხელოვნების ნაწარმოებების მსგავსად. პარიზის გალერეები პოპულარული გახდა იმის წყალობით, რომ კოლექციონერებს ისეთი ცნობილი დიზაინერების ავეჯს სთავაზობდნენ, როგორებიც არიან: ჟან პრუვე, ლე კორბუზიე და შარლოტ პერიანი. ეს ავეჯი თავიდან ხელოვნების ნიმუშების სახით არ შექმნილა, არამედ ფუნქციური დანიშნულებისთვის დაამზადეს. ამის მიუხედავად, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მათი ღირებულება გაიზარდა. ეს ტენდენცია ასევე შეინიშნებოდა დანიაში ადგილობრივ მოდერნისტულ ნივთებთან დაკავშირებით. კერძო მუზეუმებისა და სახლებისთვის ძვირადღირებულ ავეჯზე გაზრდილმა მოთხოვნამ მხატვრული დიზაინის აღმავლობას შეუწყო ხელი.
მხატვრული დიზაინი წარმოადგენს ქანდაკებისა და ფუნქციურობის ნაზავს, რაც მის შექმნას უფრო ართულებს ტრადიციულ ქანდაკებასთან შედარებით. ის არა მხოლოდ ესთეტიკურად მიმზიდველი უნდა იყოს, არამედ პრაქტიკულ მიზნებსაც უნდა ემსახურებოდეს. ხელით დამზადებულმა მხატვრული დიზაინის ნაკეთობებმა წარმოების ხარჯებიც გაზარდა, ამიტომ ბევრმა ბრენდმა თქვა უარი ჩემი ნამუშევრების გამოშვებაზე მძაფრი კონკურენციის გამო. შედეგად, დავიწყე თანამშრომლობა Carpenters Workshop Gallery–სთან, მოგვიანებით კი – გალერეა Nulifar–თან. ბოლო 7 წლის განმავლობაში the American Ralph Pucci Gallery–სთანაც ვთანამშრომლობდი.

თქვენ მიერ შექმნილ დიზაინერულ ნამუშევრებს აქვს უნიკალური მახასიათებელი – ესაა მათი ფორმა. თქვენი ყველა ნაკეთობის საერთო შტრიხია მოძრგვალებული, რბილი ფორმების გამოყენება. იქნებ

PHOTO FREDERIC VERCRUYSSE

PHOTO ALEXANDRE VAN BATTEL

გაგვიზიაროთ ის შთაგონება, რომელიც საფუძვლად უდევს თქვენს სწრაფვას, გამოიყენოთ ასეთი ფორმები ნაკეთობებში?
ჩემი ოჯახი მჭიდროდ არის დაკავშირებული დიზაინის და შემოქმედების სამყაროსთან. პაპაჩემი სტამბას ფლობდა და ამუშავებდა, მამა კი რეკლამის სფეროში საქმიანობდა. მისი სპეციალიზაცია იყო სარეკლამო ბუკლეტებისთვის მაკეტების დამზადება. ასეთ გარემოში გავიზარდე და უნიკალური ხედვა გამომიმუშავდა მასალების და მათი შესაძლებლობის მიმართ.
ლითონი ჩემთვის მოქნილი სტრუქტურაა, ქაღალდის მსგავსად, რომელიც შეგიძლია დაკეცო და სასურველი ფორმა მისცე. როდესაც პროექტს ვიწყებ, თავიდან ხშირად მგონია, რომ ჩემი ნივთების გამოსახვა შეუძლებელია. ვიწყებთ იმის დახატვით, რაც ყველაზე უფრო ახლოს დგას ჩვენეულ ხედვასთან, მაგრამ როდესაც შემოქმედებით პროცესს უფრო ვუღრმავდებით, მიმართულებას თავად მასალა გვკარნახობს. საბოლოო შედეგი ხშირად ოდნავ განსხვავდება ჩვენი თავდაპირველი ჩანაფიქრისგან, მაგრამ შექმნის პროცესის ხიბლიც სწორედ ამაშია.
ეს იძლევა საშუალებას, რომ ნაკეთობა ორგანული გამოვიდეს და ჰარმონიაში იყოს ბუნებასთან. მასალის ჯადოსნური თვისება და მუდმივი განვითარების პროცესი – ესაა ის, რაც ე.წ. ინტელექტუალური დიზაინისადმი ჩემს ერთგულებას ასაზრდოებს. ცოტა ხნის წინ შესაძლებლობა მქონდა, ჩემი ნამუშევრები ბრიუსელში მეჩვენებინა და იქ ერთმა ვიზიტორმა აღნიშნა, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში ჩემი პროექტები შეიცვალა. ბუნების მსგავსად, მეც მუდმივად ცვლილების და ადაპტაციის პროცესში ვარ.

„ნივთს უნდა ჰქონდეს ესთეტიკური მიმზიდველობა და უნდა იყოს მაღალი ხარისხის, რათა აქტუალურობა არასდროს დაკარგოს"

PHOTO NICOLAS SCHIMP



PHOTO LAETITIA BICA

მუშაობის პროცესში გაჭირვება არის ჩემი მამოძრავებელი ძალა. ეს ჩემთვის, უბრალოდ, საქმე კი არა, გამონვევაა

*„როგორც ბუნება გვიქმნის კომფორტის განცდას, ასევე, დიზაინერული ნივთებიც ჩვენი გარემოს ბუნებრივი, ორგანული შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს და **ადამიანებისთვის კომფორტი უზრუნველყოს**“*

როდესაც გავიგე, რომ ფაიფურის ვაზები შექმენით, გავოცდი. როგორ გადახვედით თქვენ, ადამიანი, რომელიც ადრე ისეთ მასალებზე მუშაობდა, როგორიცაა: ფოლადი, ალუმინი და ქვა – ფაიფურზე?
დიახ, მათ შორის დიდი განსხვავებაა. ფაიფური ფოლადის სრულიად საპირისპირო მასალაა. მქონდა შესაძლებლობა, ბელგიელ დიზაინერთან მეთანამშრომლა ფაიფურის ვაზების შექმნაზე, რაც დამაინტრიგებელი ექსპერიმენტი იყო. ახალი მეთოდების და მასალების შესწავლა მაინტერესებდა. ვმუშაობდი პიეტ სტოკმენსთან ერთად, მისსავე სახელოსნოში. ეს რთული პროცესი იყო. საბოლოოდ, ვაზები 12 უნიკალური ეგზემპლარისგან შემდგარი სერიის სახით გამოვუშვით, რომელთაგან ყველა სხვადასხვა ყვავილის არსს განასახიერებს.

რა უნდა ჰქონდეს ნივთს ისეთი, რომ მისმა დიზაინმა ყველა დროში შეინარჩუნოს აქტუალურობა და მუდამ თანამედროვე დარჩეს?
ნივთს უნდა ჰქონდეს ესთეტიკური მიმზიდველობა და უნდა იყოს მაღალი ხარისხის, რათა აქტუალურობა არასდროს დაკარგოს. იგი ვიზუალურად სასიამოვნო უნდა იყოს და ყველა ლამაზად მიიჩნევდეს, როგორც ბუნებას. როცა ვიყენებ ტერმინს „დროის მიღმა“ (timeless), ჩემთვის ამას არანაირი კავშირი არ აქვს წარსულთან. ამაში იგულისხმება რაღაც ბუნებრივი და დიზაინისთვის დამახასიათებელი, ისეთი ნივთების შექმნა, რომლებიც თქვენს სხეულს კომფორტს და კავშირზე ყოფნას აგრძნობინებენ. როგორც ბუნება გვიქმნის კომფორტის განცდას, ასევე, დიზაინერული ნივთებიც ჩვენი გარემოს ბუნებრივი, ორგანული შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს და ადამიანებისთვის კომფორტი უზრუნველყოს.

*„ნამუშევრები მხოლოდ ესთეტიკურად მიმზიდველი კი არ უნდა იყოს, არამედ **პრაქტიკულ მიზნებსაც უნდა ემსახურებოდეს**“*

დუა ლიპა

და მისი წესებისგან თავისუფალი სული

გამომცემელი, მსახიობი, საქველმოქმედო ორგანიზაციის დამფუძნებელი, პოდკასტერი, VERSACE-ს მოდის სახლის ერთ-ერთი კოლექციის თანადიზაინერი და... პოპვარსკვლავი.

ლონდონში დაბადებულმა დუა ლიპამ სიმღერა ხუთი წლის ასაკში დაიწყო და გააგრძელა მაშინაც, როდესაც ოჯახთან ერთად საცხოვრებლად კოსოვოში დაბრუნდა. მაშინ 11 წლის იყო.

ბავშვობაში მღეროდა ისეთ სიმღერებს, როგორიცაა კრისტინა აგილერას „BEAUTIFUL", ალეშა ქისის „IF I AIN'T GOT YOU" და ა.შ. კოსოვოში ყოფნისას დუა განუწყვეტლივ სთხოვდა მშობლებს, მისთვის უფლება მიეცათ, 2500 კილომეტრი გაევლო ლონდონამდე, რათა გამოეყენებინა მილიონში ერთი შანსი და პოპვარსკვლავი გამხდარიყო. საბედნიეროდ, მან ეს შეძლო და 2014 წელს ლიპამ კომპანია WARNER BROS. RECORDS-თან გარიგება გააფორმა.

ინტერვიუ საკინა მეჰრალიევა **ფოტო** პრესმასალა

როგორ ფიქრობთ, რა როლი ითამაშა თქვენმა აღზრდამ კოსოვოში და ლონდონში თქვენი მუსიკალური სტილის ჩამოყალიბებაში?
რაც თავი მახსოვს, ვოცნებობდი, პოპვარსკვლავი ვყოფილიყავი, მაგრამ ეს შეუძლებელი ჩანდა. ლონდონში ხშირად მეკითხებოდნენ ჩემი სახელის წარმომავლობის შესახებ და მაშინ ძალიან მინდოდა, რომ რამე ჩვეულებრივი სახელი მრქმეოდა, თუმცა ახლა ძალიან მადლობელი ვარ, რომ ასე არაა. ადრეული ასაკიდანვე მივხვდი, რომ ორმაგი მემკვიდრეობა მქონდა და როგორც კოსოვო, ისე ლონდონი ჩემი სახლი იყო. ორმაგი მემკვიდრეობის მქონე ბავშვს ხანდახან დაუცველობის შეგრძნება ეუფლება ხოლმე და ამიტომ დარწმუნებული არ ვიყავი, რომელი იყო ჩემი ნამდვილი ადგილი. ამ დაუცველობის შეგრძნებამ მიმიყვანა მუსიკამდე და მისგან დაიბადა სურვილი, ჩემი ოცნებები რეალობად მექცია. მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, ჩემს ოცნებებს გავყოლოდი. ვიცოდი, რისი გაკეთება მინდოდა. ბოლოს და ბოლოს ჩემმა მშობლებმაც გაიგეს, რომ არ ვაპირებდი ოცნების ასრულებაზე უარის თქმას.

ვინ იყვნენ ის ხელოვანები, რომლებიც თქვენი შთაგონების წყაროდ იქცნენ, როდესაც მუსიკალურ კარიერას იწყებდით?
ადრეული ბავშვობიდან ვაღმერთებდი კაილი მინოუგს. ის უფრო მეტია, ვიდრე პოპვარსკვლავი, ის არის აბსოლუტური კერპი. მას ყველაფერი იდეალური აქვს – სტილი, მუსიკალური კლიპები, სიმღერები. პანდემიის პერიოდში ციფრულ ფორმატში კონცერტის დროს მასთან მუშაობის შესაძლებლობაც კი მომეცა და ეს ჩემთვის არაჩვეულებრივი გამოცდილება იყო. როდესაც ვიზრდებოდი, მამაჩემმა დევიდ ბოუის და პრინცის როლები ითამაშა და შეუძლებელია, ამ ორი დიდი ხელოვანის გავლენის ქვეშ არ მოექცეს ადამიანი. ამჟამად ლიზო და ბილი აილიშიც მაძლევენ შთაგონებას.

რა როლს ასრულებენ თაყვანისმცემლები თქვენს კარიერაში და მათი მხარდაჭერა, მათგან მიღებული გამოხმაურებები რა გავლენას ახდენს თქვენზე, როგორც არტისტზე?
სოციალური მედია ძალიან მაგარია იმ მხრივ, რომ ჩემს თაყვანისმცემლებთან ურთიერთობის შესაძლებლობას მაძლევს, მიუხედავად იმისა, რომ ის სულაც არაა იდეალური. ცოცხალი შესრულებისას თაყვანისმცემელთა მხარდაჭერას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ისინი ამას შეიძლება ვერც ხვდებოდნენ, მაგრამ მათგან წამოსული ენერგია და სიყვარული შემსრულებელს ასაზრდოებს.

უფრო დეტალურად ხომ არ გვიამბობდით თქვენი პიროვნების სხვადასხვა ასპექტის შესახებ, რომელთა გამოხატვა და განსახიერებაც გსიამოვნებთ?
ვიცი, რომ ზოგიერთ შემსრულებელს აქვს ალტერ ეგო ან ე.წ. სცენური პიროვნება და ძალიან კარგია, თუ ეს მათთვის დადებითი შედეგის მომტანია, მაგრამ მე არასდროს შემეძლო ამის გაკეთება. შესრულების დროს იგივე ადამიანი ვარ, რაც რეალურ ცხოვრებაში. არასდროს ყოფილა, რომ გამიღვიძია დილით და მიფიქრია, დღეს ამა და ამ პერსონაჟს ვითამაშებ–მეთქი. არასოდეს მქონია სერიოზული პრობლემა იმის გარკვევაში, თუ ვინ ვარ – ასე რომ, ვფიქრობ, საკმაოდ პირდაპირი ხასიათი მაქვს. ეს იმასაც ნიშნავს, რომ კომფორტულად ვარ საკუთარი თავის ისე გამოხატვისას, როგორც მსურს.

რა მიგაჩნიათ ყველაზე საამაყო მიღწევად თქვენს მუსიკალურ კარიერაში?
ჯილდოების მოგება ნამდვილად სასიამოვნოა, „გრემის“ და ბრიტანული ჯილდოების მოგებისას ფიქრობ, მართლა იმსახურებ თუ არა მათ მიღებას. ვერ ვიტყვი დარწმუნებით, მაქვს თუ არა ერთი ყველაზე საამაყო მომენტი, მაგრამ მიყვარს გასტროლებზე და სცენაზე ყოფნა. როდესაც სცენაზე ვდგავარ, თავისუფლების ისეთი განცდა მეუფლება, რომლის სიტყვებით გადმოცემაც ნამდვილად არ შემიძლია. ყოველთვის მემახსოვრება „მედისონ სკვერ გარდენში“ პირველად გამოსვლა – ეს მართლაც განსაკუთრებული მომენტი იყო.



„მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, ჩემს ოცნებებს გავყოლოდი. ვიცოდი, რისი გაკეთება მინდოდა. ოცნების ასრულებაზე უარის თქმას არ ვაპირებდი"



ჟურნალმა Time–მა მსოფლიოს 100 ყველაზე გავლენიან ადამიანს შორის დაგასახელათ. რას გრძნობთ ხოლმე ასეთი აღიარების დროს?
ამას სხვანაირად ვერ აღვწერ, გარდა იმისა, რომ ვთქვა: ნამდვილად დიდი პატივია Time–ის ასეულში ყოფნა და მის გარეკანზე მოხვედრაც. როცა ყველა იმ არაჩვეულებრივ ადამიანს ვიხსენებ, რომლებიც წლების განმავლობაში მოხვედრილან ამ ჟურნალის გარეკანზე, ეს ფაქტი ნამდვილად მოწიწებით მავსებს.

„ჩაიწვი ის, რაც გსურს, მოუსმინე იმ მუსიკას, რომელიც გინდა და გამოხატე საკუთარი თავი ისე, როგორც გსურს"

დონატელა ვერსაჩემ დაგახასიათათ, როგორც მუზა და ის ადამიანი, რომელიც Versace–ს ბრენდის სულს განასახიერებს. როგორია მოდის ისეთ სიმბოლოსთან ახლო კავშირი, როგორიც დონატელაა?
ჩვენ ნამდვილი მეგობრობა გვაკავშირებს. ჩემთვის არაჩვეულებრივია იმის შესაძლებლობა, რომ იდეები ქაღალდზე გადავიტანო ესკიზების სახით და ის დონატელას ვუჩვენო. ის ფაქტი, რომ შემიძლია ჩემი იდეები მოდის სამყაროს ერთ–ერთ ყველაზე გამორჩეულ ფიგურას გავუზიარო, განსაკუთრებულია. ჩვენ გვსურს, შევქმნათ ნამუშევრები, რომლებითაც ადამიანები საკუთარი თავის გამოხატვას შეძლებენ. ის ყურს უგდებს ჩემს იდეებს, პატივს სცემს მათ და ჩემს დიდ მეგობრად იქცა, ასევე, იმ ადამიანად, რომელთანაც ვმუშაობ.

როგორ ფიქრობთ, როგორ იკვეთება ერთმანეთში თქვენი მუსიკა და მოდა?
მოდა, ისევე როგორც მუსიკა, არ შეიძლება იყოს იძულებითი – ისინი ორივე გამოხატვის ფორმაა და გამოხატვა არ შეიძლება იძულებითი იყოს. ადამიანებს უნდა შეეძლოთ ეცვათ ის, რაც უნდათ; როდესაც ადამიანები თავს საკმარისად მიღებულად გრძნობენ, რათა შეძლონ საკუთარი თავის გამოხატვა, მაშინ შესაძლებელია წინსვლა სამყაროსთან ერთად. ხალხი იმ მუსიკას ირჩევს, რომლის მოსმენაც სიამოვნებს, იმ მუსიკას, რომელიც მათ ესაუბრება და იგივე ეხება მოდასაც. არარეალურია ვიფიქროთ, რომ ყველანაირი მოდა სხეულის ყველა ფორმას მოერგება. ყოფილა შემთხვევები, რომ პოდიუმზე ჩვენებისას ნამუშევრები მომწონებია, მაგრამ როცა მათი ჩემს თავზე მორგება მიცდია, დამინახავს, რომ ისინი ჩემი სხეულის ფორმებისთვის არ იყო შექმნილი.

„როდესაც სცენაზე ვდგავარ, თავისუფლების ისეთი განცდა მეუფლება, რომლის სიტყვებით გადმოცემაც ნამდვილად არ შემიძლია"

რა მოტივაციამ გიბიძგათ, შეგექმნათ Service95, თქვენი ყოველკვირეული გამოცემა? რისი ნახვა შეუძლიათ გამომწერებს თითოეულ გამოცემაში?
ის, თუ რატომ შევქმენით ეს ყველაფერი, სახელწოდებაშია ახსნილი. ეს საკმაოდ მარტივია – გვსურს, რომ ჩვენს მკითხველს ვემსახუროთ. ნამდვილად გვინდოდა ჩვენი მკითხველის ჰორიზონტის გაფართოება ისეთი ამბების გამოქვეყნებით, რომლებიც ფართოტირაჟიან მედიაში არ იქნებოდა მოცემული. ჩვენ გატაცებულები ვართ ადამიანებით და ადგილებით და ეს არის ის, რაც ნამდვილად გვინდა გავუზიაროთ მკითხველს. იმისათვის, რომ ცვლილებები მოხდეს, ამ ახალგაზრდებს უნდა მივცეთ თავიანთი სათქმელის გამოხატვის უფლება. Service95-ში სწორედ ამას ვაკეთებთ.

შეგიძლიათ მეტი მოგვიყვეთ თქვენი მომავალი როლის შესახებ Argylle-ში, ჯაშუშურ ტრილერში, რომლის რეჟისორია მეთიუ ვონი? რამ მიგიზიდათ ამ პროექტში და რას ელოდება მაყურებელი თქვენი პერსონაჟისგან?
Argylle-ის გადაღებისას საუკეთესო დრო გავატარე, მაგრამ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო პატარა ნაბიჯების გადადგმა. როდესაც გიღებენ და კამერა შენკენაა მომართული, ყველა ის შეგრძნება და ემოცია, რომელიც გეუფლება, სრულიად განსხვავდება მუსიკისგან.

როგორ იმოქმედა დონატელა ვერსაჩესთან მეგობრობამ მოდაში თქვენს არჩევანზე და სტილზე?
იმის მიუხედავად, რომ ცხადია, მნიშვნელოვანია შეინარჩუნო საკუთარი სტილის შეგრძნება, როდესაც დონატელას მსგავს ადამიანთან მუშაობ, შეუძლებელია მისი გემოვნების გავლენის ქვეშ არ მოექცე. ეს არის ერთ-ერთი რამ, რაც მასში მომწონს – დონატელას ამდენი წლის შემდეგაც კი მთელი გატაცებით უყვარს ის საქმე, რომელსაც აკეთებს. მასთან ერთად La Vacanza-ს უახლესი ხაზის შექმნა ძალიან სახალისო იყო, ამ საქმის კეთებისას საუკეთესო დრო გავატარეთ. და მოდა უნდა იყოს სახალისო, ის უნდა იყოს ვნებიანი. მხოლოდ ასე თუ არის შესაძლებელი ისეთი ნამუშევრების შექმნა, რომელთა ტარებისას ადამიანები თავს შესანიშნავად იგრძნობენ.

რა არის ის პირადი წესები, რომლებსაც ცხოვრებაში და კარიერაში მისდევთ, რამაც ხელი შეუწყო თქვენს წარმატებას და ბედნიერებას?
თუ სიტუაცია ან ადამიანი საზიანოა თქვენი ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის, გაეცალეთ მას! სოციალური მედია კომუნიკაციის შესანიშნავი საშუალება შეიძლება იყოს, მაგრამ ის, ასევე, შეიძლება იყოს ძალიან საძულველი ადგილი. თუ აღმოაჩენთ, რომ სოციალურ ქსელში შეხვედით და თავს ცუდად გრძნობთ ან ნერვიულობთ, მაშინ დროა, გამოხვიდეთ და მისგან დაისვენოთ. ასევე, არსებობს საბაზო წესებიც, რომელთა დაცვაც თავს ბევრად უკეთ გაგრძნობინებთ. ჩემთვის ეს არის ვიტამინების მიღება და ღამით კარგად გამოძინება.

რამდენად ხშირად არღვევთ წესებს? ბოლოს რომელი წესი დაარღვიეთ?
არ მიყვარს წესები, თუმცა არა მეამბოხის გაგებით. ჩაიცვი ის, რაც გსურს, მოუსმინე იმ მუსიკას, რომელიც გინდა და გამოხატე საკუთარი თავი ისე, როგორც გსურს.

რა არის ის საუკეთესო რამ, რაც კი ოდესმე ვინმეს თქვენთვის გაუკეთებია?
ის მხარდაჭერა, რომელსაც ჩემი ოჯახისა და მეგობრებისგან ვიღებ, ყველაზე უკეთესი რამ არის, რაც კი ოდესმე მიმიღია. მოგზაურობისთვის არავინ გამზადებს, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შენ გარშემო კარგი ხალხი იყოს.



გზა ჰარმონიისკენ

წარმოიდგინეთ ადგილი, სადაც წესები არ არსებობს, სადაც ქაოსი სუფევს და ყველა საკუთარ სურვილებს მიჰყვება, სხვების აზრის გაუთვალისწინებლად. ეს იქნებოდა გზა არსაით — მთელი წყება შეხლა-შემოხლის და კონფლიქტების გზა, სრულიად მოკლებული ჰარმონიას. სწორედ წესები გვიკვლევს ბილიკებს განსხვავებული გზისკენ, იმ გზისკენ, სადაც ხალხი საკუთარ პასუხისმგებლობას აცნობიერებს, პატივს სცემს საზღვრებს და საერთო შეხების წერტილებს პოულობს. ამის მიუხედავად, მხოლოდ წესები არ არის საკმარისი ჰარმონიის შესანარჩუნებლად. ისინი სამართლიანობის, ემპათიისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებით უნდა საზრდოობდნენ. ზუსტად ისე, როგორც ორკესტრია დამოკიდებული მისი თითოეული წევრის შესრულებაზე, საზოგადოებაც მაშინ ვითარდება, როცა მისი წევრები აჰყვებიან წესების სიმფონიას. თითოეული ნოტი, თითოეული წესი ხელს უწყობს ჰარმონიას, ქაოსს კი იმ მშვიდ გარემოდ აქცევს, სადაც ყველა სული თავის ადგილს პოულობს.

ტექსტი ლალი ბინიატოვა **ფოტო** საკინა მეჰრალიევა

GİLGİLÇAY 2.2

„სოკარი“ ლიდერი კომპანიის წარმატების ამბავი

„საწვავის ინდუსტრიაში მოწინავე პოზიციის შენარჩუნება ნამდვილად დიდი გამოწვევაა. ჩვენი წარმატება ამ უაღრესად კონკურენტულ ბაზარზე განპირობებულია ინოვაციებით, ეფექტიანობით, პრაქტიკული მიდგომებით ინდუსტრიის გამოწვევების საპასუხოდ“, — ამბობს „სოკარ ჭორჭია პეტროლიუმის“ დირექტორი ნოდარ ყანჩაველი.
იგი გვესაუბრება კომპანიის წარმატებაზე, იმ მიდგომებზე, რომელთა წყალობითაც „სოკარი“ წლებია ბაზარზე ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს, ინოვაციებზე, ახალ სერვისებზე.
„სოკარი“ არის კომპანია, რომელიც მუდმივად ორიენტირებულია სოციალურ პასუხისმგებლობებზე და ამ მიმართულებით არაერთ პროექტშია ჩართული.
მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გარემოს დაცვაში. ამ ყველაფერზე დეტალურად „სოკარ ჭორჭია პეტროლიუმის“ დირექტორი ნოდარ ყანჩაველი გვიამბობს:

ინტერვიუ ხატია ვარდოსანიძე
ფოტო სალი დუნდუა

> წარმატება ხშირად მოითხოვს საქმისადმი ერთგულებას და სამუშაო ეთიკას. აუცილებელია დროისა და ძალისხმევის დახარჯვა უნარების გასავითარებლად და ჩვენი მიზნების მისაღწევად

ბატონო ნოდარ, როგორ დაიწყო თქვენი და „სოკარის“ ურთიერთობის ამბავი? რამდენი წელია, რაც კომპანიას ხელმძღვანელობთ და რას ნიშნავს ეს თქვენთვის?
„სოკარში“ მუშაობა 2017 წელს დავიწყე, თუმცა არა დირექტორის პოზიციაზე, არამედ, როგორც საცალო ქსელის ხელმძღვანელმა. იმ დროისათვის კომპანია მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის ეტაპზე იყო. ბევრი ცვლილების და გამოწვევის წინაშე ძალიან დიდი ენთუზიაზმით შევუდექი „სოკარის“ გუნდთან ერთად უამრავი საინტერესო საქმის კეთებას. ვფიქრობ, ძალიან კარგ დროს მომიწია არსებულ გუნდთან შემოერთება. ამის შემდეგ, 2020 წელს საოპერაციო დირექტორის, ხოლო 2022 წელს უკვე დირექტორის პოზიციაზე გადავინაცვლე.
კითხვაზე, თუ რას ნიშნავს ჩემთვის, ვხელმძღვანელობდე საქართველოში ერთ-ერთ უმსხვილეს კომპანიას, ერთი ცალსახა პასუხი ვერ მექნება, რადგან უდიდეს პასუხისმგებლობასთან ერთად, ჩემთვის „სოკარი“ არის კომპანია, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, ვაკეთო ნამდვილად ხელშესახები სიკეთეები როგორც კომპანიისთვის, ისე სექტორისთვის და, ზოგადად, ბიზნესგარემოსთვის ჩვენს ქვეყანაში.

ალბათ, საკმაოდ რთულია, წამყვანი პოზიცია შეინარჩუნო ამ ბაზარზე, რომელზეცმუდმივად ახდენს გავლენას გარე ფაქტორები, გლობალური მასშტაბით მიმდინარე მოვლენები – როგორ ახერხებთ, ყოველთვის ლიდერები იყოთ, რა გამოწვევებთან გიწევთ ხოლმე გამკლავება?
საწვავის ინდუსტრიაში მოწინავე პოზიციის შენარჩუნება ნამდვილად დიდი გამოწვევაა. ჩვენი წარმატება ამ უაღრესად კონკურენტულ ბაზარზე განპირობებულია ინოვაციებით, ეფექტიანობით, პრაქტიკული მიდგომებით ინდუსტრიის გამოწვევების საპასუხოდ და, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, მდგრადი მიდგომით ამ ფაქტორების მიმართ.
მთავარი გამოწვევები, რომლებსაც ვხვდებით, არის გლობალური ენერგეტიკული ბაზრის არასტაბილურობა, ნავთობის ფასების მერყეობა და გეოპოლიტიკური დაძაბულობა. ამ ფაქტორების ნეგატიური ზეგავლენის შესამცირებლად დავნერგეთ დივერსიფიცირებული მიდგომა ჩვენი ენერგეტიკული პორტფელის მიმართ.

„გარემოს დაცვა „სოკარის" სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა"

გვეტყვით, რა არის თქვენი ბიზნესის უახლოესი მიზანი? არის ისეთი რამ, რასაც პირველი ჩვენი მკითხველი შეიტყობს?
აქცენტი კვლავაც კეთდება ჩვენს ძირითად პროდუქტებზე, თუმცა პარალელურად ვავითარებთ ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა ელექტრომანქანების დამტენების, მზის პანელების, მაღაზიებისა და სხვა სერვისების მიწოდება, რომლებიც შეიძლება მძღოლს მგზავრობისას დასჭირდეს. ამ მხრივ ნამდვილად გვაქვს კონკურენტული უპირატესობა, რადგან პირველები ვიყავით, მაგალითად, ელმანქანების დამტენების ნაწილში და დღესაც დამტენების ყველაზე დიდი ქსელი გვაქვს საქართველოში. უკვე განვახორციელეთ 2 პროექტი, რაც მწვანე ენერგიის მეშვეობით ამარაგებს ჩვენს სადგურს ელექტროენერგიით და ამ მხრივ კიდევ გვაქვს დიდი გეგმები.

ვისაუბროთ თვითმომსახურების სერვისზე, რომელსაც „სოკარი" აქტიურად ნერგავს ბაზარზე. დეტალურად მოგვიყევით მის შესახებ: მსგავსი მომსახურების რამდენი სერვისია საქართველოში, რას იღებს მომხმარებელი ამით, რამდენად კომფორტულია სარგებლობა? ეს ხომ ერთგვარად თანამედროვე ცხოვრების სტანდარტია – ასევე, მაინტერესებს, რამდენად დიდია ადამიანების დაინტერესება ამგვარი სერვისით?
თვითმომსახურების ქსელის განვითარება კომპანიამ 2022 წელს დაიწყო და ამჟამად უკვე თვითმომსახურების 11 ავტოგასამართი სადგური გვაქვს საქართველოს მასშტაბით. „სოკარის" ე.წ. სელფ სერვისი გამორჩეულია იმით, რომ განსაკუთრებულად მარტივ და კომფორტულ გამოცდილებას სთავაზობს მომხმარებელს. გამოცდილების გარდა, აღსანიშნავია ისიც, რომ თვითმომსახურების სადგურებზე ფასები შედარებით დაბალია, ვიდრე ჩვეულებრივ სადგურებზე.

> საბოლოო ჯამში, ჩვენი წარმატება ემყარება ჩვენს უნარს, დავაბალანსოთ მოკლევადიანი მოსაზრებები გრძელვადიან ხედვასთან

გარემოს დაცვა ყველაზე ტიპის საწვავი უკვე „ევრო 5" სტანდარტია და, შესაბამისად, მაღალ ხარისხთან ერთად, შედარებით უფრო ეკომეგობრულიცაა. ამის დასადასტურებლად წელს ლაბორატორიული ანალიზები საქართველოს გასცდა და პირველად ჩატარდა ინტერტეკის საერთაშორისო ლაბორატორიაში, ჰოლანდიაში, სადაც ჩვენმა საწვავმა დადგენილ საერთაშორისო სტანდარტზე უკეთესი შედეგები აჩვენა.

„სოკარი" არ შემოიფარგლება მხოლოდ საწვავის ბიზნესით და სხვადასხვა ინვესტიციას ახორციელებს. მოგვიყევით ამ ინვესტიციებზე, უკვე არსებულზე და თუ გეგმავთ ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელებას?
როგორც ზევით აღვნიშნეთ, გარდა საწვავისა, ვავითარებთ ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა: ელექტრომანქანების მომსახურება, მაღაზიები, კაფეები, მზის პანელები და სხვა ინოვაციური სერვისები, რომლებიც გრძელ ვადაში ეფექტიანია რამდენიმე ნაწილში. აღსანიშნავია მათი გარემოსდაცვითი სარგებელი, შემცირებული ნახშირბადის გამონაბოლქვი: მზის პანელები და ელექტრომობილები – ორივე ეკოლოგიურად სუფთა ალტერნატივაა. მზის პანელები სუფთა, განახლებად ენერგიას გამოიმუშავებს, რაც წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულებას ამცირებს. ელექტრომობილებს ნულოვანი გამონაბოლქვი აქვს და ა.შ.

რას გვეტყვით სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში თქვენს ინიციატივებზე? ეს განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან „სოკარი" არის ბიზნესი, რომელიც მუდმივად ცდილობს საზოგადოების განვითარების, უკეთესად ცხოვრების მიმართულებით თავისი წვლილი შეიტანოს. ამ კუთხით უკვე განხორციელებულ პროექტებზე მოგვიყევით და, ასევე, ინიციატივებზე, რომელთა განხორციელებასაც გეგმავთ.

ზოგადად, ტექნოლოგიების ეპოქაში ვცხოვრობთ და ყველაფერში მუდმივად, ეტაპობრივად ინერგება ინოვაციები, „სოკარის" მიდგომა როგორია ამ კუთხით? რამდენად ხშირად ნერგავთ სიახლეებს და სამომავლოდ თუ აპირებთ, მომხმარებელს რაიმე ინოვაცია შესთავაზოთ?
ინოვაცია არის კომპანია „სოკარის" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიდგომა ბიზნესისადმი. ოპერაციულ დონეზე ტექნოლოგიების უწყვეტ ინტეგრაციას ძალიან კარგი შედეგები მოაქვს. ამ ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ მომხმარებლების კმაყოფილების კვლევასა და შედეგად მეტ R&D-ს. სწორედ ამ კუთხით იქნება სამომავლოდ ინოვაციები „სოკარში".

რამდენ ქვეყანაში ოპერირებთ და თუ იგეგმება კიდევ უფრო გაფართოება?
აზერბაიჯანის გარეთ პირველი ქვეყანა, სადაც „სოკარმა" ავტოგასამართი სადგური გახსნა, საქართველო იყო. ამჟამად კომპანიას 6 ქვეყანაში აქვს ავტოგასამართი სადგურების ქსელი. ეს ქვეყნებია: შვეიცარია, ავსტრია, უკრაინა, რუმინეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი და საქართველო. ქსელი მუდმივად ფართოვდება და მომხმარებელთა ნდობაც იზრდება.

გარემოს დაცვის თემაზეც ვისაუბროთ – გარემოს დაცვა ჩვენი დროის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა, კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით. რას აკეთებს „სოკარი" ამ მიმართულებით? დარწმუნებული ვარ, გაქვთ გარემოსდაცვითი ინიციატივები, მომხმარებლებში ამ ტიპის სადგურებისადმი ენთუზიაზმიც დიდია, საზოგადოება ჩვენს სიახლეს დადებითად შეხვდა და, შესაბამისად, კომპანია ამ მიმართულებითაც აპირებს ქსელის განვითარებას.

გვესაუბრეთ მათზე, რამდენად ითვალისწინებს თქვენი ბიზნესი ეკოლოგიაზე ზრუნვას და რას აკეთებთ ამ მიმართულებით?
გარემოს დაცვა „სოკარის" სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა და წლების განმავლობაში უამრავი სოციალური პროექტი გვქონდა ამ კუთხით. აშენდა არაერთი სკვერი, მოეწყო მწვანე ზონები და დასუფთავდა ათობით ადგილი საქართველოს მასშტაბით. გარდა ამისა, „სოკარი" განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ნარჩენების მართვას და ყველა წესის დაცვით ახორციელებს უტილიზაციას. უპირველეს ყოვლისა, „სოკარი" ეკოლოგიაზე საწვავის ხარისხის კონტროლით ზრუნავს. კომპანიას აქვს საკუთარი აკრედიტებული ლაბორატორია და სისტემატურად წმენდს რეზერვუარებს. ასევე, წელს „სოკარი" სრულად გადავიდა „ევრო 5" სტანდარტზე, რაც ძალიან მისასალმებელია. ჩვენს ქსელში

„უკვე თვითმმართველობის 11 ავტონომიურ-სამართი სადგური გვაქვს საქართველოს მასშტაბით. „სოკარის" ე.წ. სელფ სერვისი გამორჩეულია იმით, რომ განსაკუთრებულად მარტივ და კომფორტულ გამოცდილებას სთავაზობს მომხმარებელს"

როგორც მოგეხსენებათ, „სოკარმა" რამდენიმე წლის წინ შექმნა გრძელვადიანი CSR სტრატეგია და აირჩია ის მიმართულებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოითხოვდა კონტრიბუციას და დღემდე ამ მიმართულების განვითარებაზეა ორიენტირებული. ეს მიმართულებებია ქალთა გაძლიერება, შშმ პირებისა და ხანდაზმულთა უფლებების რეალიზაცია, უსაფრთხოება, გარემოს დაცვა და ახალგაზრდების მხარდაჭერა.

მიმდინარე წელს, ქალთა გაძლიერების კუთხით, ქართველ ქალ მეწარმეებთან ვითანამშრომლეთ. პროექტის ფარგლებში მათ დაუმზადდათ სარეკლამო/საიმიჯო ვიდეორგოლები თავიანთი საწარმოებისთვის და, ამასთან ერთად, მათი პროდუქციის სიმბოლური რაოდენობები შევიძინეთ.
2023 წელს ვითანამშრომლეთ, აგრეთვე, არასამთავრობო ორგანიზაცია „საფართან". კომპანიამ მხარი დაუჭირა 11 ოქტომბერს გამართულ გოგონათა საერთაშორისო დღეს, სადაც საზოგადოებამ გაიცნო გოგონები, რომლებსაც ერთმანეთთან და „საფართან" ღირებულებები, ამ ღირებულებებისთვის ბრძოლის შემართება და საზოგადოების უკეთესობისკენ შეცვლის სურვილი აერთიანებთ.
შშმ პირებისა და ხანდაზმულთა უფლებების რეალიზაციის კუთხით, კომპანია წელსაც თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაცია ახალგაზრდულ მედიაკავშირთან, რომელთან ერთადაც წლის განმავლობაში უამრავ სპორტულ აქტივობასა და სპორტულ ბანაკებს უწევს ორგანიზებას.
უსაფრთხოების კუთხით, წელს „სოკარმა" დაიწყო უნიკალური პროექტი, რომლის ფარგლებშიც, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან ერთად, სკოლებში ტრენინგებს ახორციელებს. ტრენინგების მთავარი თემა არის საგზაო უსაფრთხოება.
ახალგაზრდების მხარდაჭერის კუთხით, „სოკარი" უკვე წლებია თანამშრომლობს რაგბის კლუბ „სოხუმთან", რომელიც დროებით ოკუპირებული აფხაზეთიდან იძულებით დევნილი ოჯახების ბავშვებს აერთიანებს. აგრეთვე, კომპანიამ წელსაც მხარი დაუჭირა ქალაქ რუსთავის ინიციატივას ოქროსმედალოსანთა დაჯილდოებასთან დაკავშირებით და რამდენიმე ოქროსმედალოსანს საჩუქრები გადასცა.
გარემოს დაცვის კუთხით, რაგბის კლუბ „სოხუმთან" ერთად დასუფთავდა რამდენიმე ლოკაცია. იმედი გვაქვს, რომ ასეთ აქტივობებში ბავშვებისა და მოზარდების ჩართულობით უკეთეს და გრძელვადიან შედეგებს მივიღებთ.

ბოლოს, გვითხარით, არსებობს რაიმე ფორმულა, რომლითაც ხელმძღვანელობთ – რა არის „სოკარის" წარმატების გასაღები? წარმატებული ადამიანები შთამაგონებლები არიან ხოლმე, რას ეტყოდით ჩვენს მკითხველს – რა არის მთავარი წარმატებისთვის?
წარმატება ხშირად მოითხოვს საქმისადმი ერთგულებას და ძლიერ სამუშაო ეთიკას. აუცილებელია დროისა და ძალისხმევის დახარჯვა უნარების გასავითარებლად და ჩვენი მიზნების მისაღწევად. ძალიან მნიშვნელოვანია განვითარებაზე მუდამ ზრუნვა. სამყარო მუდმივად იცვლება და წარმატებული ადამიანები ხშირად პრიორიტეტს ანიჭებენ სწავლას და ადაპტირებას. ჩვენი ცოდნისა და უნარების მუდმივი გაუმჯობესება კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებაში დაგვეხმარება.

რა ძალა აქვს ფიქრებს,

როგორ დავიმუხტოთ დადებითი ემოციებით და ვიპოვოთ ჰარმონია საკუთარ თავთან და სამყაროსთან?

ფოტოს ავტორი: მარინა კარპი

ინტერვიუ ხატია ვარდოსანიძე

მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები, ნეგატივი, რომელიც გარკვეული დოზით ყველა ადამიანის ყოფის განუყოფელი ნაწილია, დიდ გავლენას ახდენს ჩვენს ყოველდღიურობაზე, განწყობაზე, ცხოვრების ხარისხზე... სოციალური ქსელების ატმოსფერო, ცხოვრების დაძაბული რიტმი, საბოლოო ჯამში, ნეგატიურ ფიქრთა ნაკადის, შფოთვის წყარო ხდება. ადამიანებს გვიძნელდება საკუთარ თავთან ჰარმონიის მიღწევა, სიმშვიდის პოვნა. ფსიქოლოგი ნინო მარგველაშვილი გვესაუბრება იმაზე, თუ რა ძალა აქვს ფიქრებს და გვიზიარებს რჩევებს, როგორ მოვიქცეთ, რათა პოზიტიური ენერგიით დავიმუხტოთ, ვიპოვოთ საკუთარი თავი და საკუთარი ადგილი ცხოვრებაში.

რა ძალა აქვს ჩვენს ფიქრებს, დამოკიდებულებებს? ხშირად გვესმის – რასაც ფიქრობ, როგორი დამოკიდებულებაც გაქვს მოვლენების მიმართ, რა სურვილებსაც უშვებ სამყაროში, უკან გიბრუნდებაო. რას ამბობენ ამ თემაზე ფსიქოლოგები, რამდენად დიდია ჩვენი ფიქრების ძალა?

ხომ გინახავთ, როგორ მუშაობს ბატიბუტის აპარატი? გონებაც მას ჰგავს – შესაძლებლობა აქვს, წარმოქმნას და დააგენერირიროს უამრავი განსხვავებული ფიქრი. მინდა, რომ ეს ადამიანებმა კარგად გაიაზრონ: ხშირ შემთხვევაში ჩვენ არ ვირჩევთ საკუთარ ფიქრებს. მთავარი ფაქტორი, რის გამოც ფიქრები გვიჩნდება, ისაა, რომ ჩვენს გონებას უნდა, დაგვიცვას და გადაგვარჩინოს. ნებისმიერი ფიქრი მხოლოდ და მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება: რომ ყურადღებით ვიყოთ და შემდეგ შესაბამისად ვიმოქმედოთ, რათა საკუთარი თავი თუ სხვები დავიცვათ და საფრთხეს გავარიდოთ. რამდენად გამოსადეგია ეს ჩვეულებრივ სიტუაციაში, ეს უკვე სხვა საქმეა. ფიქრები ღრუბლებს ჰგავს. როგორც ღრუბლები მიდიან და მოდიან ცაზე, ასეა ჩვენი ფიქრებიც – მიდიან და მოდიან. არ არის აუცილებელი, ყველა ფიქრს გავეკიდოთ, ყველას ჩავეძიოთ. ამან ძალიან შორს შეიძლება წაგვიყვანოს და შედეგად შესაძლოა ვერ შევამჩნიოთ, გამოვტოვოთ და ვერ დავტკბეთ იმ მომენტებით, რომელშიც ვიმყოფებით ხოლმე დღის განმავლობაში.

ამავე დროს, არსებობს დამოკიდებულებები, რწმენები, რისიც გვჯერა. ფიქრზე მეტად ახდენს გავლენას ის, თუ რისი გვჯერა და გვწამს. ადამიანის წინაშე შეიძლება შესაძლებლობების კარი გაიღოს, მაგრამ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმისგან თავი შეიკავოს იმის გამო, რომ რაღაც ჩამოყალიბებული რწმენა აქვს: მაგალითად, დარწმუნებულია, რომ ეს არასოდეს გამოუვა, არავინ მოუსმენს. ფიქრებზე მეტი ძალა ჩვენს რწმენას აქვს, რომელიც ან გვეხმარება, ან ხელს გვიშლის კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაში.

> ჰარმონია ნიშნავს, როცა ადამიანს შეუძლია საკუთარ სხეულში, გონებაში ერთდროულად დაიტიოს როგორც ტკივილი, ისე სიხარულის განცდა

დაძაბული ცხოვრების რიტმი, ტრაგედიები, დრამატული ამბები, რომლებიც გამუდმებით ხდება გარშემო, ადამიანებზე უარყოფითად მოქმედებს. რას ეტყვით ჩვენს მკითხველს, როგორ უნდა შევინარჩუნოთ კარგი განწყობა, როგორ უნდა დავიმუხტოთ დადებითი ენერგიით? შეგიძლიათ რამდენიმე კონკრეტული რჩევა მოგვცეთ?

უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიაზროთ, რა გავლენას ახდენს ინფორმაცია, რომელიც მუდმივ რეჟიმში მოგვეწოდება.

პირველი რჩევა ასეთია: რაღაც ინფორმაცია რომ შეგხვდებათ სოციალურ ქსელში, უბრალოდ, შეყოვნდით და დაფიქრდით, როგორ მოქმედებს მისი წაკითხვა თქვენს სხეულზე, ფიქრებსა და ემოციებზე. ამ ინფორმაციული ნაკადის მსხვერპლი რომ არ იყოთ, უმჯობესია, დაიწყოთ გააზრება, რა გავლენას ახდენს ის თქვენზე, რა ემოციებს ან ფიზიკურ რეაქციებს იწვევს: გული გიჩქარდებათ, უსიამოვნო ფიქრები გიჩნდებათ... – და სათანადოდ იმოქმედოთ.

მაგალითად, შეიძლება წავიკითხე, რომ ჩემს მეზობელს დახმარება სჭირდება და გამახსენდა, რომ დედაჩემსაც იგივე პრობლემა ჰქონდა. შესაბამისად, შემიძლია, იმ ადამიანს ჩემი გამოცდილება გავუზიარო და ამგვარად დავეხმარო. ასეთ შემთხვევაში მაქვს საშუალება, რაღაც ოდნავ მაინც შევცვალო უკეთესობისკენ.

ეს კმაყოფილების განცდას იწვევს როგორც ჩემში, ისე ჩემს მეზობელში. სხვა შემთხვევაში შეიძლება ისეთი რამ ხდება, რის შეცვლის ძალაც არ მაქვს. ასეთ დროს უნდა გავიაზრო, რომ პრობლემის გადაჭრაში დახმარება ჩემს შესაძლებლობებს აღემატება და ვუთხრა საკუთარ თავს, რომ ახლა არაფრის გაკეთებაა საჭირო. სამწუხაროა, უსიამოვნო განცდაა, მაგრამ რადგან არ მაქვს რაიმეს შეცვლის ძალა, შესაბამისად, არც მორალური პასუხისმგებლობა მეკისრება.

ასევე, გააკეთეთ ნებისმიერი რამ, რაც სხეულს აგრძნობინებს, რომ სასწრაფო და საგანგაშო არაფერია. შეიძლება, უბრალოდ, ფეხზე წამოდგეთ და სხეული გაამოძრაოთ, ან შვილს, ახლობელ ადამიანს ჩაეხუტოთ და ენერგიის ცვალებადობა იგრძნოთ...

ყურადღების შესვენება ამგვარი სახის ქმედებებზე უსაფრთხოების განცდას აჩენს, რომ აქ ვარ, აწმყოში და ახლა არაფრის გაკეთება არ მჭირდება.

პოზიტიური ენერგიით დასამუხტად კიდევ ერთი რჩევა ასეთია: დავფიქრდეთ, რა შეგვიძლია გავაკეთოთ კარგი სხვისთვის, საკუთარი თავისთვის და გაცნობიერებულად ვიმოქმედოთ. მაგალითად, ვიღაცას შეიძლება მისწერო: „ჰეი, მომენატრე, მიყვარხარ!“ და მერე, პასუხს რომ დაგიბრუნებს და გეტყვის, როგორ გაუხარდა შენი მოკითხვა, ეს სიხარულით, დადებითი ემოციით აგავსებს.

როგორ შეიძლება ვიპოვოთ ჰარმონია საკუთარ თავთან? მესმის, რომ ეს ძალიან დიდი თემაა, მაგრამ იქნებ რამდენიმე რჩევა გაგვიზიაროთ, რა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჰარმონიას და სიმშვიდეს მივაღწიოთ?

შინაგანი სიმშვიდე ადამიანმა თავად უნდა შეიგრძნოს. ვიღაცამ რომ თქვას, მშვიდად ვარო, ეს არ ნიშნავს, რომ შინაგანად გრძნობს სიმშვიდეს. შეიძლება არ ყვირის, არ ჩხუბობს, ჩუმად ზის, იღიმება, მაგრამ ამ დროს მისი ორგანიზმი აფორიაქებული იყოს და ეს გარეგნულად არ ემჩნეოდეს. შინაგანი სიმშვიდის მიღწევა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. როგორ უნდა ვიპოვოთ ჰარმონია საკუთარ თავთან? – ჰარმონია ყოველთვის არის ბალანსი და წონასწორობა ერთმანეთის საწინააღმდეგო ორ რაღაცას შორის.

ჰარმონიაში იგულისხმება, რომ მე არ მაქვს გამოცხადებული ომი საკუთარ ფიქრებთან, საკუთარ ემოციებთან, საკუთარ ქცევებთან. თუ ჩემს თავს ვებრძვი, თუ მჯერა, რომ საკუთარ თავს უნდა დავაძალო, ვაჯობო, გავაკეთებინო რაღაც, თუ სულ შეჯიბრში ვარ, – ამან რა შედეგიც არ უნდა მომცეს კონკრეტულ საქმეზე, სიმშვიდის და კმაყოფილების განცდას ნამდვილად ვერ მომიტანს.

ჰარმონია ნიშნავს, როცა ადამიანს შეუძლია საკუთარ სხეულში, გონებაში ერთდროულად დაიტიოს როგორც ტკივილი, ისე სიხარულის განცდა: კი, ახლა მტკივა, ახლა მეწყინა, ამას ვიაზრებ, ვგრძნობ და, ამავე დროს, ვხედები, როგორ გამიმართლა, რომ აი, ახლა ცოცხალი ვარ, აქ ვარ და მიხარია, რომ, უბრალოდ, ვსუნთქავ! როცა რაიმე ნეგატიური მოხდება, უნდა თანავუგრძნოთ საკუთარ თავს, ვანუგეშოთ, გავიაზროთ, რომ მარტო ჩვენ არ გვემართება ასეთი რაღაცები, რომ ეს ცხოვრების განუყოფელი ნაწილია: გვეტკინება, ვიღაც გარდაიცვლება, რაღაც დაგვეკარგება – ეს გარდაუვალია. საკუთარ თავს უნდა ვკითხოთ, ახლა რა გვანუგეშებდა?

> ფიქრები ღრუბლებს ჰგავს. როგორც ღრუბლები მიდიან და მოდიან ცაზე, ასეა ჩვენი ფიქრებიც – მიდიან და მოდიან. არ არის აუცილებელი, რომ ყველა ფიქრს გავეკიდოთ...

სამი კომპონენტი შეგვიძლია გამოვყოთ:

პირველი – შევამჩნიოთ, რომ ცუდად ვგრძნობთ თავს;

მეორე – დავინახოთ, რომ ეს ცხოვრების ნაწილია და ადამიანი ხან ცუდად გრძნობს თავს და ხან კარგად;

მესამე – იმ მომენტში რაღაც გავაკეთოთ საკუთარი თავის დასახმარებლად: მოვეფეროთ, საყვარელი ჩაი დავლიოთ ან საკუთარი პოზიცია ხმამაღლა ვთქვათ, ბუნებაში გავისეირნოთ. როცა ბუნებაში გადიხარ, შინაგან სიმშვიდეს გრძნობ, რადგან უცებ აცნობიერებ, რომ ეს სამყარო ბევრად უფრო დიდი, მისტიკური და ღირებულია, ვიდრე ერთი კონკრეტული ადამიანის იმ კონკრეტულ მომენტში არსებული მდგომარეობა. ეს ამშვიდებს ჩვენს ნერვულ სისტემას და გვითავისუფლებს ენერგიას სხვა, ჩვენთვის სასურველი ქმედებებისთვის.

ზოგადად, ძალიან რთულია ამ სამყაროში საკუთარი ადგილის პოვნა (ალბათ, უმეტესობას უჭირს). მაგალითად, გაქვს სამსახური, მაგრამ რაღაც გაწუხებს, თითქოს იქ არ ხარ, სადაც უნდა იყო... თითქოს საყვარელ საქმეს აკეთებ, მაგრამ გიპყრობს განცდა, რომ შენი ადგილი აქ არ არის. ეს დამატებით სტრესის, შფოთვის საგანია. არის რაიმე მეთოდი, რაც ასეთ მომენტებში დაგვეხმარება? როგორ უნდა გავიგოთ, რა გვსურს სინამდვილეში და რა გვანიჭებს ბედნიერებას? რას ეტყოდით „დაკარგულებს“?

ის ფაქტი, რომ „გაჭედილი“ ვარ, არ ნიშნავს იმას, რომ მე ვარ ასეთი, ანუ ეს ჩემი თვისება და იდენტობა კი არ არის, არამედ იმ პერიოდში კონკრეტული ფიქრების, გრძნობებისა და შეგრძნებების ერთობლიობაა, რომელიც საშუალებას არ მაძლევს, გავაკეთო ის, რაც შვებას, სიამოვნების შეგრძნებას მომიტანს.

ადამიანებმა სინათლეზე უნდა გამოვიტანოთ, რაც გვაწუხებს. შეგვიძლია, უბრალოდ, დიდი ასოებით დავწეროთ, რას ვფიქრობთ, ერთი კონკრეტული ფიქრი – და როცა გარედან შევხედავთ, სხვაგვარად აღვიქვამთ, უფრო ზუსტად შევაფასებთ.

ასევე, ისეთ ადამიანს შეგვიძლია გავუზიაროთ ჩვენი წუხილი, რომელიც დაინტერესებულია ჩვენი კეთილდღეობით და, ამასთან, ცივი გონებით შეძლებს პრობლემის დანახვას. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ, უბრალოდ, რაღაც კონკრეტული ქმედებაა შესაცვლელი. გვჭირდება ისეთი ადამიანი, რომელიც ცხადად დაალაგებს, ნაბიჯ–ნაბიჯ, რა შეიძლება გაკეთდეს. გეგმას გაგვიწერს არა მთელი ჩვენი მომავლისა, არამედ უახლოეს ნაბიჯებთან დაკავშირებით. ჩვენი წუხილი ისეთ ადამიანს უნდა გავუზიაროთ, რომელიც გლოვასა და დარდში კი არ აგვყვება, არამედ იაზრებს, რას ვამბობთ, ცხადად ხედავს, რატომ არის გაკვანძული რაღაც და იმ კვანძის გახსნაში დაგვეხმარება.

ძალიან ძნელია ნეგატიური ფიქრებისგან თავის დაღწევა. სათქმელად მარტივია, რომ მოდი, პოზიტიურად იფიქრე, მაგრამ პრაქტიკულად ამის გაკეთება რთულია. როგორ არის შესაძლებელი უსიამოვნო ფიქრების მოშორება, მით უფრო, რომ გარშემო ძალიან ბევრი ნეგატივია?

უნდა გავიაზროთ, რომ ნეგატიური ფიქრითაც გონება ჩვენს დაცვას ცდილობს და არა ტკივილის მოყენებას. უბრალოდ, ვერ ხვდება, რომ ეს უსარგებლოა. ასევე, გავიხსენოთ, რომ არ არის აუცილებელი, ყველა „ღრუბელს“, რომელიც გაივლის, გავეკიდოთ და ჩავეჭიდოთ. დაბოლოს, შეგვიძლია თავად ავირჩიოთ, რაზე გვსურს ყურადღება გადავიტანოთ დღის განმავლობაში. შეგვიძლია, რაღაც მომენტში – დილა იქნება თუ ძილის წინ – თავად გადავწყვიტოთ, კონკრეტულად რაზე ვიფიქრებთ და საით მივმართავთ ჩვენს ენერგიას: მაგ., ახლა შევიგრძნობ სილამაზეს, სიმშვიდეს; ახლა წარმოვიდგენ იმას, რაც გულს მიხარებს და სასიამოვნო ემოციებით მავსებს... და წარმოიდგინეთ.

რა შეიძლება იყოს პოზიტიურად ფიქრისგან მიღებული სარგებელი?

გარეთ რაც ხდება, გავლენას ახდენს ჩვენს ემოციებზე, ჯანმრთელობაზე, აგრეთვე, იმაზეც, როგორ ვხედავთ, როგორ აღვიქვამთ გარშემო მიმდინარე ამბებს და რისი გვჯერა. როდესაც ყურადღებას, გონებას ისეთი რამეებისკენ წარმართავ, რაც გარკვეული სიკეთის მომტანია სხეულისა და გონებისთვის, გუნება–განწყობილება გიმაღლდება. ასეთ დროს თითქოს მომავალს ხედავ, უცებ ხვდები, რომ რაღაცების შეცვლა შესაძლებელია, რომ რაღაც შენც შეგიძლია აკეთო.

შედეგად, არ ხარ „გაჭედილი“, თითქოს გონება გეხსნება, რომ შესაძლებლობები დაინახო.

ასევე, მეცნიერულად დადასტურებულია, რომ თუ ერთ ნეგატიურ მოვლენას, რომელიც გულს გვატკენს, იმ დღესვე შევუფარდებთ სამ ქმედებას, მოვლენას, რომელიც გულს გაგვითბობს, ამას შეუძლია შეცვალოს და გაანეიტრალოს ნეგატიური მოვლენის შედეგები ჩვენს სხეულსა და გონებაზე. სარგებელი ისაა, რომ ამ განცდების დროს უფრო ღია ხარ, მხრებში იშლები და მოქმედების გზას ხედავ.

ფოტოს ავტორი: ანა ლატარია

„ჩვენი წუხილი ისეთ ადამიანს უნდა გავუზიაროთ, რომელიც გლოვასა და დარდში კი არ აგვყვება, არამედ იაზრებს, რას ვამბობთ, ცხადად ხედავს, რატომ არის გაკვანძული რაღაც და იმ კვანძის გახსნაში დაგვეხმარება“

რას გვპირდება დრაკონის წელი?

2024 წლის ასტროლოგიური პროგნოზი

მომზადებულია astrosage.com-ის მიხედვით:

2024 წელი ჩინური ზოდიაქოს მიხედვით დრაკონის წელია. ვნახოთ, რას გვინინასნარმეტყველებენ ვარსკვლავები და რას გვპირდება დრაკონი – ასტროლოგიური პროგნოზი ზოდიაქოს ყველა ნიშნისთვის

ვერძი

2024 წელი თქვენთვის მოგზაურობის და დადებითი ემოციებით სავსე თავგადასავლების პერიოდი იქნება. თქვენი რეპუტაცია საზოგადოებაში უფრო ამაღლდება, იქნებით ის, ვისაც ადამიანები რჩევისთვის მიმართავენ. წარმატება გარდაუვალია ცხოვრების ყველა მიმართულებით. კარგი ეტაპია საკუთარი საქმის, საკუთარი ბიზნესის დასაწყებად. 2024 წელს ვარსკვლავები თქვენს მხარეს არიან. გელოდებათ ფინანსური სტაბილურობა. უფრო მეტი დრო დაუთმეთ იმ საქმეებს, რომლებიც გაბედნიერებთ. კონცენტრირდით საკუთარ თავზე. გამოყავით დრო თვითგანვითარებისთვის. მოსალოდნელია, რომ ვერძის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულ ადამიანებს, რომლებიც არ არიან სასიყვარულო ურთიერთობაში, მაისიდან აგვისტომდე პერიოდში ნამდვილი სიყვარულის პოვნის შესაძლებლობა მიეცემათ. ასევე, მაისიდან აგვისტომდე პერიოდი კარგია ქორწინებისთვისაც.

ხარი

2024 წელი თქვენთვის ხელსაყრელად დაიწყება, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება თქვენი ფინანსური მდგომარეობა. რომანტიკული ურთიერთობა უფრო სტაბილური და სასიამოვნო გახდება. იპოვით ჰარმონიას საკუთარ თავთან. გაზაფხულზე შესაძლოა ახალი სამსახურის დაწყების შესაძლებლობა გაჩნდეს, მთავარია, დაინახოთ ის და გამოიყენოთ; თქვენი ავტორიტეტი კიდევ უფრო მეტად გაიზრდება, პასუხისმგებლობების აღების ნუ შეგეშინდებათ. 2024 წელი ბევრ წარმატებას გპირდებათ. მიენდეთ ინტუიციას და საკუთარ შესაძლებლობებს. ნახავთ, რომ წარმატება არ დააყოვნებს.

ტყუპები

ლომის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანებისთვის განსაკუთრებით კარგი წელი იქნება ოჯახური თანაცხოვრებისა და სასიყვარულო ურთიერთობების მხრივ. ვარსკვლავები გირჩევენ, რომ უფრო მეტი დრო დაუთმოთ ოჯახს, საყვარელ ადამიანებს, დიდი დრო გაატაროთ მათ გვერდით, სამოგზაუროდ მათთან ერთად წახვიდეთ, მოაწყოთ პიკნიკები. ასეთ შემთხვევაში მთელი წლის განმავლობაში ცხოვრება პოზიტივით იქნება დამუხტული. კარგი წელია ბიზნესის გასაფართოებლად ან ახალი საქმის წამოსაწყებად. ასტროლოგები ამბობენ, რომ რადიკალური გადაწყვეტილებები თქვენს შემთხვევაში კარგი შედეგის მომტანი იქნება. წარმატებას მოგიტანთ იმპულსური და ინტუიციაზე დაყრდნობით გადადგმული ნაბიჯები. თუ დიდი ხანია რაიმე კონკრეტული საქმის გაკეთება გსურთ, მაგრამ აქამდე გამბედაობა არ გყოფნიდათ, სწორედ ახლა არის შესაფერისი დრო. თქვენს შემთხვევაში, 2024 წელს გაზრდილია ტრავმულობის ალბათობა, ამიტომ ამ მხრივ უფრო მეტი სიფრთხილე გმართებთ.

კირჩხიბი

შესაძლოა წლის დასაწყისში მცირე ფინანსური პრობლემები შეგექმნათ, თუმცა ასტროლოგები გირჩევენ, რომ შეინარჩუნოთ სიმშვიდე და საქმის მიმართ ერთგულება, რაც მომავალში აუცილებლად მოგიტანთ დადებით შედეგს, მათ შორის, ფინანსურადაც. სამყარო თქვენგან ერთგულებას მოითხოვს საქმის, ოჯახის და, ზოგადად, ყველაფრის მიმართ, რასაც აკეთებთ. უფრო მეტად გექნებათ განვითარებული ინტუიცია, ასევე, წინათგრძნობა და აუცილებლად უნდა მოუსმინოთ მას, რადგან დიდი შანსია, რომ თუ ასე მოიქცევით, კარიერული თვალსაზრისით, მწვერვალზე აღმოჩნდებით. ეცადეთ, გააფართოოთ სოციალური წრე, იკონტაქტოთ ბევრ ადამიანთან – მათგან დროთა განმავლობაში საინტერესო და წარმატების მომტან წინადადებებს მიიღებთ. წლის მეორე ნახევარში გაცილებით უფრო თავდაჯერებულები იქნებით. შესაძლოა წლის დასაწყისში იყოს რყევები სასიყვარულო ურთიერთობებში, თუმცა ყველაფრის დალაგებას მალე შეძლებთ.

ლომი

2024 წელი თქვენთვის ბალანსის პოვნის ეტაპი იქნება და ამას წლის დასაწყისიდანვე იგრძნობთ. სახლს, სამსახურს, მეგობრებს, პირად ურთიერთობებს იდეალურად შეუთავსებთ ერთმანეთს და ქაოსი, რომელიც შეიძლება ახლა გაქვთ, დალაგდება. ასტროლოგები გირჩევენ, რომ მეტი დრო დაუთმოთ ისეთი საქმეების კეთებას, რომლებიც ბედნიერებას განიჭებენ. კარგი იქნება, თუ დანაზოგს რაიმე საქმეში ჩადებთ, რადგან ასტროლოგები ამბობენ, რომ ასეთ შემთხვევაში დიდი მოგება და ფინანსური კეთილდღეობა გელოდებათ. კარიერული კუთხით საუკეთესო სიახლეებია მოსალოდნელი მაისში, აგვისტოსა და ნოემბერში. ამ პერიოდში განსაკუთრებული შესაძლებლობები გამოჩნდება. შესაძლოა დაგაწინაურონ ან ახალი, გაცილებით უფრო კარგი სამსახური დაიწყოთ. დაიმახსოვრეთ ეს თვეები და ამ პერიოდში გაჩენილ შესაძლებლობებს კარი ფართოდ გაუღეთ.

სასწორი

განსაკუთრებული ყურადღება წლის დასაწყისიდანვე მიაქციეთ ჯანმრთელობის საკითხებს. შესაძლოა რაიმე პატარა დარღვევა გაწუხებდეთ, მაგრამ აუცილებლად მიმართეთ ექიმს, თორემ მოსალოდნელია, რომ მცირე გართულება სერიოზულ პრობლემაში გადაიზრდება. წინდახედულობითა და სიფრთხილით კი ყველაფერი იდეალურად მოგვარდება. წლის პირველ ნახევარში არაერთი პოზიტიური პერსპექტივა გაგიჩნდებათ, მათ შორის, ფინანსების გაზრდისაც, ჰარმონიას მიაღწევთ სასიყვარულო ურთიერთობებში, ერთგვარ ბალანსს იპოვით. ასტროლოგები გირჩევენ, რომ ცოტა ხანს გვერდზე გადადო თქვენი ზოდიაქოს ნიშნისთვის დამახასიათებელი პედანტურობა, როცა საქმე სიყვარულს ეხება, უბრალოდ, დატკბით ურთიერთობით, ბედნიერი წუთებით და არაფერს მისცეთ საშუალება, რომ ეს ბედნიერება წაგართვან. წინდახედულობა გმართებთ პროფესიულ საქმიანობაში, მთელი წლის განმავლობაში. კარიერული კუთხით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე ასჯერ გაზომეთ და გათვალეთ შესაძლო შედეგები.

მორიელი

ვარსკვლავები თქვენგან მთელი წლის განმავლობაში შრომისმოყვარეობას, გულმოდგინებას მოითხოვენ. 2024 წელს უფრო მეტად უნდა კონცენტრირდეთ საქმეზე, კარიერაზე, რადგან ეს იქნება ერთგვარი ინვესტიცია, რომელიც სამომავლოდ დიდ წარმატებას მოგიტანთ. არ დაკარგოთ კონცენტრაცია მთავარზე და ეს მთავარი წელს თქვენი კარიერაა. ეცადეთ, ვერავინ და ვერაფერმა დაგაბრკოლოთ მიზნისკენ მიმავალ გზაზე, ჩამოშორდით ადამიანებს, რომლებიც ნებით თუ უნებლიედ ხელს გიშლიან წარმატების მიღწევაში, რომლებიც გსტრესავენ და ცდილობენ, თავი არათვითკმარად გაგრძნობინონ. მოახერხეთ, რომ შორს იყოთ ტოქსიკური ადამიანებისგან და გარემოსგან, სხვა შემთხვევაში სულიერი სიმშვიდის მოპოვება გაგიჭირდებათ.

მშვილდოსანი

2024 წელი თქვენთვის ახლის დასაწყისი იქნება. თავიდანვე დიდი დოზით შემოვა თქვენს ცხოვრებაში პოზიტიური ენერგია, რომელიც როგორც კარიერული წარმატებისკენ, ისე პირად ურთიერთობებში ჰარმონიის მიღწევისკენ იქნება მიმართული. თქვენი განსაკუთრებული ქარიზმის წყალობით მაგნიტივით მიიზიდავთ ადამიანებს და თან ისეთებს, რომლებიც ცხოვრებაში ბევრ სიხარულს და დადებით ცვლილებებს მოგიტანენ. ასტროლოგები გირჩევენ, რომ თვითგანვითარებაზე, განათლების, ცოდნის გაღრმავებაზე იმუშაოთ; კარგი პერიოდია რაიმე ახლის შესასწავლად, იზრდება შესაძლებლობა, რომ უცხოეთთან დაკავშირებულმა ურთიერთობებმა ბიზნესსაქმიანობაში წარმატება მოგიტანოთ. იყავით რისკიანი და სიახლეების ნუ შეგეშინდებათ. გამბედაობა წლის დევიზად აქციეთ და იმოქმედეთ!

თხის რქა

განსაკუთრებით სასიამოვნო სიახლეები რომანტიკულ ურთიერთობებში გელოდებათ. რა თქმა უნდა, თქვენი ზოდიაქოს ნიშნისთვის წარმოუდგენელიც კია, დრო საქმის გარდა სხვა რამეებსაც დაუთმოს, მაგრამ ამჯერად მოგიწევთ, გადახედოთ პრიორიტეტებს და პირველ ადგილზე სასიყვარულო და ოჯახური ურთიერთობები დააყენოთ. მოწესრიგებული პირადი ურთიერთობა და ბედნიერი თანაცხოვრება საქმიან ურთიერთობებზეც დადებითად აისახება. ასე რომ, თუ ასტროლოგებს დავუჯერებთ, პრიორიტეტების შეცვლის დრო დგება. ბევრ რამეს ახალი თვალით დაინახავთ, შეამჩნევთ გარშემო მყოფთა შორის ისეთ ადამიანებს, რომლებიც მთელი გულით ცდილობენ, თავი კარგად გაგრძნობინონ. იყავით მადლიერები მათ მიმართ, უფრო მეტად დააფასეთ საყვარელი ადამიანები – ეს დამატებით ბენეფიტებს მოგიტანთ.

მერწყული

ყველაზე მეტად რასაც 2024 წელი თქვენგან მოითხოვს, დისციპლინაა. მერწყულებს ქაოსურობა გახასიათებთ, თუმცა ახლა დროა, მოიშოროთ ეს ჩვევა, რომელიც ბევრ რამეში გიშლით ხელს. მარტივი არ იქნება, თუმცა თუ ნაბიჯ–ნაბიჯ ეცდებით, აუცილებლად გამოგივათ, თვითდისციპლინა კი ისაა, რაც დადებით შედეგებამდე მიგიყვანთ როგორც პირად ურთიერთობებში, ისე კარიერაში. გამოჩნდებიან ახალი ადამიანები, რომლებიც კარიერული კუთხით განსაკუთრებულ წარმატებას მოგიტანენ, თუმცა მნიშვნელოვანია ერთი ფაქტორი – არ ენდოთ ყველას და სანამ ვინმესთან ახალ საქმიან ურთიერთობას დაიწყებთ, ყველაფერი კარგად გააანალიზეთ, რადგან გაზრდილია მოტყუების, ცრუ ადამიანების გამოჩენის რისკი. კარგი ის არის, რომ მომატებული იქნება იღბლიანობის ხარისხიც, შრომა და პლუს იღბალი აუცილებლად მიგიყვანთ დასახულ მიზნამდე. რომანტიკულ ურთიერთობებში მოსალოდნელია, რომ იქნება მძაფრი ემოციური კავშირები, რაც შესაძლოა სახიფათო იყოს და მიჯაჭვულობა გამოიწვიოს. მოერიდეთ ასეთ მიჯაჭვულობას და გახსოვდეთ, რომ 2024 წელს თქვენი წარმატების გასაღები თვითდისციპლინაა.

თევზები

ფლოდინს

თქვენს ცხოვრებაში რადიკალური ცვლილებებია მოსალოდნელი. ეს იქნება სიახლეების, ყველაფერი ცუდისგან გათავისუფლების წელი. ბევრი თქვენგანი თავს დააღწევს ტოქსიკურ ურთიერთობებს, ტოქსიკურ გარემოს. გარდამტეხი ცვლილებების მომტანი ნაბიჯების გადადგმის არ შეგეშინდეთ, რადგან ეს, საბოლოო ჯამში, საკუთარ თავს გაპოვნინებთ და ბედნიერების განცდას მოგიტანთ. კარგი წელია ქორწინებისთვის. ასე რომ, თუ შეყვარებულები ხართ, ასტროლოგები ამბობენ, რომ ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადასვლა მყარი ოჯახური კავშირის შესაქმნელად კარგი იქნება. გაითვალისწინეთ, რომ თქვენს შემთხვევაში განსაკუთრებულ წარმატებას ადამიანებთან ჯანსაღი ურთიერთობა განაპირობებს. გახსოვდეთ, რომ ყველა პრობლემას კომუნიკაციით მოაგვარებთ.

"რომ შემეძლოს, გავიაზრებდი, რომ რასაც ვაკეთებ, საკმარისია"

მე რომ შემეძლოს...

ნიკა კოჩაროვი

ადამიანის შესაძლებლობებს რომ საზღვრები არ აქვს, ეს არ არის, უბრალოდ, ბანალური სიტყვები, ეს რეალობაა. შრომის, მონდომებისა და ნიჭის კომბინაცია წარმოუდგენელს შეგაძლებინებთ. მთავარია, დაიჭეროთ საკუთარი ძალების, ირწმუნოთ, რომ შეგიძლიათ, პოზიტიურად და მასშტაბურად იფიქრეთ და გახსოვდეთ, რომ ყველაფერი თქვენს ხელშია. ვინმეს რომ ეკითხა თქვენთვის, რას გააკეთებდით, რომ შეგეძლოთ, რას უპასუხებდით? ახალგაზრდა მუსიკოსმა, გიტარისტმა და ვოკალისტმა ნიკა კოჩაროვმა გაგვიზიარა, თუ რას გააკეთებდა, რომ შეეძლოს. მისი სურვილებიდან ერთ-ერთი, ალბათ, ბევრი სხვა ადამიანის მსგავსად, დახმარების აღმოჩენაა მათთვის, ვისაც ეს სჭირდება:

ფოტო დათო ქორიძე

რომ შემეძლოს – მოდით, პირველივე პასუხში მოვიშორებ ბანალურ და აშკარა სურვილს, იმას, რაც მართლაც ძალიან მინდა – დავეხმარებოდი ადამიანებს, რომლებსაც ეს ნამდვილად სჭირდებათ.

რომ შემეძლოს, გავაჩერებდი ჩემ მახლობლად მშენებლობის ხმას. ეს მართლაც ძალიან კარგი იქნებოდა.

რომ შემეძლოს, არ ვიქნებოდი ისეთი ზარმაცი, როგორიც ახლა ვარ, უფრო მეტს გავაკეთებდი, უფრო მეტს ვისწავლიდი. მაგალითად, ვისწავლიდი ჯაზგიტარაზე დაკვრას.

რომ შემეძლოს, გავიაზრებდი, რომ რასაც ვაკეთებ, საკმარისია.

რომ შემეძლოს, კიდევ ერთხელ გავივლიდი იმავე ცხოვრებას მშვიდად.

რომ შემეძლოს, გავაქრობდი პოლარიზაციის ტრენდს მსოფლიოში.

რომ შემეძლოს... ახლა პოპულარული სიტყვაა „ქრინჯი“ და რომ შემეძლოს, გავაგებინებდი თინეიჯერებს, რომ ყველაფერი „ქრინჯი“ არ არის. არ შეიძლება ყველაფერზე ასეთი რეაქცია გქონდეს.

რომ შემეძლოს, ამ რუბრიკის პასუხების რაოდენობას გავანახევრებდი.

რომ შემეძლოს, მარტო ვიმოგზაურებდი მსოფლიოში. ვიცი, რომ თეორიულად შემიძლია, მაგრამ რიგ მიზეზთა გამო ამას არ/ვერ ვაკეთებ.

NARGIS

FASHION, ART AND BEAUTY



www.nargismagazine.ge

CHARLES & KEITH